ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის პალიტრა

ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 28 (65) ◆ 15-22 ივლისი 1996 წ. ◆ ფასი 40 თეთრი ◆ A&B დაარსებულია 1995 წ.

საქართველოს პრეზიდენტს ჯავახეთის ტბაზე უნივერსიტეტის აშენების თაობაზე შარშანდელი დამოკიდებულება შეცვლილი არ ჰქონია, მაგრამ იმაზე დაუმატებია, რომ იქ უმაღლესი სასწავლებლები შეზღუდული კონტინგენტით შეიძლება აშენდეს თბილისში. ამ ინფორმაციას დარბაზი გაგებით შეხვდა.

„დილის გაზეთი"

გვ. 3

საქართველოში უახლოეს მომავალში დაიწყება სიგარეტის წევის წინააღმდეგ მიმართული დიდი სააგიტაციო კამპანია.

გვ. 2

მარჯანიშვილის თეატრის დარბაზში დაიდგა ახალი „სპექტაკლი".

მოქმედი პირები — მთელი დასი.

შემსრულებლები — ხელმძღვანელობა, კულტურის სამინისტრო.

მაყურებელი, ანუ როგორც მას უწოდეს, მოსეირენი — პრესა და ტელევიზია. „სპექტაკლი" შედგა.

ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის აზრით, ბატონი ოთარი საფრთხობელასავით აიფარეს თეატრში რეფორმების გამტარებლებმა.

გვ. 3

სააგენტო „ასოშიეითედ პრესის" ცნობით, დააპატიმრეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ვარდიკო ნადიბაიძის დაცვის ექვსი წევრი, რომლებსაც ბრალად ედებათ თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე საიუველირო მაღაზიის გაძარცვა. ბანდიტებმა 8 ათასი ლარი და 5 ათასი ლარის ღირებულების ოქროულობა გაიტაცეს.

გრძელდება რუსულ-ამერიკული კომისიების — ჩერნომირდინ-გორის რეგულარული თათბირები. მოსკოვში მოფრინავს ალბერტ გორი და იგი, კომისიაში მუშაობის გარდა, აპირებს გამოთქვას თეთრი სახლის პოზიცია, რომელიც არ ეთანხმება კრემლის პოლიტიკას ჩეჩნეთა მიმართ.

„ნეზავისიმაია გაზეტა"

11 ივლისს, დილის 9 საათზე, მოსკოვის ცენტრში, პუშკინის მოედანზე, ტროლეიბუსი აფეთქდა. ეს ხმაური არც კი იყო მიჩუმებული, რომ მეორე დღესვე, მშვიდობის პროსპექტზე, მეორე ტროლეიბუსმაც იფეთქა. ხელწერა იგივეა, ოღონდ აფეთქების ძალამ იმატა.

ეს უკვე რუსეთის მთავრობისათვის გამოცხადებული ომია — ვილაც აფრთხილებს დედაქალაქს, ჩვენ დაუმარცხებელნი და დაუმორჩილებელნი ვართო.

კომსომოლსკაია პრავდა № 127

მოსკოვში ქილერებმა მოკლეს პაატა ხომერიკი. ერთ-ერთი ვერსიით, პაატა ხომერიკს „მხედრიონის" ყოფილი მებრძოლები გაუსწორდნენ. მას შემდეგ, რაც 1995 წელს შევარდნაძემ დაშალა ეს სპეცრაზმი, მისი ბევრი წევრი კრიმინალურ დაჯგუფებაში შევიდა. ისინი, ძირითადად, თავიანთი თანამემამულეებისგან ფულის გამოძალვას ეწევიან.

გვ. 7

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვლადისლავ არძინბა აპირებს თბილისში ჩამოსვლას ედუარდ შევარდნაძესთან მოსალაპარაკებლად.

რა თქმა უნდა, კონფლიქტის მოსაგვარებლად ყველა ხერხი და შესაძლებლობა მისასალმებელია, მაგრამ არძინბას შესაძლო ჩასვლა თბილისში თითქმის ტოლფასია იმისა, დღეს რადოვან კარაჯიჩი რომ სრებრენიცაში ჩავიდეს, — ასეთი კომენტარი დაურთო ამ ცნობას რადიო „დოიჩე ველემ".

...ბრძოლაში დაიღუპა ცნობილი საველე მეთაური, ჩეჩენთა ფორმირების სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სარდლის მოადგილე, ყოფილი საბჭოთა არმიის კადრის ოფიცერი დოკუ მახაევი. იმავე დღეს, ჩეჩნეთში დაიღუპა რფ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლაი სკრიპნიკი.

გვ. 5

თუ ომი არ შეწყდება ჩეჩნეთში, მაშინ პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, 9 აგვისტოს, რუსმა ხალხმა ელცინს უნდა უწოდოს მატყუარა და მკვლელი და არა ახალი პრეზიდენტი.

გვ. 3

აშშ-ში სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და დაწესებულებებთან მხოლოდ 7 მეტრის მოშორებით შეიძლება სიგარეტის მოწევა, საზოგადოებრივ სკვერებსა და პარკებში თუ ვინმე გააბოლებს, 500 დოლარით ჯარიმდება.

* * *

ნეპალელმა ალპინისტებმა ევერესტზე 2 ტ. ნაგავი შეაგროვეს და განაცხადეს, — 15 კიდევ ასაკრეფიაო.

გვ. 13

პლანეტის ყველაზე მდიდარი ქალია L'oreal-ის კოსმეტიკური იმპერიის მემკვიდრე ლილიან ბეტანკური. მისი ქონება 5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

გვ. 6

თბილისის სამრეწველო კოლეჯი

იწვევს სასწავლებლად 9 და 11 კლასდამთავრებულ ახალგაზრდებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. საგადასახადო, საბანკო და კომერციული სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვა;

2. კვების პროდუქტების ტექნოლოგია (პურისა და მაკარონის წარმოება);

3. ავტოტექმომსახურების უმცროსი ინჟინერ-მექანიკოსი.

კოლეჯში სწავლა უფასოა, დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განაწილდებიან შესაძლებლობის მიხედვით, ვაჟებს ეძლევათ სამხედრო სამსახურიდან გადავადება არსებული წესის მიხედვით.

საბუთების მიღება 25 აგვისტომდე

ჩარიცხვა გასაუბრებით

მისამართი: ჯიქიას ქ. №3 (ქავთარაძის ქუჩის ბოლოს)

ტელ.: 31-03-82

კვირის მსახიობები:

პოპულარული ბ.ბ. (ბრიჟიტ ბარდო) და პატრიკ დევაიერი ელიან თქვენთან შეხვედრას ამ კვირის ტელეეკრანებზე.

ჩართეთ პარასკევს რტრ-ი და ორტ (23.05 სთ; 0.40 სთ)

გვ. 9

გილოცავთ, თქვენ კითხულობთ „კვირის პალიტრას", თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

მეცნიერება და ცხოვრება
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА
Иностранец
За рубежом
Комсомольская правда
Комсомолец daily
МК
Newsweek
საქართველოს რესპუბლიკა
Сегодня
Тайная власть
სრულიად არასერიოზული
LE FIGARO magazine
DER SPIEGEL
ТВ ПАРК
Финансовые известия
Труд
Московское время
Клюква
FOCUS
შანსი
stern

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირიდან კვირამდე

1996 წლის პირველი იანვრიდან დღემდე საქართველოში აღირიცხა ტუბერკულოზით დაავადების ოთხი ათასამდე შემთხვევა, — განაცხადა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ხეჩინაშვილმა. ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ხუთწლიანი პროგრამა 1995 წლის აგვისტოდან მოქმედებს და მის 99%-ს სახელმწიფო აფინანსებს. სტაციონარში ავადმყოფის მკურნალობა დღე-ღამეში 10 ლარი ღირს, ავადმყოფი კი მხოლოდ მის 30%-ს იხდის. ამ თანხაში შედის მკურნალობა, მედიკამენტები და ოთხჯერადი კვება. რაციონში გათვალისწინებულია ხორცი, თევზი, კარაქი, თაფლი, ვიტამინები.

რადიო „დოიჩე ველეს" ინფორმაციით, საქართველოში, დასავლეთის მრავალი ქვეყნის მსგავსად, უახლოეს მომავალში დაიწყება სიგარეტის წევის წინააღმდეგ მიმართული დიდი სააგიტაციო კამპანია.

ევროპის საბჭოს წარმომადგენლობითი დელეგაცია 12 ივლისს დაიწყებს ოფიციალურ ვიზიტს ამიერკავკასიის ქვეყნებში. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს დასავლეთის დიდ დაინტერესებას ყოფილი საბჭოთა იმპერიის ამ ჭრელი რეგიონისადმი, — აღნიშნავს საფრანგეთის რადიო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, კოდორის ხეობაში შევიდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 100 კაციანი ქვეგანაყოფი. კოდორის ხეობა ითვლება გულრიფშის რაიონის ტერიტორიულ ერთეულად და ამ რაიონის გამგეობას აღნიშნულ ქვეგანაყოფთან ერთად დაევალა კრიმინოგენული ვითარების გაკონტროლება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, არძინბამ დაადანაშაულა შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს სამხედრო ქვეგანაყოფის შეყვანაში და მას უკანონო უწოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს ოჩამჩირის რაიონის მკვიდრის, 24 წლის დიმიტრი წვიჟბას საქმეს, რომელსაც ბანდიტიზმსა და სამშობლოს ღალატში ედება ბრალი.

წვიჟბა იყო შამილ ბასაევის მიერ შექმნილი ანტიქართული სამხედრო დაჯგუფების აქტიური წევრი, მონაწილეობდა გაგრის აღებასა და ქართული მოსახლეობის გენოციდში, თავს ესხმოდა და ხოცავდა ოჩამჩირისა და გალის რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეტყობინებას შეტყობინებაზე აგზავნის მოსკოვის საქართველოს საელჩოში. მორიგ დოკუმენტში ნათქვამია, რომ აფხაზეთის რუსული საზოგადოების კონგრესი და სოჭის კომერციული ორგანიზაციები შეთანხმდნენ ბარტერულ გაცვლაზე, — ტყვარჩელის ქვანახშირის ნაცვლად სოჭელები აფხაზეთს მიაწვდიან პურ-პროდუქტებს და ფართო მოხმარების საქონელს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადებით, ამგვარი ქმედება არის 19 იანვრის სნგ-ს ლიდერთა სამიტზე მიღებული დადგენილების უხეში დარღვევა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ 6 ივლისს სოხუმის ნავსადგურში შევიდა ბენზინით დატვირთული თურქეთის კიდევ ერთი ტანკერი, რაც აფხაზეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების კიდევ ერთი უხეში უგულებელყოფაა.

ამბოხებული ჩეჩნების გასანადგურებლად მიმართულ რუსეთის სასოწარკვეთილ ძალისხმევას, რომელსაც დასავლელი პოლიტოლოგები ძირითადად უკავშირებენ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას, ჯერჯერობით, რუსეთისთვის სასურველი შედეგი არ მოაქვს და საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში ჩეჩნეთში ომი დამთავრდეს, აღნიშნავს ბი-ბი-სი. ამის პარალელურად რუსეთის სამხრეთელი მეზობლები საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი ფორსირებული ტემპით მუშაობენ ნავთობსადენის ამოქმედებისათვის, რომელიც მათ ტერიტორიაზე გაივლის.

ახლახან, თურქეთის სანავთობო კომპანიების ხელმძღვანელებთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი და საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში გიორგი ჭანტურია კვლავ ბაქოში ჩავიდა. აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტო „თურანის" ცნობით, ბ-ნმა ჭანტურიამ განაცხადა, რომ იყო ჯეიჰანში, სადაც თურქმა კოლეგებმა ნავთობსადენის დაფინანსების ახალი პროექტი შესთავაზეს საქართველოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ბანკი. ამ ავტორიტეტული ფინანსური ორგანიზაციის ჩაბმა ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში, ექსპერტებს უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნიათ.

თუ რუსეთი ჩეჩნური დილემის წინაშე დგას, თითქმის ისეთივე პრობლემა აქვს თურქეთსაც. ჯეიჰანის მიმართულებით გაყვანილი ნავთობსადენი ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე გავა. ამიტომ, სავსებით რეალურია, რომ თურქეთშიც განმეორდეს „ჩეჩნური სასაკლაო", — განაცხადა პრესკონფერენციაზე საქართველოში ქურთული კულტურის ცენტრის დირექტორმა ზაზა კალაშევმა და დასძინა, რომ ქურთ ერს ემუქრება ფიზიკური განადგურების საშიშროება. შემდეგ მან წაიკითხა მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, სადაც მოუწოდებს მათ ყურადღება მიაქციონ ქურთების ტრაგედიას.

კალაშევს იმედი აქვს, რომ მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასა და ქურთულ უმცირესობას შორის გაიმართება თბილისში.

ქვეყანაში არ არსებობს ალმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის სისტემა, რის გამოც აზრი ეკარგება კანონების მიღებას პარლამენტში, განაცხადა პრესკონფერენციაზე ვიცე-სპიკერმა გიორგი კობახიძემ და დასძინა, რომ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საპარლამენტო კომისია, რომელმაც პირველი შედეგიანი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. მან დადებითად შეაფასა საგაზაფხულო სესიაზე ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატის საქმიანობა.

საქართველოს სამხედრო ფლოტს კონტრ-ადმირალი ჰყავს. პრეზიდენტის ბრძანებით, ეს წოდება მიენიჭა სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს ალექსანდრე ჯავახიშვილს.

ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ნორმალური ხდება, — უთხრა გაზეთ „იუჟნაია ოსეტიას" კორესპონდენტს ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის ჯარების შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ანატოლი ანისიუკმა.

მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ყველაფერს აკეთებს მშვიდობისათვის, მაგრამ რუსეთის ჯარებს ბოლომდე არ შეუსრულებიათ თავიანთი მისია და ამიტომ უნდა დარჩნენ კონფლიქტის ზონაში.

ირაკლი მენაღარიშვილი: სტაბილურობა ქვეყნის აღიარების გარანტიაა

გასულ კვირას, საერთაშორისო თანა-მეგობრობამ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. გაეროს უშიშროების საგანგებო რეზოლუციით, კვლავ დადასტურდა, რომ საქართველო ტერიტორიულად მთლიანია და აფხაზეთი მისი განუყოფელი ნაწილი.

ამ ფაქტმა მძლავრი იმპულსი მისცა მსოფლიო მასმედიას და აფხაზეთის კონფლიქტის თემა კვლავ გამოჩნდა უცხოეთის პრესაში.

არსებობს კულუარული დიპლომატიის ცნება, ანუ ე.წ. წყნარი დიპლომატია, როცა პრობლემა გარეგნულად თვა-ლსაჩინო არ არის, მაგრამ მისი მოგვარება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა არხით გამუდმებით მიმდინარეობს. ამის ნათელი მაგალითია უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთის საკითხის მორიგი განხილვა, რომელსაც წინ დიდი მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა. გესაუბრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი **ირაკლი მენაღარიშვილი.**



— სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში, იკლო. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა საერთაშორისო ორგანიზაციებში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით უფრო რადიკალური მოთხოვნების წაყენება, საერთაშორისო თანამეგობრობის გასააქტიურებლად ქმედითი ნაბიჯის გადადგმა. ამიტომ, ლოგიკური გახლდათ, რომ უშიშროების საბჭოს სხდომისათვის მზადება განსხვავებული ფორმით ჩატარდა. სპეციალურად მოვიწვიეთ გაეროში ჩვენი მუდმივი წარმომადგენელი პეტრე ჩხეიძე, მივეცით შესაბამისი დირექტივები. ამ საკითხზე მსჯელობა გაიმართა ეროვნული უშიშროების სამსახურში, ქვეყნის პრეზიდენტთან. გამოიკვეთა ჩვენი პოზიცია და შემუშავდა მოქმედების ტაქტიკური გეგმაც. შევხვდით საქართველოში აკრედი-ტებულ უცხოეთის ქვეყნების ელჩებს, კიდევ ერთხელ დავადასტურეთ საქართველოს ურყევი ნება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს მივაწოდეთ ინფორმაცია აფხაზეთში დღეს შექმნილი ვითარების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელიც 1992-93 წლებში დაიწყო აფხაზეთში და ქართული მოსახლეობის გენოციდითა და განდევნით დასრულდა, დღესაც გრძელდება. ამასთან, აფხაზური მხარე საბოტაჟს უწევს მოლაპარაკებებს ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ. ყველაფერი ეს დააფიქსირა უშიშროების საბჭომ. ვფიქრობ, რომ რეზოლუცია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების სტიმულატორად იქცევა.

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ევროპის საბჭოს ფრიად წარმომადგენლობითი დელეგაცია. ვიზიტი მიზნად ისახავს საქართველო-ევროსაბჭოს ურთიერთობის გაღრმავებას. ევროპის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიენ კალასი და ევროსაბჭოს სამდივნოს გენერალური მდივანი დანიელ ტასისი გაეცნობიან საქართველოში შექმნილ ვითარებას. ჩვენ მათ გადავცემთ განაც-ხადს ევროპის საბჭოში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღების თაობაზე.

გარდა ამის, საშუალება გვეძლევა დელეგაციის წევრ ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან განვიხილოთ ქართულ-ესტონური საკითხი.

— ახლახან საქართველო დამკვირვებლის სტატუსით მიიღეს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში, რომლის წევრი 120 ქვეყანაა, რა როლს ასრულებს იგი მსოფლიო ეკონომიკურ და სავაჭრო პროცესებში?

— ამ ორგანიზაციის წევრობა მარტო სტატუსი როდია. ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, ვაჭრობის რეჟიმი, საკანონმდებლო ბაზა, ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მონაწილეობა საქართველოსთვის აღიარებაც არის და დიდი ვალდებულებაც — იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

ყველაფერი ეს შედეგი გახლავთ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა, სტაბილურობისა და ა.შ. ამასთან, საქართველოს დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებას მხარი დაუჭირა მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, აგრეთვე მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ევროგაერთიანებამ. მათ ივალდებულეს დაეხმარონ საქართველოს ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიყვანაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს ნამდვილ წევრად მიღებისთვის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი შემოდგომაზე გაიმართება და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ გამოცდას ღირსეულად ჩააბარებს.

და ბოლოს, ამ ორგანიზაციის წევრობა და მასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი პირობა და გარანტიაა საქართველოში უცხოური კაპიტალის დიდი მასშტაბით მოსაზიდად.

— *გმადლობთ.*

ესაუბრა ზურაბ მჭედლიშვილი

ნადარეიშვილის ჰორიზონტები

„სამი წელია, გამოყრილი ვართ ჩვენი მიწა-წყლიდან და ამ ხნის განმავლობაში არ გვიფიქრია საზღვარგარეთ წავიდეთ და იდეოლოგიური მუშაობა ჩავატაროთ. როდესაც ევროსაბჭოში ვიყავით და ვაჩვენეთ აფხაზეთის ტრაგედიის საილუსტრაციო მასალები, გენოციდის დოკუმენტები, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ცუდად გახდა. უცხოეთში ნამდვილად იციან სინამდვილე აფხაზეთის კონფლიქტზე", — ამბობს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი.

ლონდონში მოქმედებს აფხაზთა წარმომადგენლობა პროფესორ ჰიუტის ხელმძღვანელობით. იგი სეპარატისტული იდეებითა და საქართველოს მიმართ უარყოფითად არის გამსჭვალული, მუშაობს საგამომცემლო სფეროში და იდეოლოგიურ ზემოქმედებას ეწევა აფხაზ ექსტრემისტთა სასარგებლოდ. სანდო წყაროებზე დაყრდნობით, ჰიუტი ლონდონში ჩვენი დელეგაციის საწინააღმდეგო 50 კაციან პიკეტს ამზადებს. დელეგაციის მიზანია, მაქსიმალურად ჭეშმარიტი ცნობები მიაწოდოს ინგლისელებს იქ ყოფნის 4 დღის განმავლობაში.

მეოთხე №19

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრის ცნობით, თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებს მეტროს სადგურ „გოცირიძის" (დელისი) მიმდებარე ტერიტორიაზე არამალფუჭებადი საქონლით გარე ვაჭრობის უფლება მიანიჭოს.

დილის გაზეთი №115

დაიჭირეს ეროვნული საუნჯის ქურდები

1995 წლის 2 დეკემბერს აფხაზეთის გარდაცვლილი მიტროპოლიტის დავით ჭკადუას ოჯახს თავს დაესხა 5 შეიარაღებული ბოროტმოქმედი, გაიტაცეს უძვირფასესი ხატები, უძველესი წიგნები. სოხუმის დაცემის შემდეგ, აფხაზეთის მიტროპოლიტმა, საოჯახო კი არა, მხოლოდ საეკლესიო ნივთები გადაარჩინა და შესძლო სამშვიდობოს გამოტანა. 2 ივლისს დააკავეს საეკლესიო ნივთების დატაცებაში ეჭვმიტანილები. მათ საცხოვრებელ ბინაში იპოვეს მოპარული ხატების ნაწილი.

კრიმინალი №12

არღვევენ ხელშეკრულებას

სისტემატურად ირღვევა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებანი. გასულ კვირას, ფოთში, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, თურქეთის სატვირთო გემმა სტამბულიდან სოხუმში შეიტანა 500 ტონა ტვირთი. ფოთში მათი შემოწმება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. რუსეთის სასაზღვრო ჯარების განმარტებით, შემოწმება იმიტომ არ მოხდა, რომ წინასწარი შემოწმების დროს გემზე არ აღმოჩნდნენ უცხო პირები და საეჭვო ნივთები.

ბიუჯეტს შეიწირავს

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია საქართველოს მთავრობისგან ითხოვს თითოეულ ლტოლვილზე ერთდროული დახმარების სახით გაიცეს 500 ლარი, რაც 4 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს შეიწირავს. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია კი ითხოვს აფხაზეთიდან დევნილი 1300 პოლიციელის დასაქმებას.

ახალგაზრდა ივერიელი №12

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო კომისიის განაჩენი

თეატრის ისტორიაში მრავალჯერ ყოფილა კონფლიქტი, განხეთქილება, დაჯგუფებები, მაგრამ 8 ივლისს, 12 საათზე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი უჩვეულო ფაქტის მომსწრე გახდა. ქართველი ერის სასიქადულო მსახიობები განბილებულნი და შეურაცხყოფილნი ორთვენახევარი ელოდნენ ამ კრებას, რომლის ჩატარებაც მხოლოდ მოპიკეტე მსახიობთა მოთხოვნით მოხერხდა.

კულტურის მინისტრი ბ-ნი ვალერი ასათიანი სიტყვით წარუდგა კრების მონაწილეთ, რომელთა შორის იყვნენ მსახიობები, რეჟისორები, თეატრის ტექნიკური მუშაკები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები.

ბ-ნმა ვალერიმ აღნიშნა: არ შეიძლება კულტურა კანონის გარეშე იყოს. არ ვამბობ, რომ პროექტი მსახიობთა დათხოვის შესახებ იდეალურია, მაგრამ თეატრის ხელმძღვანელობამ მძიმე ნაბიჯი მაინც სწორად გადადგა. ამ აუცილებელ პროექტს, რა თქმა უნდა, მომხრეც ეყოლება და მოწინააღმდეგეც...

ბ-ნი ვალერი დაეთანხმა თემურ ჩხეიძის წერილობით განცხადებას და გააცნო კიდეც დამსწრეთ, რომ თეატრის ხელისუფლებას უნდა მიეცეს უფლება მთელი დასის დათხოვნისა და საჭირო დასის მოწვევისა. უამისოდ ხელმძღვანელი ხელმძღვანელი არაა, უპერსპექტივოა მისი ჩანაფიქრი. მსახიობთა დაჟინებით, კულტურის მინისტრმა წაიკითხა მათი გვარები, ვინც მხარი დაუჭირა კოლეგათა გათავისუფლებას.

სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარემ — ოთარ მეღვინეთუხუცესმა, რომლის საბოლოო ვერდიქტითაც და გასაიდუმლოებული კომისიის განაჩენით 34 მსახიობი აღმოჩნდა თეატრს გარეთ, აღნიშნა: ეს გადაწყვეტილება ექვსმა კაცმა მიიღო, მე კი მხარს ვუჭერ მათ და სწორად მიმაჩნია ამ ანონიმური კომისიის გადაწყვეტილება.

თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის გიგა ლორთქიფანიძის პოზიცია ემთხვეოდა ოთარ მეღვინეთუხუცესის აზრს. ბ-მა გიგამ მოუწოდა მსახიობებს, — ნუ გავხდით საქმეს ისე, რომ ჩვენს ქალაქში ცხოვრება გაგვიჭირდეს და ერთმანეთის დანახვა და შეხედვა პრობლემად გადაგვექცესო.

დათხოვილ მსახიობთაგან ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა დოდო ჭიჭინაძემ დაგმო თეატრის ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება, მსახიობთა დამსახურების დაუფასებლობა და შეურაცხყოფა.

34 დათხოვილ მსახიობთა შორის აღმოჩნდა ასმათ ტყაბლაძე. მისი თქმით, არ შეიძლება მსახიობის ასეთი იგნორირება, რეფორმა კარგია, მაგრამ ზნეობაც უნდა იყოს დაცული, უნდა შემუშავდეს მსახიობის დამცავი რაიმე მექანიზმი, ლეგალიზებულ იქნეს ყველაფერი, მსახიობებმა მიიღონ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა. ქ-მა ასმათმა გააფრთხილა ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომ იგიც შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი უზნეო დამოკიდებულების მსხვერპლი. ამიტომ საჭირო იყო ბ-ნ ოთარს კარგი მრჩევლები ჰყოლოდა, მაშინ ხომ ასეთ უსამართლობამდე არ მივიდოდა თეატრის დასის საქმე.

მსახიობმა ზანდა იოსელიანმაც გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მიმართ. მისი თქმით, პიროვნება შეიძლება მსახიობად არ ჩათვალო, მაგრამ ადამიანად უნდა მიიჩნიო. ქ-მა ზანდამ მოითხოვა, განემარტათ, თუ რა კრიტერიუმით დაითხოვეს იგი, რომელიც 37 წელი თეატრს ემსახურებოდა.

ქ-ნი სოფიკო ჭიაურელის თქმით, ბ-მა ოთარ მეღვინეთუხუცესმა თავის თავზე ვაჟკაცურად იტვირთა რეფორმის გამტარებელთა მძიმე ხვედრი და არ დაასახელა სხვები, ვინც 34 მსახიობი გაათავისუფლა.

ვალერი ასათიანმა წაიკითხა ბრძანება. ამ ახლადმიღებული ბრძანების მიხედვით: *1) გაუქმდა ის პროექტი, რომლის მიხედვით, დაითხოვეს 34 მსახიობი; 2) უნდა გაგრძელდეს ედინბურგის გასტროლები; 3) აღდგეს თეატრში 34 მსახიობი; 4) 1 სექტემბრამდე გადაიწიოს მსახიობთა დათხოვნა, შემდეგ კი, მოხდეს მთელი თეატრის თვითლიკვიდაცია რეჟისორთა, ტექნიკურ პერსონალთა, მსახიობთა ჩათვლით.*

იმედია, მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება ღირსეული იქნება და ისინი საბრალდებო დასკვნას არ გამოუტანენ ქართველი ერის ძვირფას და მახლობელ ადამიანებს, მსახიობებს, განურჩევლად ასაკისა, რომელთაც კვლავაც ძალუძთ თავიანთი მაყურებლის აღტაცება.

ქართველი ერიც მოუთმენლად ელის სექტემბრის განაჩენის მართებულად გადაწყვეტას, რომელიც იხსნის სათაყვანებელ მსახიობებს საარსებო საშუალებებისათვის ოჯახის რელიკვიების გაყიდვისაგან, მორალური და ფიზიკური ტკივილისაგან.

მანანა ნოზაძე

სამშობლოსათვის თავგანწირვა 6 ლარი „ღირებულა"!

გუშინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის საპარლამენტო დროებითი კომისიის სხდომაზე და შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. თავდაცვის სამინისტროს სიებში ირიცხება 67 ათასი კაცი. აქედან, 3365 დაღუპულია, 2599 — დაჭრილია, 378 კი უგზო-უკვლოდ დაკარგული. 123 დაკარგულის ოჯახს ეძლევა დახმარება თვეში 6 ლარი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დაღუპულია 101, უგზო-უკვლოდ დაკარგულია 17 პოლიციელი. სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, მათ კონტაქტები აქვთ დაკარგულთა ოჯახებთან და ყველანაირად ეხმარებიან.

გ. ჯაყელის განცხადებით, აფხაზეთის მთავრობასთან მიღწეულია 90 მეომრის ბაბუშერას სამარხიდან გადმოსვენების შეთანხმება. მაგრამ ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ძმათა სასაფლაოსთვის გამოყოფილი ადგილი ჯერ არ არის მოწესრიგებული. მერიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 13 ივლისიდან დაიწყება სასაფლაოს (დიღომში) ტერიტორიის მოწესრიგება, რისთვისაც თბილისის მერიამ საწყის ეტაპზე 50 ათასი ლარი გამოჰყო.

დილის გაზეთი №115

იაკობიძე-კვაჭანტირაძის დაგეგმილი დუელი

„ზოგ მასწავლებელს 15 საათი აქვს დატვირთვა კვირაში, ამდენს ე. შევარდნაძე ერთ დღეში მუშაობს", — განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ. მისი თქმით, არიან მასწავლებლები, რომელთა დატვირთვაც კვირაში 7.5 საათს არ აღემატება და რაღაც პრეტენზიები გააჩნიათ ხელფასისადმი. მინისტრი შეპირდა ჟურნალისტებს, რომ ისინი თავიანთ საკბილოს იპოვნიან, როცა ის და განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე 1997 წლის ბიუჯეტში განათლებისთვის გამოყოფილი თანხების გამო ერთმანეთს წაეჩხუბებიან.

კვირიონი №6

12 წლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტრომ გასცა ბრძანება, რომლის თანახმად დაწყებითი, ძირითადი და საშუალო დაწესებულებების ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ 1996-97 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩარიცხონ ბავშვები, რომელთაც 6 წელი უსრულდებათ 1996 წლის 31 დეკემბრამდე. 12 წლიანი სწავლების რეფორმა ეხება მხოლოდ მე-5 კლასში გადამსვლელ მოსწავლეებს.

დილის გაზეთი №114

ბაზალეთის ტბა, ვგონებ, გადარჩა!

ე.წ. „პლეხანოვის კლუბში", ბაზალეთის ტბაზე თურქული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით მოეწყო საპროტესტო აქცია. ინიციატორებისა და მონაწილეების ძირითად ბირთვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები წარმოადგენდნენ. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ საზოგადოებას აცნობა, რომ მან საფუძვლიანად შეისწავლა ის ორი ფირმა, რომელიც თურქული უნივერსიტეტის დაფინანსებას აპირებს. აღმოჩნდა, რომ მათ რეალურად საჭირო თანხა არ გააჩნიათ. ბატონმა გურამმა საზოგადოებას თავისი სიტყვის ბოლოს შემოუნახა სასიამოვნო ცნობა იმის თაობაზე, რომ სამი დღის წინ ესაუბრა ბატონ შევარდნაძეს. საქართველოს პრეზიდენტს ბაზალეთის ტბაზე უნივერსიტეტის აშენების თაობაზე უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავს, მაგრამ იქვე დაუმატებია, რომ თურქული სასწავლებლები შეზღუდული კონტინგენტით შეიძლება აშენდეს თბილისში. ამ ინფორმაციას დარბაზი გაგებით შეხვდა.

დილის გაზეთი №16

ირაკლი წერეთელი: ჩვენი შემდეგი ეტაპი ხელისუფლების აღებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლაა

ბოლო დროს ოპოზიციური და პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტიების მიერ გამართული კონფერენციები საზოგადოების დიდ ყურადღებას და ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრებს ცდილობენ საქართველოში ჩამოსული უცხო ქვეყნის წარმომადგენლებიც. როგორც 5 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, — ეს გამოწვეულია იმით, რომ წინა პარლამენტში ოპოზიცია არსებობდა. დღეს კი, ხელისუფლება აშკარად პრორუსულია და მემარჯვენე პარტიები პარლამენტის გარეთ არიან დარჩენილნი. მისივე თქმით, უახლოეს ხანში ჩატარდება „საქართველოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებული კონფერენცია", რომელზედაც მოწვეული იქნებიან არასაპარლამენტო პარტიები, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიების წარმომადგენლები, პარლამენტარები და თავად პრეზიდენტი. საეჭვოა, დაესწრებიან თუ არა საპატიო სტუმრები ან ქვეყნის პრეზიდენტი „საქართველოსთან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხისადმი" მიძღვნილ კონფერენციას, რადგან მათთვის ჯერ მოსაწვევებიც არ გაუგზავნიათ, ხოლო რაც შეეხება პარტიების გამოცხადებას, ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, რომ „თავისუფლების მომხრენი" აუცილებლად დაესწრებიან კონფერენციას. ამით დაფიქსირდება, თუ ვის სურს საქართველოს დამოუკიდებლობა. მისი აზრით, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" არ სურს საქართველოს დეოკუპაცია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიუხედავად მოწვევისა, ისინი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. მათი ერთ-ერთი ლიდერის, თენგიზ კიკაჩეიშვილის თქმით, ისინი არ შეუერთდებიან „კანონიერი ხელისუფლების დამხობაში" მონაწილე ძალებს.

ეს განცხადება ირაკლი წერეთელმა ერთგვარ ნიღბად ჩათვალა. მისი თქმით, ცხოვრებას ახლებურად უნდა შევხედოთ, ისტორია წინ მიდის და ზვიად გამსახურდია კი არა, ხალხმა შეიძლება დავით აღმაშენებელიც დაივიწყოსო.

და ბოლოს, კითხვაზე, თუ რამდენად რეალურად მიაჩნიათ საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა, ირაკლი წერეთელმა განაცხადა, — საქართველოში აუცილებლად უნდა მოიხსნას რუსეთის ჰეგემონია. აშშ კაპიტალს არ დააბანდებს იმ ქვეყანაში, სადაც რუსეთის ჯარი დგას. იმედი არ მაქვს, რომ სახელმწიფო მათ გაიყვანს. მართალია, საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ სახელმწიფოს მართავენ ისინი, ვინც წლების მანძილზე იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. რომ არა ეს ხელისუფლება, ვინ იცის, დუდაევი ცოცხალი ყოფილიყო და საქართველოში ნახავდა თავშესაფარს. ირაკლი წერეთლის ღრმა რწმენით, ისტორიის ბორბალი მათ სასარგებლოდ ტრიალებს. დასავლეთი რუსეთს დაამარცხებს და რუსის ჯარს განდევნის, მათი ხელისუფლებაში მოსვლა კი ამ პროცესს უფრო დააჩქარებს.

წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და თვალი გავადევნოთ არასაპარლამენტო ძალთა ქმედებებს. ამ ევროატლანტური ორიენტაციის პარტიის მოღვაწეობის შემდეგი ეტაპი ხომ ხელისუფლების აღებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლაა ყველა დასაშვები მეთოდებით.

თამუნა მაგრაქველიძე

ვიდრე გაზეთი დაიბეჭდებოდა...

კ. ბოროვოი: 9 აგვისტოს რუსმა ხალხმა ელცინს უნდა უწოდოს მატყუარა და მკვლელი

ორი კვირაც არ გასულა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებიდან, რომ მთელი ძალით განახლდა საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში. თუ წინასაარჩევნო კამპანიას დასავლეთის და რუსეთის დემოკრატიული პრესა ხელმძღვანელობდა პრინციპით: „არ ვაკრიტიკებთ ელცინს არჩევნების დამთავრებამდე", ერთი კვირაა, რაც მსოფლიო მასმედია ერთდროულად „აჭიკჭიკდა" ელცინის და მისი ახალი გუნდის წინააღმდეგ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბერნსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რუსეთის ჯარების მიერ მშვიდობიანი ჩეჩნური მოსახლეობის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო მოქმედებები. დასავლეთი კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისგან განაახლოს პოლიტიკური დიალოგი იანდარბიევთან.

გაზეთ „ნიუ-ორკ თაიმსის" თქმით, ელცინის წინასაარჩევნო განკარგულება, რომ რუსეთის ჯარები წყვეტენ საომარ მოქმედებებს და გენერალ ლებედის „სამშვიდობო პროგრამა" ჩეჩნეთის ომის დამთავრებისთვის, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა.

რუსმა ლიბერალმა პოლიტიკოსმა კონსტანტინ ბოროვოიმ, „ნიუ-იორკ თაიმსის" თქმით, გასულ ოთხშაბათს დუმაში განსახილველად წარადგინა განცხადების პროექტი, რომელშიც ნათქვამია: *თუ ომი არ შეწყდება ჩეჩნეთში, მაშინ პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, 9 აგვისტოს, რუსმა ხალხმა ელცინს უნდა უწოდოს მატყუარა და მკვლელი და არა ახალი პრეზიდენტი.*

თუ დუმა არ გამოიტანს დადგენილებას ამ განცხადების საფუძველზე, მაშინ ექსპერტთა თქმით, ელცინი მთელი ძალით განაგრძობს თავის უხეშ პოლიტიკას, რომელმაც მისი რეიტინგი ამ 6 თვის წინ კატასტროფულად დასცა.

დასავლეთი საგონებელში ჩააგდო იმ ფაქტმაც, რომ გაურკვეველი რჩება, თუ ვინ გასცა ბრძანება ჩეჩნეთში ომის განახლებისთვის: ჯანმრთელობაშერყეულმა ელცინმა, გენერალმა ლებედმა, თუ ჩეჩნეთის ჯარების სარდალმა ტიხომიროვმა. სწორედ ამის გარკვევაზე და ჩეჩნეთის ომის დამთავრების საკითხებზე მსჯელობას აპირებს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი, ჩერნომირდინთან ამ კვირაში დაგეგმილ შეხვედრაზე.

თუმცა, ყველასთვის ნათელია, თუ რატომ ცდილობს რუსეთი, რაც შეიძლება სწრაფად მოსპოს „ჩეჩნური პრობლემა". 11 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალმა ლებედმა ოფიციალურად დაუსვა წერტილი ამ ომის უმთავრეს მიზანს: *„ჩეჩნეთზე გადის გაზსადენი და ნავთობსადენი. რუსეთის ნავთობმა ამ გზით უნდა გაიაროს დასავლეთისკენ და არა სხვა მარშრუტებით. ეს არის რუსეთის ურყევი ნება და მას ვერავინ შეეხება".*

ამასობაში კი, მწვავდება ურთიერთობა ლებედსა და ჩერნომირდინს შორის. „არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, რომ ამ ჩახრინწულმა გენერალმა მიიღოს ვიცე-პრეზიდენტის ტიტული", — განაცხადა ჩერნომირდინმა და იმ პოზიციაზე დააბრუნა ლებედი, რომელზეც იგი არჩევნების წინ იდგა.

ჩერნომირდინმა, — წერს „ნიუ-იორკ თაიმსი", — იმთავითვე დაიკავა მტკიცე პოზიცია და ლებედის საპირისპიროდ ყველას აგრძნობინა, რომ მხოლოდ ის, ანუ ჩერნომირდინი, არის ელცინის მემკვიდრე და სხვა არავინ.

ლებედი ცუდ დღეში აღმოჩნდა, რადგან მის მუქარას, მიმართულს მაფიის წინააღმდეგ, ტერო-რისტული აქტების სერია მოჰყვა მოსკოვში. ასე რომ, ექსპერტთა პროგნოზი, რუსეთის მძიმე მომავლის შესახებ მართლდება.

დასავლეთის ერთადერთ ოცნებად ისღა რჩება, რომ ელცინმა როგორმე იცოცხლოს დარჩენილი საპრეზიდენტო წლები, რადგან ოთხი წლის შემდეგ რუსეთში მყარად ფესვგადგმულ კაპიტალიზმს, ვეღარ მოერევა ზიუგანოვი და მისი პარტია, თუნდაც, მარქსისტულ-ლენინური გვარდიაც რომ გაცოცხლდეს და გვერდით დაუდგეს.

უცხოური საინფორმაციო წყაროების მიხედვით

ისმინე, სწავლის მძებნელო...

დადგა თბილისური ცხელი ზაფხული. კარს მოგვადგა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები. ბუნებრივია, რომ აბიტურიენტებისა და მათი მშობლების ვნებათაღელვა კულმინაციას აღწევს. ჩვენი გაზეთის მკითხველები (როგორც ჩანს, აბიტურიენტები) დ. შოშიაშვილი და გ. ბახტაძე გვთხოვენ, ვუამბოთ, რა წესით ჩატარდება მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობაზე.

გვესაუბრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი.

— ბატონო თემურ! როცა მისაღებ გამოცდებზე დაიწყეთ საუბარი, თქვენ ბრძანეთ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს ამ სფეროშიო. რას გულისხმობთ?

— ჩვენი სამწუხარო დღევანდელობიდან გამომდინარე, მისაღები გამოცდები არა მარტო გარკვეული ეტაპის დასაწყისია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში, არამედ გარკვეული კუთხით მშობლების უნარის გამოვლენის შემოწმებაც არის. უცნაურია, საკითხის ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ეს ასეა. უშუალოდ რაც გამოცდებს შეეხება, მართლაც, ბევრი ნაკლი გვაქვს ამ სფეროში. ეს ეხება გამოცდას ნებისმიერ საგანში. სამწუხაროდ, ხშირად გამომცდელები ივიწყებენ, რომ გამოცდა ადამიანისათვის, გარკვეულწილად, დამამცირებელი პროცესია — როცა ადამიანი ვალდებულია ანგარიშით წარსდგეს სხვა ადამიანის წინაშე. ორი ადამიანი — გამომცდელი და გამოსაცდელი, ამ შემთხვევაში ერთნაირ პირობებში არ იმყოფება. აბიტურიენტი თუ სტუდენტი ითრგუნება, თავისუფლად ვერ გრძნობს თავს და, ამდენად, ცოდნის გამოვლენის თვალსაზრისით გარკვეული მუხრუჭი მოქმედებს.

— და მაინც, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მსურველთა რაოდენობა დიდად აჭარბებს მისაღებთა რიცხვს, კვლავ გამოცდების პრობლემის წინაშე ვდგავართ.

— დიახ, მაგრამ რადგან გამოცდა გარდაუვალია, პირადად მე, უკვე ათი წელი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასეთ გზას დავადექი — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში უარვყავი ტრადიციული თხზულების გზა თავისი ციტატებით, მავანი და მავანი ცნობილი ლიტერატურისმცოდნეს, ან კრიტიკოსის აზრების მოტანით, საანალიზო ნაწარმოებიდან გადაჭარბებული საზეპირო ადგილების მოხმობით. ეს გზა უფრო მართებულად მივიჩნიე იმიტომ, რომ ამ ზღვა მასალის მიღმა აღარ ჩანს მოსწავლე, აღარ ჩანს მის მიერ მასალის გათავისების, ნაწარმოების შეგრძნების, პერსონაჟის საქციელის განსჯის უნარი.

— თუ სწორად გაგიგეთ, აბიტურიენტის დამოუკიდებელი შეხედულება — მსჯელობა, თუნდაც მცდარი, თქვენთვის, როგორც პედაგოგისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მის მიერ საცნობარო ლიტერატურიდან მოხმობილი გაზუთხული ციტატები?

— რა თქმა უნდა, დაე, მისი მსჯელობა ტრადიციული აზრისაგან განსხვავებული იყოს, მაგრამ შეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთებული გადმოცემა. უპირველეს ყოვლისა, აბიტურიენტმა უნდა იცოდეს ტექსტი. დასამალი არ არის, ყმაწვილის წიგნთან დასაახლოვებლად იძულების ფორმასაც უნდა მივმართოთ. იძულების სურვილი სათავეს ჯერ სულხან-საბასთან იღებს და არც დავით გურამიშვილი უარყოფს. წიგნთან იძულებით მისვლის მომენტი ჩვენს მიერ დაგეგმილი საგამოცდო პრინციპით არის ნაგულისხმევი. მოსწავლეს, რომელიც საშუალო სკოლაში ღრმად, საფუძვლიანად შეისწავლის მშობლიურ ენას და ლიტერატურას, არ გაუჭირდება გამოცდის ჩაბარება. მისაღები გამოცდების ბილეთების პირველი საკითხი ნაწარმოების რომელიმე გმირის დახასიათება, მისი წარმოჩენაა. აბიტურიენტმა უნდა შეძლოს მისი ღირსება-ნაკლოვანების გადმოცემა, და, რაც მთავარია, დაგვანახოს, რა არის მისთვის მისაღები ან უარსაყოფი. მეორე საკითხი გულისხმობს ამა თუ იმ ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდის დაწვრილებით გადმოცემას. ხაზგასმით აღვნიშნავ, დაწვრილებით-მეთქი, რადგან მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა ზერელედ იცის ტექსტი. ავიღოთ „ვეფხისტყაოსანი". არაერთგზის გვქონია გამოკითხვა და ახალგაზრდების დაახლოებით 70%-მა პოემის მხოლოდ ნაწილი თუ იცის, ვთქვათ, ტარიელის ბავშვობამდე ან ნესტანთან გამიჯნურებამდე. ამიტომ, როცა საგამოცდო ბილეთში დიდი ამბის პატარა ეპიზოდი შეგვაქვს, აბიტურიენტი იძულებულია, დაწვრილებით იცოდეს შინაარსი. აი, აქ, უკვე გამოცდის მიზანიც მიღწეულია და ის მიზანიც, რაც ლიტერატურას აკისრია, რასაც ეროვნული მწერლობის მეშვეობით საკუთარი თავის ქართველად შეცნობა ჰქვია. რადგან „ვეფხისტყაოსნის" მთავარი ღირსება ხომ იმაშია, რომ ქართულად ცხოვრების გზას გვასწავლის და ამ ცხოვრების გეზის მომცემია.

ბილეთის ბოლო საკითხი რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების შეფასება-ანალიზს გულისხმობს. ჩვენში დიდია ტრადიცია მწერლის შემოქმედების რომელიმე მოტივის დახასიათებისა, მისი ცხოვრების გზაზე საუბრისა, მაგრამ კონკრეტული, ერთი ნაწარმოების ანალიზის ტრადიცია არ გვაქვს. შეიძლება ახალგაზრდამ მშვენივრად ისაუბროს გალაკტიონის ლირიკაზე, მაგრამ მის უკვდავ „მე და ღამეზე" ვერაფერი თქვას, რადგან სკოლა, უმეტეს შემთხვევაში, ამ ჩვევას არ უნერგავს.

— სამწუხაროდ, აქ ბევრი ფაქტორი მოქმედებს, ის, რაზედაც თქვენ ასე საინტერესოდ ისაუბრეთ, — ვგულისხმობ მოძველებულ სახელმძღვანელოებს, ახლის შექმნის აუცილებლობას და ა.შ. (სამწუხაროდ, საგაზეთო წერილი მათი გაშუქების შესაძლებლობას არ იძლევა). ბატონო თემურ, რამდენადაც ვიცი, ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა მიმდინარეობს, განსხვავებით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისაგან, სადაც ზოგიერთ ფაკულტეტზე ზეპირი გამოცდაც ტარდება და ერთ-ერთი საკითხი გრამატიკას ეხება.

— ბილეთები წერითი მეტყველების შემოწმების საშუალებასაც გვაძლევს. სიტყვამ მოიტანა და, მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ გრამატიკის სწავლება საშუალო სკოლაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვასწავლოთ აკაკი შანიძის ან სხვა დიდებული მეცნიერების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოთი. ლაპარაკია იმაზე, რომ სწავლების ფორმა უნდა შეიცვალოს ძირფესვიანად, ალბათ, უფრო გამართლებული იქნება აქცენტის გადატანა მართლწერის საკითხებზე, წერის კულტურაზე, რაც, თავისთავად, გრამატიკის ცოდნას გულისხმობს.

— პოლიტექნიკური ინსტიტუტი ტექნიკურ უნივერსიტეტად გადაიქცა. ალბათ, ეს მარტო აზრის შეცვლა არ არის...

— რა თქმა უნდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ტრადიციულად ყოველთვის ბარდებოდა და მერე ისწავლებოდა მშობლიური ენა და ლიტერატურა. საუნივერსიტეტო განათლების სისტემაზე გადასვლამ, ბუნებრივია, გაზარდა ჰუმანიტარული საგნების ხვედრითი წილი. უპირველეს ყოვლისა, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის ისტორიის კათედრებს ვგულისხმობ. ეს საგნები ისწავლება ყველა სპეციალობაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას ტექნიკურ უნივერსიტეტში საფუძვლად ჩემს მიერ დამუშავებული და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამა უდევს, რომლის ძირითადი ამოსავალი პრინციპი გახლავთ ის, რომ ქართული ენის, მწერლობის მეშვეობით ინჟინერი უნდა ეზიაროს ჩვენს კულტურას, გახდეს ერის განუყოფელი ნაწილი, იქცეს იმად, რასაც ქართველი ინჟინერი ჰქვია და არა — ინჟინერი, ზოგადად.

— ეს, რაც შეეხება იმ ფაკულტეტებს, რომლებიც მანამდეც არსებობდა. გასაგებია, რომ მათ ახალი დატვირთვა შეიძინეს და საუნივერსიტეტო განათლებისკენ აიღეს გეზი. რას ისახავს მიზნად ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის შექმნა?

— ჩვენი თანამედროვეობა სირთულითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცხოვრებამ თავად დააყენა ჰუმანიტარული და ტექნიკური ცოდნის, მე ვიტყოდი, არა შერწყმის, არამედ, გადაკვეთის მიჯნაზე ახალი სპეციალობების წარმოქმნა. დიდი ხანია, ყური შევაჩვიეთ, რომ არსებობს, ვთქვათ, სპორტული ჟურნალისტი, ტელეჟურნალისტი და ა. შ. ზოგადი განათლება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დავუშვათ, ჟურნალისტმა იმოღვაწოს სპეციალურ სფეროში. ახალი სპეციალობა — ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა (ყურში შეიძლება საამოდ არ ჟღერდეს), მაგრამ შინაარსით გულისხმობს ტექნიკის სფეროში საფუძვლიან განათლებამიღებულ ჟურნალისტს. ამასვე მოგახსენებთ მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობაზეც. რეფერენტი ის სპეციალობა გახლავთ, რომელიც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს სჭირდება. მთარგმნელ-რეფერენტი კი გულისხმობს უცხო ენის მცოდნე რეფერენტს, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ტექნიკის სფეროში განსწავლულს, რომელსაც შეუძლია იმუშაოს თარჯიმნად, აწარმოოს საქმიანი ურთიერთობა. ეს ხვალინდელი საქართველოს სპეციალისტია.

მართალი ბრძანეთ, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ერთი დღით გაუსწრო მოვლენებს, რადგანაც ვერც ერთი უმაღლესი სკოლა ვერ იარსებებს, თუ დროს არ შეუწყო ფეხი, არ იფიქრა ხვალ და ზეგ რა სახის სპეციალისტები დასჭირდება ქვეყანას.

ესაუბრა ნანა ილურიძე

გვჭირდება კი კერძო უმაღლესი სასწავლებლები?

დღესდღეობით, საქართველოს მოსახლეობის აზრი ფასიან სასწავლებლებთან დაკავშირებით, ორადაა გაყოფილი. ზოგი უარყოფს, ზოგი კი — ამართლებს. ჩვენ ვერ ვიქნებით ტენდენციურნი, ხელაღებით ვერც ერთ აზრს ვერ მივემხრობით, ის კი უდავოა, რომ ჭეშმარიტი განათლება ერის წინსვლისათვის აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ფასიან სასწავლებელთა ყოფნა-არყოფნის პრობლემას დრო განსჯის და, ალბათ, მხოლოდ ღირსეული დარჩება.

ზოგიერთის აზრით, ფასიან სასწავლებელთა ასეთი მატება შესაძლოა, უახლოეს ხანში ერისათვის დამღუპველიც აღმოჩნდეს. ჩვენი პატარა ქვეყანა ამდენ სპეციალისტს ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით. ქალაქს სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდობის ნაწილი აღარ უბრუნდება მშობლიურ კერას და დედაქალაქში მკვიდრდება.

ბევრი ე.წ. კომერციული სასწავლებელი ცრუ დაპირებით იზიდავს აბიტურიენტებს, — ზოგი არარსებული სამხედრო კათედრით იტყუებს ჯარისგან განთავისუფლების მოსურნე ახალგაზრდობას, სხვანი — უცხოეთში გაგზავნას აღუთქვამენ და, ეს მაშინ, როცა ამის განხორციელება მათ არ ძალუძთ.

თუმცა, ყველა ფასიან სასწავლებელზე ამას ვერ ვიტყვით. გვესაუბრებიან კერძო არასახელმწიფო საერო უნივერსიტეტ „იბერიასა"და „გეორგიას" რექტორები, ბ-ნები აკაკი ოზიაშვილი და ალექსანდრე ბერია. უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ საკუთარი ბაზა, ლაბორატორია, ჰყავთ მაღალკვალიფიციური ლექტორები.

— რას იტყვით თქვენი სასწავლებლის შესახებ?

ბ-ნი აკაკი ოზიაშვილი: „იბერიას" (დაარსდა 1991წ.) აქვს იურიდიული, ეკონომიკური და ისტორიული ფაკულტეტები სხვადასხვა სპეციალობით. ჩვენს ფაკულტეტებს არ ესაჭიროება ბაზები, მაგრამ უზრუნველყოფილი ვართ ლაბორატორიებით. სტუდენტები პრაქტიკას გადიან პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში, რაიონის გამგეობებში. ჩვენთან დაუშვებელია ლექტორის მიერ ლექციის გაცდენა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ დასწრებას ფუნქციონირებს სამეცნიერო საბჭო, ვაწყობთ ექსკურსიებს, სპორტულ ღონისძიებებს, პედაგოგები თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან არიან მოწვეულნი.

ბ-ნი ალექსანდრე ბერია: ჩვენს უნივერსიტეტს (დაარსდა 1991წ) აქვს ჰუმანიტარული, ტექნიკური, სტომატოლოგიური, ეკონომიკური ფაკულტეტები. „გეორგია" უზრუნველყოფილია თანამედროვე უმაღლესი განათლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო დოკუმენტაციით. ლინგაფონის კაბინეტი დაკომპლექტებულია უცხოური ჟურნალებითა და კასეტებით. ზოგიერთ საუკეთესო სტუდენტს, რა თქმა უნდა, მათი სახსრებით, ერთი წლით სასწავლოდ და სამუშაოდ უცხოეთში გავგზავნით. ჩვენთან მოღვაწეობენ უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები.

კორ.: სასწავლებელდამთავრებულები მიღებული სპეციალობით მუშაობენ თუ სხვა სფეროში მოღვაწეობენ?

ა.ო.: კურსდამთავრებულთა 80% სპეციალობით მუშაობს სასამართლოში, პროკურატურაში, სკოლაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ა.ბ.: ჩვენთან მიღებული სპეციალობით მუშაობენ: საელჩოში, უშიშროების კომიტეტსა და სხვა დაწესებულებებში. თუმცა, რა თქმა უნდა, იქნებიან არასპეციალობით მომუშავენიც.

კორ.: თქვენი ზოგიერთი სტუდენტი რაიონიდანაა ჩამოსული. მათი სოფელს ჩამოშორება ხომ არ ვნებს საქართველოს ეკონომიკას?

ა.ო.: ეს მაშინ მოხდება, თუ ისინი აქ დარჩებიან. ჩვენი კურსდამთავრებულნი, უმთავრესად, მაინც უბრუნდებიან სოფელს.

ა.ბ.: ახალგაზრდების მიზიდვით უმაღლესი სასწავლებელი თუ მათ გაკეთილშობილებას შეუწყობს ხელს, ეს მისასალმებელია, მაგრამ, თუ რაიონს მოშორებულ სტუდენტებს სასწავლო დაწესებულება თავაშვებული ცხოვრების ნებას მისცემს და მათ ცოდნას არ გააკონტროლებს, დანაშაულია. ამიტომ, უნდა შემოწმდეს ახალგაზრდობის დასწრება, ჩატარდეს აღმზრდელობითი მუშაობა, ყოველდღიური დაკვირვება, რომ მათ გზა არ გაუმრუდდეთ.

კორ.: რას გვეტყვით კერძო არასახელმწიფო სასწავლებელთა ასეთ მომრავლებაზე?

ა.ო.: კერძო სასწავლებელთა არსებობა ძალიან კარგია, მაგრამ მახინჯი ხასიათი არ უნდა მიეცეს.

ა.ბ.: როგორც არ შეიძლება ამდენი კომერციული ჯიხური, ასევე უარსაყოფია მომრავლებული კერძო სასწავლებლები. რადგან განვითარების ევროპულ გზას ვადგავართ, სპეციალობის არჩევაც თავისუფალი უნდა იყოს. მაგრამ ეს თავისუფლება ღირსეულად უნდა გამოიხატოს. არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელს მთლიანად დამოუკიდებლობა მივანიჭოთ და არ შევამოწმოთ. თუ ინსტიტუტი არ ასრულებს, ძირითადად, ოთხ ფაქტორს, ლიცენზია არ უნდა მიეცეს. ესენია მაღალკვალიფიციური ლექტორები, ტექნიკურ-სამეცადინო ბაზა და სასწავლო დისციპლინა. ყველა სპეციალისტმა უნდა იცოდეს უცხო ენა, აღმოსავლური თუ დასავლური, ასევე ჰქონდეს ინფორმატიკული ცოდნა.

კორ.: რა აზრისა ბრძანდებით ბაზალეთის უნივერსიტეტის გამო?

ა.ო.: ამის ხსენება არ უნდა იყოს, ბაზალეთის თურქული უნივერსიტეტი არ უნდა არსებობდეს.

ა.ბ.: საქართველოს აქვს დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალი და შეუძლია ყველა პრობლემა გადაწყვიტოს. მხარს ვუჭერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციას, დღეს არაა საჭირო თურქული უნივერსიტეტის გახსნა. „გეორგიას" სამეცნიერო საბჭოც ამ შეხედულებისაა.

სამწუხაროდ, ხალხმა დაივიწყა, რომ სიყვარულითა და ერთგულებით გაკეთებული ყველანაირი საქმე დასაფასებელია და არც ერთ ხელობას უპირატესობა არ უნდა მივანიჭოთ. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ყველა დიპლომს დახარბებული არ უნდა იყოს და ვინც რისთვისაცაა მოწოდებული, იქ უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა.

მანანა ნოზაძე

საწერი და საბეჭდი ქაღალდი
ყველაზე იაფად

24 ივნისიდან ქაღალდი ჩვენთან
კიდევ უფრო გაიაფდა
თეთრი — I ხარისხის
1 შეკვრა (200 ფურცელი) —
~~3,9~~ 3,3 ლარი
მუქი — II ხარისხის
1 შეკვრა (250 ფურცელი) —
~~2,7~~ 2,2 ლარი
გადარიცხვით და ნაღდ ანგარიშზე
მინიმალური რაოდენობა —20 შეკვრა

☎ 36-78-07, 98-74-44
აკურის ქ.№8
სპორტის სასახლის უკან, „კოლორი"
(გამოთვლითი მათემატიკის ცენტრი)

საუკეთესო ხარისხის
ნებისმიერი
პოლიგრაფიული
პროდუქცია
თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში
გამომცემლობა «კოლორი»
☎ 36-78-07, 98-74-44 აკურის ქ. №8
Color სპორტის სასახლის უკან

ეტიკეტები
ბლანკები
გაზეთები
ბროშურები
წიგნები
პლაკატები
ფასიანი ქაღალდები
და სხვა

დამზადდება და ბეჭდვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლი ინაუგურაციის ცერემონიალს ამუშავებს

რუსეთის პრეზიდენტის პირველმა თანაშემწემ ვ. ილიუშინმა განაცხადა, რომ თავის ინაუგურაციამდე — ეი. აგვისტომდე დარჩენილ დროს ბ. ელცინი, ძირითადად, მოსკოვში გაატარებს. იგი შეეცადა პრესის წარმომადგენელთა ყურადღება ინაუგურაციის პროცედურის მიმართ სხვა საკითხებზე გადაეტანა და თქვა, ჯერჯერობით, ბოლომდე არც ადგილია ცნობილი და არც მისი საბოლოო მონაწილეებიო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. რიაბოვმა კი მეტი ინფორმაცია მიაწოდა კრემლში შეკრებილ ჟურნალისტებს. მან თქვა, რომ პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, ამ საზეიმო ცერემონიალის მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური კომისია და მას სათავეში ელცინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნ. ეგოროვი უდგასო. იმ სცენარებში, რომლებსაც იხილავენ, თვით ბატონი რიაბოვის როლი განხილვის საგანი არ ხდება. სწორედ მან უნდა გადასცეს პრეზიდენტს მისი არჩევის დამადასტურებელი მანდატი, რის შედეგადაც პრეზიდენტი ერთგულების ფიცს დადებს. ბ-ნი რიაბოვი ამბობს, რომ სცენარისტები ვარაუდობენ, ცერემონიალი კრემლში, სობორნაიას მოედანზე ჩატარდეს და ამით აღადგინონ რევოლუციამდელი რუსეთის ტრადიციები. სცენარისტებს ერთი თვის განმავლობაში რთული საკითხის გადაჭრა მოუწევთ — როგორ შეაერთონ ახალი რუსეთის საერო ხასიათი მართლმადიდებელი იმპერიის სულიერ პრინციპებთან.

კომერსანტ დეილი №117

ალექსანდრ ლებედი „ვაკუუმს" ავსებს

უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრ ლებედმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელიც წინა დღეს ხელმოწერილ ორ ბრძანებულებას — უშიშროების საბჭოს საქმიანობასა და მოსკოვისა და მის ოლქში კორუფციასთან ბრძოლას ეხებოდა. მან თქვა, რომ ახალი ბრძანებულება უშიშროების საბჭოს ავალებს შეუქმნას პრეზიდენტს ისეთი პირობები, რომლებშიც იგი ადამიანისა და მოქალაქის უფლებისა და თავისუფლების დასაცავად თავის საკონსტიტუციო უფლებამოსილების რეალიზაციას შეძლებს. გენერალმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებაში შემავალ საკითხთა წრე გაფართოვდა. მისი თქმით, ამ ორგანოს ამიერიდან სახელმწიფოს შინაგანი, საგარეო და სამხედრო პოლიტიკის სტრატეგიის დამუშავება, ხელისუფლების სტრუქტურების მიერ მათ განხორციელებაზე კონტროლის დაწესება, უშიშროების საკითხებზე პრეზიდენტის ბრძანებების მომზადება და უშიშროების სისტემის სრულყოფა ეკისრება. ა. ლებედმა განმარტა, რომ საბჭოს საქმიანობა ოთხი მიმართულებით გაიშლება: თავდაცვითი, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და საინფორმაციო. ამ მიმართულებათა გათვალისწინებით შეიქმნება შესაბამისი კომიტეტები და სხვა სტრუქტურები.

უშიშროების საბჭოს განახლებული დებულება ცხადყოფს, რომ დღეს არა იმდენად საბჭოს კომპეტენციაში შემავალ თემათა წრე გაფართოვდა, არამედ თვით საბჭო იქცა ორი ადამიანის — პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს მდივნის სამუშაო ორგანოდ.

რაც შეეხება საბჭოს მდივნის ახალ უფლებამოსილებას, რომელსაც ა. ლებედი თითქმის ერთი თვეა ბორის ელცინისაგან ელის, მიიღო. იგი პრეზიდენტს სთავაზობს, პასუხისგებაში მისცეს უმაღლესი მოხელეები, რომლებსაც უშიშროების საკითხთან დაკავშირებით დამნაშავეებად თვლის. ლებედი აგროვებს და პრეზიდენტს წარუდგენს ინფორმაციას უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურებზე და ა.შ.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, სრულად მიიღო თუ არა ის უფლებამოსილება, რომელიც სურდა, გენერალმა უპასუხა: დიახ, საკმარისად. როცა შეეკითხნენ რომელი სტრუქტურების ხარჯზე გაფართოვდა თვით საბჭოს უფლებებიო, ლებედმა უპასუხა: „ჩვენ უბრალოდ ვაკუუმი შევავსეთ".

სეგოდნია №22

ტერ-პეტროსიანი კონგრესის წინააღმდეგ

სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა სრულიად სომხეთის კონგრესის — „მთიანი ყარაბაღის დასაცავად" მიმართ. კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურმა, სომხეთის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, არამ სარქისიანმა განაცხადა, რომ ლ. ტერ-პეტროსიანი კონგრესის ჩატარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც ყოველთა სომეხთა კათალიკოსისა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტის აზრით, ამ კონგრესის მოწვევა აუცილებელია. ვარაუდობენ, რომ ლ. ტერ-პეტროსიანს აშინებს, კონგრესისადმი აზერბაიჯანის, თურქეთისა და აშშ-ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაართულებს ყარაბაღის პრობლემის გადაჭრას.

პრავდა №97

ჩეჩნეთში მოკლეს ფედერალური ძალთა გენერალ-მაიორი და ჩეჩენი საველე მეთაური

ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერმა ზელიმხან იანდარბიევმა და ფედერალურ ჯართა მთავარსარდალმა მზადყოფნა გამოთქვეს მოლაპარაკების გასაახლებლად, მაგრამ შეხვედრის ადგილისა და დროის შესახებ არაფერია ცნობილი. საბრძოლო მოქმედებები კი კვლავ გრძელდება და უფრო ფართომასშტაბიანი ხდება.

სოფელ გეხის მისადგომებთან, ბრძოლისას, დაიღუპა ცნობილი საველე მეთაური, ჩეჩენთა ფორმირების სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სარდლის მოადგილე, ყოფილი საბჭოთა არმიის კადრის ოფიცერი დოკუ მახაევი. იმავე დღეს, ჩეჩნეთში დაიღუპა რფ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო ჯარების უფროსი, 52 წლის გენერალ-მაიორი ნიკოლაი სკრიპნიკი. გენერალი სოფელ გეხის მისადგომებთან ბლოკ-პოსტების დათვალიერებისას ნაღმით აფეთქდა და მძიმე ჭრილობის შედეგად ორი საათის შემდეგ ვლადიკავკაზის ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

გრძელდება ბრძოლა სოფელ მახკეტისთანაც, სადაც რუსეთის დაზვერვის მონაცემებით, ზელიმხან იანდარბიევის შტაბ-ბინა უნდა იყოს განლაგებული. იტყობინებიან, რომ გასული დღე-ღამის განმავლობაში ამ ადგილებს ცეცხლს უშენდნენ „გრადისა" და „ურაგანის" ტიპის დანადგარებიდან.

ნაღმები მახკეტის გვერდითა სოფლებს ხატუნსა და კიროვ-იურტსაც ხვდებოდა. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, რომლებმაც სოფლის დატოვება სროლის დასაწყისში მოასწრეს, პირველივე დარტყმით 18 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე ათეული დაიჭრა, რომელთა ევაკუირება ვერ მოხერხდა. ავიადარტყმა მიაყენეს, აგრეთვე, სოფელს — ელისტანჯისა და ვედენოს.

პრესკონფერენციაზე გენერალმა ლებედმა განაცხადა: „არმია ვერ იბრძოლებს ამა და ამ რიცხვის 18.00 საათამდე, მან გამარჯვების მიღწევამდე უნდა იბრძოლოს. თუ ერთხელ მაინც მოგვიწევს ჯარის გამოყენება, ის აღარ შეჩერდება."

სეგოდნია №122

საქართველო ეხმარება რუსულ დიასპორას

უკანასკნელ წლებში 340 ათასი რუსულენოვანი მოსახლეობიდან 150 ათასმა დატოვა საქართველო. ეს ინფორმაცია რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების თავმჯდომარემ იგორ ბოგომოლოვმა წარადგინა. იგი აღნიშნავს, რომ რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებები საქართველოში შეზღუდული არ არის, საქართველოს ტოვებენ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური გასაჭირის გამო. კულტურის სამინისტრომ რუსულენოვან პენსიონერებს თეატრებსა და მუზეუმებში უფასო სიარულის ნება დართო. ჯანმრთელობის სამინისტრომ კი 15 ათასი დოლარი გამოუყო სოციალურად დაუცველ რუსულ დიასპორას.

ნეზავისიმაია გაზეტა №124

ვლადისლავ არძინბა მზად არის, შეხვდეს ედუარდ შევარდნაძეს

აფხაზი ლიდერის ექსკლუზიური ინტერვიუ „ნეზავისიმაია გაზეტასთან".

— როგორი სოციალური და ეკონომიკური ვითარებაა ამჟამად აფხაზეთში?

— მდგომარეობა ძალზე რთულია, რაც გამოწვეულია ყოველნაირი ბლოკადით. პრაქტიკულად, შეუძლებელია ნორმალური საქონელბრუნვა. ამის გამო შეჩერებულია წარმოება, უმთავრესად ეს ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

— საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რუსეთში საკადრო ცვლილებები მოხდა. იმოქმედა თუ არა ამან აფხაზეთზე და რას იტყოდით ამის გამო?

— ჯერჯერობით, ნაადრევია იმის თქმა, თუ როგორ იმოქმედებს ეს ცვლილებები აფხაზეთზე.

— ბოლო დროს გამოჟონა ინფორმაციამ, თითქოს თქვენსა და ქართული მხარის წარმომადგენლებს შორის დიალოგი გახშირდა, რას იტყვით ამის თაობაზე? როგორი მდგომარეობაა, მართლა მიმდინარეობს მოლაპარაკება?

— დიალოგი რამდენიმე წელია, მიმდინარეობს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა შუამდგომლობით, აგრეთვე, გაეროს ეგიდითაც. ვეძებთ გზებს მდგომარეობის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. ბ-ნი შევარდნაძის თხოვნით, შევხვდი საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილეს, საქართველოს ელჩს რუსეთში ბ-ნ ლორთქიფანიძეს. საუბარს ესწრებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პასტუხოვი. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ეს კონტაქტი, დიალოგი და ვიპოვოთ მშვიდობიანი გადაწყვეტილების გზა.

— აფხაზეთის მხარესთან თუ გაქვთ შეთანხმებული პროექტები და დოკუმენტები?

— არსებობს ოქმი, რომელსაც დიდი ხანია, ვიხილავთ. ვმსჯელობთ სამმხრივ შეხვედრებზე, ამ ოქმში შეთანხმებულია სტატიათა უმეტესობა. 1-2 საკითხში არ ვეთანხმებით ერთმანეთს. მაგრამ იმედი მაქვს, მოლაპარაკების პროცესში ამასაც შევათანხმებთ.

— ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ, რომ აფხაზური მხარე ლტოლვილთა დაბრუნებას ხელს უშლისო. „ნეზავისიმაია გაზეტას" ცნობით, ლტოლვილები ოფიციალურად თუ სტიქიურად, თურმე, მაინც ბრუნდებიან. ხომ არა გაქვთ ინფორმაცია, რამდენი ადამიანი დაბრუნდა?

— ჯერ ერთი, აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად მოსახლეობს 30 ათასი ქართველი, ზოგი — ომის შემდეგ დარჩა, ზოგიც — უკან დაბრუნდა. გარდა ამისა, გალის რაიონში ცხოვრობს 65 ათასი ადამიანი, მათი ნაწილი უკანასკნელ წლებში დაბრუნდა.

გაეროს ლტოლვილთა საქმის სამმართველოს უმაღლესი კომისარი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები და საქართველო უარს ამბობენ დაბრუნებულთა რეგისტრაციაზე.

ჩვენ დამოუკიდებლად აღვრიცხეთ 10 000-ზე მეტი ადამიანი. დაინტერესებულნი ვართ, მათ შევუქმნათ ნორმალური საცხოვრებელი პირობები, თუმცა, სამწუხაროდ, ამ რაიონს მთლიანად ჩვენ ვერ ვუწევთ კონტროლს. გალში გამრავლდა ბანდიტური ფორმირებები. სამშვიდობო ძალები კი არავითარ ზომებს არ ღებულობენ მათ წინააღმდეგ.

ბუნებრივია, ოთხმხრივი მოლაპარაკების შესაბამისად, აფხაზეთში დაბრუნებული ყოველი ადამიანი უნდა შევამოწმოთ, — მონაწილეობდა თუ არა იგი სამხედრო კონფლიქტში, თუ მონაწილეობდა, შეიძლება გაასამართლონ და დასაჯონ კიდეც. ასეთებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რა სჯობს, — დაბრუნდნენ აფხაზეთში თუ არა. ასე რომ, მტკიცება, თითქოს ლტოლვილები არ ბრუნდებიანო, მართალი არ არის. მეორე მხრივ, ლტოლვილთა პრობლემა პირდაპირ უკავშირდება მდგომარეობის პოლიტიკურ მოწესრიგებას და, ბუნებრივია, სანამ საბოლოოდ არ დამშვიდდება ყველაფერი, მანამ იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ეს პრობლემა თავისთავად მოგვარდება.

ის, რომ საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მითითებით, შეთანხმების მიუხედავად, ჩვენს ტერიტორიაზე, კოდორის ხეობაში შემოჰყავთ ვითომდა პოლიციის სახით ქართული სამხედრო ქვედანაყოფები, ფაქტობრივად, ხელს უწყობს კონფლიქტის განახლებას. ამის გამო, ვაპირებთ, პროტესტი გამოვუცხადოთ სამშვიდობო ძალებისა და გაეროს დამკვირვებლებს და იძულებული ვიქნებით, ყველაფერი ვიღონოთ ამ ფორმირებების აფხაზეთიდან გასაძევებლად.

— გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რას ფიქრობს საქართველოს მხარე აფხაზეთის სტატუსის თაობაზე?

— აფხაზეთის სტატუსის საკითხს ჩვენ ქართულ მხარეს არ ვუთანხმებთ. იგი უკვე განსაზღვრულია აფხაზეთის კონსტიტუციით. ჩვენ აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ვათანხმებთ ურთიერთდამოკიდებულებას, თანაარსებობის მისაღებ ფორმას, — იქნება თუ არა ეს ფედერალური კავშირი, სამოკავშირეო სახელმწიფო თუ სხვა, ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ამ საკითხზე ვმუშაობთ. რაც შეეხება სტატუსს, იგი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად წყდება რესპუბლიკის ხალხის მიერ და არა გარედან.

— რას იტყვით, არის თუ არა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განახლების პერსპექტივის საშიშროება?

— თუ გავითვალისწინებთ ქართული ფორმირებების გადაადგილებას კოდორის ხეობაში, თანაც იმას, რომ 19 ივლისს ვადა გაუდის აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნას, თუ მათ ვადას არ გაუგრძელებენ, რა თქმა უნდა, კონფლიქტი შეიძლება განახლდეს.

— როგორია კრიმინოგენული სიტუაცია აფხაზეთში?

— ამ მხრივ გალის რაიონში ურთულესი მდგომარეობაა. ქართულმა ბანდფორმირებებმა და სამხედრო სპეცდანაყოფებმა იქაურობა დანაღმეს, რის შედეგადაც დაიღუპნენ არა მარტო ჩვენი, არამედ გაეროს წარმომადგენლებიც. სხვა ადგილებში სიტუაცია შესამჩნევად მშვიდია, რაც შეიძლება ვინმეს არ მოწონდეს კიდეც.

— და ბოლოს, ბატონ შევარდნაძეს ხომ არ მოლაპარაკებიხართ პირადად შეხვედრაზე?

— ვფიქრობ, პრობლემების გადასაწყვეტად უსათუოდ უნდა შევხვდეთ და განვიხილოთ სამომავლო გეგმები. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი შეხვედრისთვის რუსეთის ფედერაციისა და გაეროს წარმომადგენლების თანდასწრებით, რათა ავიცდინოთ კონფლიქტის შედეგები, მშვიდობიანი გზით გადაწყდეს ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა.

იბეჭდება შემოკლებით

ნეზავისიმაია გაზეტა №126

...ხაჭაპური... კოკა-კოლა... ხინკალი, რას მიირთმევ, მითხარი!..

ქალბატონებო და ბატონებო! რომ გაგიადვილოთ დედაქალაქის რესტორნებისა და კაფეების შერჩევა, — სად გაატაროთ დრო, — ვაგრძელებთ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაწყებულ საუბარს, — გთავაზობთ კაფეების მოკლე აღწერილობასა და ჩვენეულ შეფასებას

ᲙᲐᲤᲔ ᲕᲐᲙᲔ (ილია ჭავჭავაძის გამზ. №42)

1. *ინტერიერი* – ნათელი და სუფთა. დომინირებს თეთრი ფერი. აღსანიშნავია ორიგინალური დახლი და საკმაოდ მიმზიდველი გარე-კაფე — 7 ქ

2. *სისუფთავე* — 7 ქ

3. *მომსახურება* — შეკვეთას მიიღებენ უნიფორმიანი თავაზიანი გოგონები და სწრაფად მოგემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ ყველა კერძი მზადაა და შეკვეთას სწრაფად მოგიტანენ, რაც ამ ტიპის კაფეებისათვის დიდი პლუსია. — 7 ქ

4. *კერძები* — კაფეში შეგიძლიათ მიირთვათ საკმაოდ ფართო ასორტიმენტის, ძალზე გემრიელი ტკბილეული. აქ არის იმერული, მეგრული და ფენოვანი ხაჭაპური, პიცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეგრული ხაჭაპური, რომელიც ძალიან გემრიელია. კაფეში მზადდება ორიგინალური ლორიანი პიცა.

სასმელებიდან აქ შეგიძლიათ მიირთვათ კოკა-კოლა, ფანტა, ყავა, სხვადასხვა ნატურალური წვენი, ლუდი, შამპანური. კოკა-კოლა ჩამოსასხმელია და არ ჩამოუვარდება ბოთლისას.

5. *ფასები* — მეგრული ხაჭაპური — 2,50 ლ. იმერული — 2 ლ. პიცა — 2,5 ლ. სხვადასხვა ნამცხვარი — 1-დან 2,5 ლ-მდე

კოკა-კოლა — 70 თ. ნატურალური წვენები — ჭიქა 70 თ. — 7 ქ

6. *გარემო* — სხვა კაფეებთან შედარებით, ამ კაფეში ძალიან არ ცხელა.

კაფე ჭავჭავაძის გამზირის მარცხენა მხარესაა, ამიტომ გარე-კაფეშიც მთელი დღე ჩრდილია. საზოგადოება სასიამოვნოა. — 7 ქ

საერთო შეფასება — 7 ქ

ᲙᲐᲤᲔ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ (ილია ჭავჭავაძის გამზ. №42)

თბილისში ერთ-ერთი ყველაზე მოდური კაფეთაგანია.

1. *ინტერიერი* — ორიგინალურია, გემოვნებით გაკეთებული, მოხერხებული მაგიდები და სკამები კარგად ერწყმის ინტერიერს. აღსანიშნავია ლამაზი ბარი და აკვარიუმი, შემოსასვლელში.

მშვენივრად არის გაკეთებული გარე კაფე. ჯერჯერობით, თბილისის გარე კაფეებიდან ეს გარე-კაფე საუკეთესოა. ორიგინალური ბარიერისა და საჩრდილობლის გამო, თქვენ თავისუფლდებით „შუა ქუჩაში ჯდომის" შეგრძნებისაგან. — 9 ქ

2. *სისუფთავე* — 7 ქ

3. *მომსახურება* — შეკვეთას მიიღებს მკაცრი, სევდიანი სახის გოგონა. საერთოდ, სახის ასეთი გამომეტყველება, როგორც ჩანს, ამ კაფეს სავიზიტო ბარათია, თქვენს მიერ შეკვეთილ ცხელ კერძს მოამზადებენ 10-15 წუთში. ოფიციანტი თავაზიანად მოგემსახურებათ. — 7 ქ

4. *კერძები* — კაფეში კერძებისა და სასმელების ძალიან დიდი არჩევანია. აქ შეგიძლიათ მიირთვათ პიცა, ხაჭაპური, ცივი საუზმე, სალათი, განსაკუთრებით, აღსანიშნავია კიევური კატლეტი, რომელიც ამ კაფეს საფირმო კერძია და ძალიან გემრიელიცაა.



სასმელები — კოკა-კოლადან დაწყებული თუქილათი დამთავრებული მრავალნაირი ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელი. — 8 ქ

5. *ფასები* — კაფეში თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ თქვენი ჯიბისათვის მისაწვდომი კერძები. ზოგი კერძი ძვირია, მაგრამ არის იაფი კერძებიც.

კიევური კატლეტი — 9,80 ლ.

სალათები — 2-დან 7 ლ-მდე სოკო — 6ლ. ხაჭაპური — 2 ლ. პიცა — 3.50 ლ.

კოკა-კოლა — 0.90 ლ. ლუდი — 3-დან 5 ლ-მდე არაყი— 50 გრ. — 2-დან 4 ლ-მდე

თუქილა — 3.50 ლ. — 7ქ

6. *გარემო* — კაფეში სასიამოვნოდ გრილა — 8ქ

საერთო შეფასება — 7.7ქ

ᲙᲐᲤᲔ ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ქვეშ (თავისუფლების მოედანი).

1. *ინტერიერი* — ღია კაფეს ტიპისაა, მოთავსებულია ცეკავშირის ეზოში. ქალაქის ცენტრში, მყუდრო, ღია კაფე სასიამოვნოა. — 6ქ

2. *სისუფთავე* — 7ქ

3. *მომსახურება* — აქ მოგემსახურებიან სიმპათიური შუა ხნის მანდილოსნები. ძირითადად, მზა პროდუქცია იყიდება. — 5 ქ

4. *კერძები* — ღარიბი ასორტიმენტია. შეგიძლიათ მიირთვათ ფენოვანი ხაჭაპური, სოსისი, ნაყინი, გამაგრილებელი სასმელები: კოკა-კოლა, ფანტა, ლუდი, არის შამპანური. — 4 ქ

5. *ფასები* — ფენოვანი ხაჭაპური — 0.6 ლ.

კოკა-კოლა — 0.5 ლ. ფანტა — 0.7 ლ. ბორჯომი — 0.7 ლ. ლუდი — 1.6-დან 3 ლ-მდე. ნაყინი — 0.7-დან 2 ლ-მდე — 6 ქ

6. *გარემო* — ეს გარე კაფე ძალიან მყუდროა. ხმაურიანი ქუჩიდან უცებ მოხვდებით მშვიდ გარემოში, სადაც შეგიძლიათ მცირე ხნით შეისვენოთ და შემდეგ განაგრძოთ გზა. — 6ქ

საერთო შეფასება — *5.6 ქ*

„ᲛᲡᲣᲜᲐᲒᲘ"

სოცუზრუნველყოფა — ქვეყნის სტაბილურობის საწინდარია

საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი 1991 წლის 31 მარტს შეიქმნა. მეთოდო-ლოგიური თვალსაზრისით, არსებული მოდელი გერმანულ გამოცდილებას ეფუძნება. მსოფლიო ბანკის მისიის ხელ-მძღვანელმა ქ-მა მიშელ რიბუმ ძლიერ მოიწონა და დადებითად შეაფასა ფონდის საქმიანობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის სახელმწიფო ფონდით დაინტერესებულია საზღვარგარეთის რამდენიმე მსხვილი ფირმა. გვესაუბრება ფონდის გენერალური დირექტორი ბ-ი ოთარ ხუფენია:

— სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის სახელმწიფო ფონდის მუშაობის მექანიზმი რამდენადმე განსხვავდება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული სადაზღვევო სისტემის მუშაობის პრინციპებისაგან, სადაც დაზღვევის ტარიფის ნახევარს იხდის დაზღვეული, ნახევარს — დამზღვევი. აღსანიშნავია, რომ შენატანის გადახდისას ხდება ორივე მხარის ურთიერთკონტროლი. დამზღვევი საქართველოში ტარიფის 37%-ს იხდიდა, ამჟამად იგი 29%-ს გადაიხდის, ხოლო დასაქმებული — ხელფასის 1%-ს იხდის, რითაც იგი მონაწილეობს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდის ანუ თავისი საპენსიო გარანტიების ფორმირებაში. 1995 წლის 1 ივლისს ჩატარებული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა პენსია-დახმარებების დაფინანსების მექანიზმის ძირფესვიან ცვლილებებს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ადრე, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, კავშირგაბმულობა და ბანკები სარგებლობდნენ რა ე.წ. ღია საკრედიტო ხაზით, გასცემდნენ პენსია-დახმარებებს, წლის ბოლოს კი, ამ ხარჯებს სახელმწიფო ფონდი ფარავდა, ანუ, პრაქტიკულად, ფონდი ყოველგვარ საკონტროლო მექანიზმს იყო მოკლებული. დღესდღეობით უშუალო დამფინანსებელი სახელმწიფო ფონდია. აქედან გამომდინარე, მომსახურე სისტემები მკაცრ ფინანსურ კონტროლს დაექვემდებარებიან, თუმცა, დადებითთან ერთად პრობლემური მხარეც გააჩნია, — რესპუბლიკაში რესურსების სიმცირის გამო პენსია-დახმარებების გაცემა გვიანდება.

ფონდის საქმიანობა ძლიერ მოიწონა მსოფლიო ბანკმა. დირექტორთა საბჭოს მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებულია, გამოცხადებულია ტენდერი საკონსულტაციო ფირმის და შემდგომ კონსულტანტების შერჩევისათვის. ცნობილია, რომ საერთაშორისო ტენდერს თავისი პირობები და ვადა გააჩნია — 30-დან 45 დღემდე. ასე რომ, აგვისტოში საქართველოში ჩამოვლენ ის პიროვნებები, რომლებიც ტექნიკურ დახმარებას აღმოგვიჩენენ.

დასრულდა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის და სოციალური დაზღვევის ახალი კანონპროექტის შემუშავება, ხოლო მიმდინარე წლის ბოლომდე ეს კანონპროექტი უნდა მიიღოს პარლამენტმა და ძალაში შევა 1997 წლის 1 იანვარს. გაიშლება კერძო და ნებაყოფლობითი სადაზღვევო კომპანიის ფართო ქსელი. მინდა მოვუწოდო, ვთხოვო ყველა მეწარმეს, ყველა ინიციატივის მქონე პიროვნებას, რათა გაააქტიურონ საქართველოში კერძო სადაზღვევო სისტემის ფორმირების პროცესი. მსოფლიო ბანკი ითანამშრომლებს არა მარტო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდთან, არამედ კერძო და ნებაყოფლობით სადაზღვევო სტრუქტურებთან. სოციალური უზრუნველყოფის და დაზღვევის ფონდის ძირითადი მიზანია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის თანდათანობითი, აუჩქარებელი და მოზომილი რეორგანიზაცია. მასში იგულისხმება მოსახლეობის წინაშე სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის ვალდებულებების შემცირება და ალტერნატიულ კერძო სადაზღვევო სისტემებზე მათი გადატანა.

მინდა, აგრეთვე, გაუწყოთ სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის პრაქტიკული მზადების შესახებ. ყველამ ვიცით, რომ რესპუბლიკაში პენსიონერთა აღრიცხვის საკითხი სასურველ დონეზე არ დგას. სახელმწიფო ფონდმა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ფინანსთა და კავშირგაბმულობის სამინისტროებთან, ეროვნულ ბანკთან, აგრეთვე, კომერციულ ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობით განვახორციელეთ რეფორმა — დავხურეთ პენსია-დახმარებების დაფინანსების ე.წ. ღია საკრედიტო ხაზი. ეს იყო საკმაოდ რთული ნაბიჯი, რეფორმამ წარმატებით ჩაიარა, დღესდღეობით, სახელმწიფოს საპენსიო სახსრების მოძრაობის კონტროლის საშუალება აქვს.

დადგა რეფორმის განხორციელების II ეტაპი: პენსია-დახმარებების მიმღებთა ზუსტი აღრიცხვა და მათი რეგისტრაციის ახალი მექანიზმის ფორმირება. წლის ბოლომდე მოხდება ახალი საპენსიო წიგნაკების დარიგება, რომლებიც იქნებიან დანომრილნი, ბეჭედდასმულნი, ფოტოსურათით. ამით ჩვენ დავარეგულირებთ აღრიცხვის პრობლემას. ამით დასრულდება დაფინანსების და აღრიცხვის მექანიზმიც.

სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდმა პურის ფასის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, პენსია-დახმარებებზე დანამატების, კომპენსაციების გაცემის ორგანიზება დროის უმოკლეს ვადაში მოახდინა. სასიამოვნოა, რომ პურის ფასის ლიბერალიზაცია დიდი სოციალური გართულებების გარეშე მოხდა. ე.ი. სახელმწიფო ფეხზე დგება, სახელმწიფოებრიობის სისტემა ყალიბდება.

ᲘᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ

გერბერის კორპორაცია შაქარზე უარს ამბობს

ბავშვთა საკვების გამომშვებმა გერბერის კორპორაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მის პროდუქციაში არ არის შაქარი და დანამატები. ამით ის აპირებს „უშაქრო" ბაზარზე დამკვიდრებასა და მონოპოლიის ხელში ჩაგდებას. მათ მიერ გამოშვებული 221 დასახელების პროდუქციიდან — 190 პროდუქტი ჩვილთათვისაა განკუთვნილი და შაქარს აღარ შეიცავს. უფრო მოზრდილთა საკვებში შაქარი და მინარევები მკვეთრადაა შემცირებული. გერბერის მარკეტინგის განყოფილების დირექტორის, თრეისი ბეიკერის თქმით, ეს თვითონ მომხმარებელმა მოინდომა, მშობლები სწორედ უშაქრო და უმინარევო პროდუქციას აძლევენ უპირატესობას. სჯერათ, ამით ახალშობილთა ჯანმრთელობა გარანტირებული იქნება. ასევე ითხოვენ ნაწარმში წყლის შემცველობის შემცირებას, შაქრისა და ქიმიური მინარევების მთლიანად გამორიცხვას.

გერბერის კორპორაცია ამერიკის ბავშვთა საკვების გამომშვები უძველესი გაერთიანებაა. ის 1901 წელს დაარსდა და ჩვილთათვის განკუთვნილი პირველი საკვები 1928 წელს გამოუშვა.

ᲘᲣᲔᲡᲔᲘ ᲗᲣᲓᲔᲘ, 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ამერიკაში რუსეთის ბრილიანტები უფრო იაფია

1995 წელს რუსეთმა, რომელიც მსოფლიოს საიუველირო ალმასების მეხუთედს აწარმოებს, ფაბრიკებს სამამულო ბრილიანტების მცირე რაოდენობის — 30 კარატის მიყიდვა შეძლო.

შარშან, ბრილიანტებით მოოჭვილი საიუველირო სამშვენისების გაყიდვის ბუმმა მთელი მსოფლიო მოიცვა, რუსეთისა და ტაივანის გარდა. თანაც, ბრილიანტით ვაჭრობის მაჩვენებელი, კორპორაცია „დე ბირსის" მარკეტინგული სამსახურების მონაცემებით, ტოტალურად იზრდება.

რუსეთი ყოველწლიურად დაახლოებით 11 მილიონ კარატ საიუველირო ალმასს ამზადებს. თავის ტერიტორიაზე თითქმის 650 მილიონი დოლარის ალმასს ამუშავებს. მაგრამ თუ მსხვილი, მაგალითად, 1 კარატიანი ბრილიანტის შეძენა გსურთ, რუსეთში ნუ იყიდით, ერთი კვირით გაემგზავრეთ ამერიკაში და ეს პატიოსანი თვალი იქ შეიძინეთ. თანაც, აუცილებლად იაკუტიის, რუსეთში დამუშავებული ალმასი შეიძინეთ. ამერიკაში გასამგზავრებელი ხარჯების მიუხედავად, ბრილიანტი 2,5-ჯერ იაფი დაგიჯდებათ, ვიდრე რუსეთში. მიზეზი ერთია - ამ სახის ნაწარმზე დაწესებული გადასახადი უზომოა. მარტო აქციების დონე სადღეისოდ 43 პროცენტია. ალბათ, ამიტომაც არის, რომ რუსეთის საიუველირო წარმოებები თავიანთი დამუშავებული ალმასების მხოლოდ 5,6 პროცენტს იყენებენ. ეტყობა, როცა ამხელა გადასახადს აწესებდნენ, ფიქრობდნენ, მდიდრები ყველაფერზე თანახმანი იქნებიანო, მაგრამ მდიდრების მოტყუება ძნელი საქმეა. ახალი რუსები ბრილიანტს, ძველებურად, ამერიკაში ან ბელგიაში ყიდულობენ. ველარც პაწაწა ბრილიანტისთვლიან ბეჭედს ან საყურეს ჩუქნიან საცოლეს, — ძალიან ძვირი ჯდება. კონცერნ „იუველირპრომის" მონაცემებით სამშვენისებზე აქციების 10 პროცენტამდე შემცირება 1997 წლის ბიუჯეტს 85 მილიონ დოლარს შემატებს.

ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ №122

FORBES-მა დაასახელა ყველაზე მდიდრები

აზია მილიარდერების რაოდენობით მალე დაეწევა და გაასწრებს ამერიკას. ამაზე მიუთითებს ჟურნალი FORBES-ის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომელიც ამა ქვეყნის მდიდართ ეძღვნება. სიას ძველებურად თავში უდგანან ამერიკელები — ბილ ჰეითსი (18 მილიარდი დოლარი) და უორენ ბაფეთი (15,3 მილიარდი დოლარი), მესამე ად-გილზეა შვეიცარიელი პოლო საშე. მათ შემდეგ — პირველ ათეულში არის აზიის ხუთი წარმომადგენელი. Forbes-ის მონაცემებით, მსოფლიოში სულ 447 მილიარდერია, მათ შორის, 123 აზიელი. აზიის ყველაზე მდიდარი კაცია ჰონკონგელი ლო შაული (12,7 მილი-არდი). ჰონკონგში 20 მილიარდერი ცხოვრობს. მსოფლიოში

ყველაზე მდიდარი ოჯახი უოლტონებისაა — ისინი WELL-MART-ის მაღაზიების ამერიკის ქსელის მეპატრონენი არიან და მათი ქონება 22,9 მილიარდია. მეორე ადგილზეა მარსების ოჯახი (12 მილიარდი). ისინი მთელ მსოფლიოს ამარაგებენ შოკოლადის ბატონებით. პლანეტის ყველაზე მდიდარი ქალია L'OREAL-ის კოსმეტიკური იმპერიის მემკვიდრე ლილიან ბეტანკური. მისი ქონება 5 მი-ლიარდ დოლარს შეადგენს. დიდი ხნის წინათ გამდიდრებულ ოჯახთა სიაში კვლავაც არიან დიუპონები (10 მილი-არდი დოლარი) და როკფელერები (6,2 მილიარდი დოლარი).

ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢ ᲓᲔᲘᲚᲘ №115

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილბალმა უღალატა მეწარმეს

რამდენიმე დღის წინ ქილერებმა მოკლეს პაატა ხომერიკი. მისი ერთ-ერთი ნაცნობის თქმით, იგი საიუველირო მაღაზია „კოსმოზოლოტოს" დირექტორი იყო, მეორე ნაცნობი ამტკიცებს, საკუთარი ქართული რესტორნები ჰქონდაო. გამოძიების დაწყებისთანავე გაირკვა, რომ მოკლულს არაფერი ჰქონდა საერთო არც ერთთან და არც მეორესთან.

ღამის პირველ საათზე პაატა ხომერიკი „JEEP CHEROKEE"-თ მიჩურინის პროსპექტის №58 სახლს მიადგა, სადაც შარშან ბინა იყიდა. როცა მანქანიდან გადმოსვლა დააპირა, ორნი მიუახლოვდნენ და კალაშნიკოვის ავტომატით სროლა აუტეხეს. ხომერიკი მაშინვე გარდაიცვალა. მეზობლებმა სასწრაფოდ მილიციას გამოუძახეს, მაგრამ მკვლელებმა მიმალვა მოასწრეს. მალე შემთხვევის ადგილზე მოკლულის მეგობრები გაჩნდნენ. მათ მილიციას განუცხადეს, რომ პაატა ხომერიკი ძალიან ილბლიანი მეწარმე იყო. მილიციამ ეს ინფორმაცია შეამოწმა, მაგრამ გაირკვა, რომ ხომერიკი თავს ხან მაღაზიის დირექტორად ასაღებდა, ხან რესტორნის პატრონად. მილიციელებ-

ის თქმით, თბილისელი ხომერიკი მოსკოვში რამდენიმე წლის წინ ჩავიდა, მისი უბის წიგნაკის ჩანაწერების მიხედვით, ხომერიკს ნაცნობობა ჰქონდა ცნობილი კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელებთან და კრიმინალურ ავტორიტეტებთან. მრავალჯერ იყო საზღვარგარეთ, იქ რას აკეთებდა და საერთოდ, რითი ცხოვრობდა, ჯერ-ჯერობით, უცნობია.

ახლა სამართალდამცავი ორგანოები მომხდარის რამდენიმე ვერსიას ამუშავებენ. ერთის თანახმად, პაატა ხომერიკს „მხედრიონის" ყოფილი მებრძოლები გაუსწორდნენ. მას შემდეგ, რაც 1995 წელს შევარდნაძემ დაშალა ეს სპეცრაზმი, მისი ბევრი წევრი კრიმინალურ დაჯგუფებაში შევიდა, რომლებიც, ძირითადად, თავიანთ თანამემამულეებისგან ფულის გამოძალვას ეწევიან.

კომერსანტ დეილი №118

მოძალადე ხალხმა გაასამართლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, ქალაქ კასპის პოლიციის შენობას ცეცხლი წაუკიდა სოფელ დოესის დაახლოებით 600-მდე მცხოვრებმა. ხალხი მოითხოვდა 14 წლის გოგონას გაუპატიურების მცდელობისთვის დაპატიმრებული 32 წლის ბეგლარ ბეგლარიშვილის გასამართლებას. აღშფოთებული დოესელები პოლიციის შენობას მიაწყდნენ, მათ წინ 16 პოლიციელი გადაუდგა მაგრამ განრისხებულნი ვერავინ დააოკა. ხალხმა ბენზინი შეასხა შენობას, შელეწა კარი, იზოლატორიდან გამოათრია ბოროტმოქმედი და სოფელში წაიყვანა. დოესის მოედანზე დამნაშავე ჯერ ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს, შემდეგ ჩაქოლეს.

ბეგლარიშვილის ცხედარი ხალხმა დაწვა.

კომსომოლსკაია პრავდა №125

ქალებს სიკვდილით არ დასჯიან

პაკისტანის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ქალების სიკვდილით დასჯის შეცვლის შესახებ. ამიერიდან, ამ ქვეყანაში ქალებისთვის უმაღლეს სასჯელად ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთა სამუდამოდ.

პაკისტანის ინფორმაციის მინისტრის ჰალიდ ჰარალის თქმით, ქალები სიკვდილით არ დაისჯებიან, ისეთი მძიმე დანაშაულის გამოც, როგორიცაა ტერორიზმი და ნარკობიზნესი. ეს ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ „პაკისტანის საზოგადოება მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს ჰუმანიზმის გზაზე".

ტრუდი №119

კრიმინალური ლაბირინთი

ჭაღარა, მომღიმარი პეტერ შტაინმანი, განუყრელი ჯინსითა და ბლეიზერით, ამოდის ავტობუსში, ათვალიერებს, რწმუნდება, რომ ორმოცდაათივე ადგილი შევსებულია, კიდევ ერთხელ იღიმება და ამბობს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კრიმინალურ ბერლინში". ეს უჩვეულო, სამსაათიანი ექსკურსია ქალაქის სტუმრებსა და მცხოვრებთ 30 მარკა უჯდებათ.

კრიმინალურ სფეროში ტურიზმის იდეა ბავშვობიდანვე მწიფდებოდა, იტაცებდა ყველაფერი სარისკო და საიდუმლო, ყაჩაღური და საფათერაკო. მისი მეზობელი ხომ ცნობილი კომისრის მაქს ფაბიგის ნათესავი იყო, ეს ის ფაბიგი გახლდათ, თავის დროზე, მოუ-ხელთებელი ძმები სასები რომ დაიჭირა. დათვალიერება ამ „ისტორიული" ადგილიდან იწყება, — ვიტენბურგპლატცზეა ის გვირაბი, ძმებმა რამდენიმე თვე რომ თხარეს, იმ დროისთვის ზღაპრული თანხა, — ორი მილიონი რაიხსმარკა დაითრიეს და ათი წლით გაუჩინარდნენ. 10 წლის შემდეგ სწორედ ფაბიგმა შეიპყრო ისინი და 1940 წელს კი, როგორც „უმაღლესი რაიხის შემარცხვენელნი", გესტაპოელებმა დახვრიტეს.

შემდეგ ავტობუსი ლუიზენკანალთან ჩერდება, აქედან, 1921 წელს 23 ქალის ნარჩენები ამოიღეს. როდესაც პოლიცია დასაჭერად ყასაბ კარლ გროსმანს მიადგა, ეს ნადირი მორიგ, 24-ე ქალს კუწავდა.

შტაინმანი გატაცებით უყვება ტურისტებს მოაბიტის ციხეზეც, სადაც სათითაო საკნებში განსაკუთრებით საშიშ ბანდიტებს ათავსებდნენ, ისინი სულ მცირე ხნით, გასეირნებაზეც კი, ნიღბებით გამოჰყავდათ. მოაბიტში თავის საჯალათო საქმეს ასრულებდა ყოფილი დამნაშავე გუსტავ ფიოლპელი, რომელმაც სამ წელიწადში, სულ რაღაც, 48 პატიმარს წააგდებინა თავი.

კლაუზევიცშტრასეს №5-ში, ჰანს ჰელმკეს საროსკიპოში, მხოლოდ აქაური ელიტა დადიოდა, მეპატრონე 1974 წელს მოგუდული იპოვეს.

ტურისტული მარშრუტების დადგენისას, პიტერ შტაინმანმა არც პოლიტიკურ კრიმინალს აუხვია გვერდი, — „კიტის სალონი" მომხიბვლელი, ვნებიანი „ფარვანებით" იყო განთქმული და აქ მხოლოდ უცხოელ დიპლომატებს ემსახურებოდნენ, სარდაფებში ჩასაფრებული გესტაპოელები კი მთვრალი და სიყვარულის ხლართებში გახვეული დიდი ჩინოსნების აღსარებებს ისმენდნენ და რაიხის სასარგებლოდ იყენებდნენ. ნახოდშტრასეს №16 ჯაშუშური რომანტიკით არის მოცული. აქ, მეორე სართულზე, სიკვდილით დასჯის წინ ცხოვრობდა მატა ჰარი, რომელმაც უკანასკნელი როლიც ისეთივე ექსტრავაგანტულობით შეასრულა, როგორითაც 40 წელი იცხოვრა: იგი ჯაშუშებს წარუდგა ფართოფარფლებიან შავ ქუდსა და ლაქის ხელთათმანებში გამოწყობილი, აფრქვევდა ძვირფასი სუნამოს სურნელს, ლამაზი მოძრაობით წაიძრო ხელთათმანი და გაუწოდა ოფიცერს, თვალების ახვევაზე უარი ბრძანა და თავისი მაგიური და მომაჯადოებელი მზერით კიდევ ერთხელ დაატყვევა მკვლელები.

მარგარეთ ცელი (ეს მისი ნამდვილი გვარია) ღრმადმორწმუნე ოჯახში დაიბადა, ცოტათი მსახიობური ნიჭიც დაჰყვა, ერთადერთი, ვინც არ ყოფილა, "ინდოელი ბრაჰმანის ქალიშვილი მატა ჰარია", მაგრამ მითი მასზე დღემდე იძლევა შემოსავალს. მატა ჰარის ახლობელიც არავინ აღმოაჩნდა, ცხედრისთვის რომ ეპატრონა.

„დამნაშავეთა ქალაქს" თანამედროვეობაც თავისი შტრიხებით ავსებს. ყოფილმა პატიმრებმა საზოგადოება შექმნეს და სასჯელმოხდილებს ცხოვრებაში ფეხის მოკიდებაში ეხმარებიან.

პეტერ შტაინმანის მარშრუტში ჯერ არ შესულა რუსების მიერ „სახელგანთქმული" ადგილები, ასეთი კი საკმაოდაა: დედაქალაქის სასტუმრო „ესპლანადა" — აქ, დღისით, მზისით დახვრიტეს ბიზნესმენი ნიკულინი, ან რესტორანი „ჯიანი", — სამმა რუსმა განგსტერმა ნამდვილი სასაკლაო რომ მოაწყო. შეიძლებოდა სასაფლაოს მონახულებაც. შარშან, ბელორუსი კანონიერი ქურდი საძმომ ზღვა ყვავილებით რომ მიაცილა, ან აქვე, ბერლინის ახლოს, ტბიდან ორი გვამი (ბულგაკოვი და ბერეჩეტოვი) რომ ამოიღეს, ისინი იარაღითა და მანქანებით მოვაჭრენი აღმოჩნდნენ.

მოკლედ, ბერლინის სცენაზე რუსი ქილერები გამოდიან. თანამემამულის მოკვლა თუ გინდათ, დაიქირავეთ ყოფილი საბჭოელი, — გირჩევენ აქაური „მცოდნენი" და დასძენენ, — ჩეჩენზე იაფად, ამ საქმეს არავინ შეგისრულებთო.

პეტერ შტაინმანის სამსაათიანი მოგზაურობა თვალის ერთი დახამხამებაა იმ სამყაროში, რასაც კრიმინალური ჰქვია. თუმცა კი, მაინც საკმაოდ სოლიდურ „არქივს" მოიცავს, დროა, იფიქროს პეტერმა ახალი ობიექტების მიმატებაზე.

ტრუდ-7 №119

ნარკობიზნესი საქართველოში!?

ნარკომანიის მასშტაბებმა ზღვრულ მაჩვენებელს მიაღწია. თუ „თეთრი სიკვდილის" საწინააღმდეგოდ უმოკლეს ვადებში არ გატარდება ქმედითი ხასიათის ღონისძიებები, ნარკომანია ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცევა.

საქართველოში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის დინამიკას თუ გადავხედავთ, ასეთი სურათია: უკანასკნელი 10 წლის მონაცემებით, აღძრულია 7.000-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, ხოლო დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემულია 8 500-ზე მეტი ადამიანი, ამოღებულია 3 ტონაზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება, ამავე პერიოდში გამოვლენილია ქვეყნის ფარგლებს გარედან ნარკოტიკების შემოტანის 800-ზე მეტი ფაქტი, რისთვისაც დაკავებულია სხვა ქვეყნების 900-მდე მოქალაქე.

საქართველოსთვის ნარკოტიკების ძირითადი მიმწოდებელია: ჩრდილოეთ კავკასია, კრასნოდარის მხარე, შუა აზიის სახელმწიფოები. ასევე, ტრადიციულად, ამ პროცესში ჩართულია მეზობელი აზერბაიჯანიც, საიდანაც თავისუფლად შემოაქვთ უმაღლესი ხარისხის ნარკოტიკები, კერძოდ, ოპიუმი, ამ საწამლავის გავრცელების ცენტრიდან — ირანიდან.

საქართველო შემდგომში ნარკოტიკების გავრცელების სატრანზიტო ქვეყანა რომ არ გახდეს, მიზანშეწონილი იქნება, ურთიერთშეთანხმებულად მუშაობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საბაჟო დეპარტამენტი. ყველას კარგად გვახსოვს 1994 წლის 30-31 დეკემბერს, ავღანეთიდან ჩვენი ტერიტორიის გავლით, თურქეთში ნარკოტიკების უდიდესი პარტია, ერთნახევარი ტონა „მორფინი" რომ მოხვდა, თუმცა, არც საპირისპირო პროცესია გამორიცხული, რადგან სწორედ თურქეთზე გადის ევროპის ნარკობიზნესისათვის ყველაზე საშიში „ბალკანეთის" ტრასა, რომლის ოპე-რატიულად გადასახერგად ევროპული გაერთიანების ყველა ქვეყანა სოლიდურ თანხებს ხარჯავს ყოველწლიურად.

მიუხედავად ამისა, ევროპაში ამ მარშრუტით ყოველ წელს 200 კილოგრამამდე „ჰეროინი" მაინც ხვდება. იუგოსლავიაში ომის დაწყების შემდგომ კი, ეს ტრასა რამდენიმე შტოდ გაიყო. ინტერპოლის მონაცემებით, ნარკობიზნესმენები უფრო მოკლე და კონტროლს ნაკლებად დაქვემდებარებულ გზებს ეძებენ. სწორედ ამიტომ, მათი აზრით, ამ მიზნით საქართველოს ტერიტორიის გამოყენება არ არის გამორიცხული.

გამოკვლევებით ცნობილია, რომ მსოფლიოს მასშტაბით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა წელიწადში 400 მილიარდ დოლარს უტოლდება და ოდნავ ჩამორჩება იარაღით ვაჭრობის მასშტაბებს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მომავალში, ქართველი ბიზნესმენები მსოფლიო ბაზარზეც გავიდნენ.

მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით, საქართველოში ნარკომანიის ხაზით აღძრულია 523 სისხლის სამართლის საქმე. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი, აღძრული იყო 442...

ნოდარ შიუკაშვილი
შსს პრეს-ცენტრის თანამშრომელი

იბეჭდება შემოკლებით
შავი დოსიე №2

ვინ მოკლა ვერონიკა გუერინი?

ირლანდია შეძრა 33 წლის, „ინდეფენდენთის" კორესპონდენტის ვერონიკა გუერინის მკვლელობამ. ჟურნალისტი ამხელდა ნარკოტიკების გამსაღებელთა და მაფიის თავკაცთა საქმიანობას. გასულ კვირას, მან მანქანა შუქნიშანზე გააჩერა, მის გვერდით მოტოციკლი გაჩერდა, რომლის მძღოლმაც ჟურნალისტს ხუთჯერ ესროლა. პოლიციამ მკვლელის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო. მთავრობამ დიდი ფულადი ჯილდო დააწესა იმ ადამიანისათვის, ვინც გამოძიებას დაეხმარება. გამომძიებელთა აზრით, მკვლელობა, პროფესიონალმა ქილერმა, რომელიმე ადგილობრივი ნარკოლორდის შეკვეთით ჩაიდინა.

ნიუზუიქი, 8 ივლისი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იაპონჩიკი დამნაშავედ სცნო

გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები აღიარებენ, რომ მათ მიერ აღძრულ საქმეთაგან მხოლოდ ხუთი პროცენტისთვის გამოაქვთ სასჯელი და მაშინ სიხარულისაგან გამოთვრებიან ხოლმე. აგენტები, რომლებმაც შარშან, ამერიკაში, რუსეთის მაფიის „ნათლია" — ვიაჩესლავ ივანკოვი (მისი სასამართლოს შესახებ პროცესის მსვლელობის კვალდაკვალ ვუამბობდით „კვირის პალიტრის" მკითხველებს), სწორედ ამ საქმით არიან გარ-თულნი. მიზეზიც აქვთ, — ნაფიცმა მსაჯულებმა იაპონჩიკი დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვაში დაადა-ნაშაულეს. 56 წლის ქურდსა და მის ხელის გამმართველებს ვერც ადვოკატების მონდომებამ უშველა, ვერც დანა-შაულის მოწმეებზე მოძიებულმა მაკომპრომატირებელმა მასალებმა და ვერც იმან, თითქოს ივანკოვი რუსეთში დემოკრატიისთვის იბრძოდა.

როცა ბოლო სხდომის წინ, „კომერსანტ დეილის" კორესპონდენტი ვ. ივანკოვის ადვოკატს ბარი სლოტნიკს შეეკითხა, — რა იციან მსაჯულებმა ივანკოვის შესახებო, ამ უკანასკნელმა ღიმილით უპასუხა, მხოლოდ ის, რომ 1991 წლის აგვისტოში ის ელცინის დასაცავად გამოვიდა და თავისუფლებისათვის მებრძოლიაო. ასეთი იყო დისპოზიცია, მანამ, ვიდრე მსაჯულები თავიანთ ვერდიქტს გამოიტანდნენ. მსაჯულებმა კი იაპონჩიკი დამნაშავედ ცნეს. თავისუფლებისათვის მებრძოლი და მისი თანამზრახველები ამერიკის ციხეში მოიხდიან სასჯელს. ვიაჩესლავ ივანკოვს, ს. ილგანერს და ვ. ნოვიკოვს, რომლებმაც უარი თქვეს ჩვენების მიცემაზე, 40 წლიანი პატიმრობა ელით, ვ. ტოპკოს კი, რომელმაც უარი თქვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე, — 20 წლამდე. განაჩენს ერთი თვის შემდეგ გამოიტანენ.



ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, ივანკოვმა არაოფიციალურად მიმართა ფედერალური გამოძიების აგენტებს, — აუხსნა, რასაც ფიქრობს მათზე. ერთ-ერთმა აგენტმა, რომელიც მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად, კოლეგებს იაპონჩიკის ნათქვამი არ უთარგმნა. ივანკოვს ხმამაღლა დაუჭირა მხარი მისმა ვაჟმა გენადიმ. ხმით მოსთქვამდა იაპონჩიკის მეგობარი ქალი ფაინა კომისარი და ტოპკოს ცოლი ელენა. მაგრად იყავიო, — დაუბარა ტოპკომ ცოლს. იგი, ისევე, როგორც დარბაზში მყოფთა უმეტესობა, დარწმუნებული იყო, რომ მსაჯულები გაამართლებდნენ...

კომერსანტ დეილი №115

უილიამ შელდონი

უნიღბო სახე

თავი XIX

ანამ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა. მან ქმარს გადაუკრა, რომ ჯადი მოსწონდა. ენტონის თვალები ჩაუშავდა და ისე შეკრთა, თითქოს სილა გააწნესო.

მარტო რომ დარჩა, ანა მაშინღა მიხვდა, რა დღეში ჩააგდო ჯადი. გადაწყვიტა, არ მიეტოვებინა და დილით ენტონის განუცხადა, ევროპაში არ მოგყვებიო.

ენტონი შემოვიდა საწოლ ოთახში, იგი ყურადღებით დააცქერდა ანას და უთხრა:

— თქვენთან სტუმარია.

როდესაც ანა ბიბლიოთეკაში შევიდა, ჯადს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს უჩინარი მაყურებლის წინ რაღაც შარადას თამაშობდნენ. ალღო კარნახობდა, რომ ანა ხვდებოდა, რა მდგომარეობაც შექმნილიყო და სულით ხორცამდე მინდობოდა კაცს. ჯადი ყოყმანობდა. სათქმელს მისხლებით სწონიდა. სულ პატარა შეცდომაც კი, შეიძლებოდა საბედისწეროდ ქცეოდათ.

— მისის დემარკო, თქვენი მეუღლე ნაწყენია, რომ ევროპაში წასვლა გადაგიფიქრიათ.

— ძალიან ვწუხვარ, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ მიუგო ანამ.

— ვგონებ, უმჯობესი იქნებოდა, თუ წახვიდოდით, — ჯადმა ხმას აუწია.

— უარი რომ ვთქვა? იქნებ, სულ წავსულიყავი ამ სახლიდან? — ანა ცდილობდა ჯადის თვალებში ამოეკითხა პასუხი.

— არა, მაგას ნუ იზამთ! — ჯადს უცბად თავზარი დაეცა. ანა ამ სახლიდან ცოცხალი ვერ გავიდოდა. — მისის დემარკო, თქვენს ქმარს მცდარი აზრი შექმნია, თითქოს თქვენ ჩემზე იყოთ შეყვარებული. მე ავუხსენი, რომ ფსიქოანალიზში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ სტადიას ყველა პაციენტი გადის.

— გასაგებია. ტყუილუბრალოდ გაგაცდინეთ. ჩემი გასაჭირისთვის თვითონვე უნდა მომევლო, — ანას თვალები ეუბნებოდა, რომ იგი წუხდა, ჯადი რომ ამ დღეში ჩააგდო. — შეიძლება თქვენ მართალი ხართ და ევროპაში დასვენება მართლაც მომიხდეს.

ჯადმა შვებით ამოისუნთქა. ანა მიხვდა!

ახლა რამენაირად უნდა გაეფრთხილებინა, რაც ელოდა. იქნებ, იცის კიდეც? ჰო, მაგრამ, თუნდაც იცოდეს, რა უნდა ჰქნას? ანა ეუბნებოდა, — ტყეში სეირნობა მიყვარსო. ალბათ, ყველა ბილიკი იცის და იქნებ...

— ანა... — ხმადაბლა დაიწყო ჯადმა.

— დაამთავრეთ ლაპარაკი?

ჯადი მკვეთრად შებრუნდა. ბიბლიოთეკაში დემარკო შემოვიდა. ანჯელი და ძმები ვაკაროებიც თან შემოჰყვნენ.

— დიახ, — მიუგო ანამ და ქმარს შეხედა. — ექიმი სტივენსი ფიქრობს, რომ ევროპაში დასვენება მომიხდება. გადავწყვიტე, მის რჩევას მივყვე.

— ვიცოდი, რომ იმედს არ გამიმტყუნებდით, — გაიღიმა დემარკომ. თავისი გაეტანა და ახლა საოცრად მომხიბლავი გამხდარიყო, სახეზე პირნათელი გადასდიოდა და ირგვლივ სხივებს აფრქვევდა. გეგონებოდათ, ამ კაცის არსებაში მფეთქავი ენერგია, ნებისყოფის ძალისხმევით, ბნელი ავკაცობიდან, უეცრად, უსაზღვრო სიკეთეზე გადაირთოო. ლამის იყო, ჯადსაც ვერ დაეჯერებინა, რომ ეს კეთილშობილი, მეგობრულად განწყობილი ადონისი, სინამდვილეში, გულცივი მანიაკი — მკვლელი იყო.

— ხვალ მივფრინავთ, გენაცვალე, — მიუბრუნდა ანას დემარკო, — იქნებ, ზევით ასულიყავი და სამგზავრო თადარიგი დაგეჭირა?

ანას, ეტყობოდა, ამ კაცების ხელში ჯადის დატოვება არ უნდოდა და უმწეოდ შეხედა ექიმს. ჯადმა მოწონებით დაუქნია თავი. — კეთილი. ნახვამდის, დოქტორ სტივენს, — ხელი გაუწოდა ანამ.

— მშვიდობით, — უთხრა ჯადმა და მოწონებით ჩამოართვა ხელი.

ამჯერად მართლა ემშვიდობებოდა ანას და არა მარტო მას. ანამ დანარჩენებსაც დაუკრა თავი და გავიდა.

— რა მშვენიერია, არა? — დემარკომ თვალი გააყოლა ქალს. სახეზე სხვადასხვა გრძნობებმა გადაურბინა — სიყვარულმა, დაუფლებამ და კიდევ რაღაცამ. გული წყდებოდა? რაზე? იმაზე, რასაც უპირებდა?

ჯადმა თითქმის ფიზიკურად იგრძნო, როგორ გადაირთო დემარკოს ტვინი ისევ ბნელზე. ხიბლი გაიფანტა და ოთახი სიძულვილმა გატენა.

— წასვლის დროა, ექიმო, — უთხრა მან.

ჯადმა მიიხედ-მოიხედა. უეჭველია, დემარკოს ერჩივნა, სახლში არ მოეკლა. მაშასადამე, თუ გაქცევა იყო, ახლა უნდა გაქცეულიყო. ძმები ვაკაროები თვალს არ აცილებდნენ. ანჯელი ფანჯარასთან იდგა და ხელი იარაღის ბუდეზე დაედო.

— არ ღირს, — თბილად შენიშნა დემარკომ და გასასვლელისკენ წამოიყვანეს.

ანამ საწოლი ოთახის ფანჯრიდან დაინახა, როგორ შეაგდეს ჯადი მანქანაში. ქალი მაშინვე დასწვდა ყურმილს და ნომერი აკრიფა. სანამ კომუტატორი პასუხს გასცემდა, ეგონა, მთელი საუკუნე გავიდაო.

— გთხოვთ!.. სასწრაფოდ!.. პოლიცია!..

ზურგს უკნიდან კაცის ხელი გამოჩნდა და ბერკეტს დააწვა. ანამ შეჰკივლა და მიიხედა. მის წინ ნიკ ვაკარო იდგა და ოღიმებოდა.

თავი XX

დღის ოთხი საათი იყო, მაგრამ ცა ისე ჩამოქუფრულიყო, რომ ანჯელიმ ფარები ჩართო. ცოტა ხანში წვიმამაც დასცხო. ანჯელის სოფლის შარაზე გადაეხვია და მანქანები კანტიკუნტად ხვდებოდათ.

— რა მოუვა ანას? — ჰკითხა ჯადმა და დემარკოს შეხედა.

— ნუ ღელავთ. ანას მე თვითონ მოვუვლი.

— დიახ, — გაეცინა ანჯელის.

ჯადმა იგრძნო, როგორ მოერია რისხვა.

— ძალიან შევცდი, რომ ცოლი ოჯახიდან არ ავირჩიე, — ხმამაღლა ფიქრობდა დემარკო, — უცხო მაინც ვერასოდეს გაიგებს, რას ნიშნავს ოჯახი, — ვერასოდეს!

— თითქმის მივედით, — აცნობა ანჯელიმ.

— ყოჩაღ! — შეაქო დემარკომ, — ჩინებულად გაართვი საქმეს თავი. ახლა, სანამ ყველაფერი მიწყნარდებოდეს, ცოტა ხნით სადმე საიმედო ადგილას დაგმალავთ და... შენ სად გირჩევნია?

— ფლორიდა კარგი რამაა.

— აგრე იყოს, — მოწონებით ჩაუქნია თავი დემარკომ.

ჯერ ფაბრიკის კორპუსები გამოჩნდა, მილებიდან შავი ბოლი ამოდიოდა. ვიწრო გზაზე გადაუხვიეს და პირდაპირ ჭიშკარს მიადგნენ. დემარკოს ნიშანზე ყარაულმა კარი გააღო. მანქანა ეზოში შევიდა. ყარაულმა ჭიშკარი მიხურა.

უკვე მოსულიყვნენ.

მაკგრეივის კაბინეტში თვითონ ლეიტენანტი, კაპიტანი ბერტლი, სამი დეტექტივი და სფბ-ს ორი აგენტი გვარების ნუსხაზე დახრილიყვნენ.

— აქ ყველა კაპოს გვარია ჩამოთვლილი, ვინც კი აღმოსავლეთ ამერიკის კოზა ნოსტრას ოჯახებისათვის მუშაობს. სამწუხაროდ, არ ვიცით, რომელ ოჯახს ემსახურებოდა ანჯელი.

— რამდენ ხანში გაიგებთ? — ჰკითხა ბერტლიმ.

— სიაში ორმოცი გვარია, სულ ცოტა, ოცდაოთხ საათს მოვუნდებით, მაგრამ...

— მაგრამ ოცდაოთხ საათში დოქტორი სტივენსი ცოცხალი აღარ იქნება, — სიტყვა ჩამოართვა მაკგრეივიმ. კაბინეტში ახალგაზრდა პოლიციელი შემოვიდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მაკგრეივიმ.

— ნიუ-ჯერსიმ არ იცის, რამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ თქვენ თქვით, თუ რამე უცნაურად მოგეჩვენოთ, მომახსენეთო. ვიღაც ქალმა დარეკა და სასწრაფოდ პოლიციასთან შეერთება ითხოვა, მაგრამ მაშინვე დადო ყურმილი. მეორედ აღარ დაურეკავს.

— საიდან რეკავდა?

— გარეუბნიდან, ოლდ ტაპანი ჰქვია.

— ნომერი ჩაიწერეს?

— ვერ მოასწრეს.

— აფსუს! — დაამშვიდა კაპიტანმა. ალბათ, ვიღაც მოხუც ლედის კატა გაექცა და ის რეკავდა.

ტელეფონმა დარეკა. ლეიტენანტმა ყურმილი აიღო.

— მაკგრეივი გისმენთ, — დანარჩენებმა დაინახეს, როგორ დაეძაბა სახე. — კარგი! მივდივარ! — უთხრა და ყურმილი დადო. — საგზაო პატრულმა ახლახან დაინახა ანჯელის მანქანა 206-ე გზაზე, მელსთაუნთან.

— გაჰყვნენ? — იკითხა ერთ-ერთმა აგენტმა.

— მოპირდაპირე გზიდან მოდიოდნენ და სანამ მოუხვიეს, ანჯელის მანქანა გაქრა. ეგ რაიონი კარგად ვიცი. რამდენიმე ფაბრიკის მეტი, არაფერია, — იგი აგენტს მიუბრუნდა. — შეგიძლიათ უცბად გაიგოთ, ვინ არის იმ ფაბრიკების პატრონი?

— შევეცდებით, — ერთ-ერთი აგენტი ყურმილს დასწვდა.

— მე წავედი, — განაგრძო მაკგრეივიმ, — შეიტყობთ თუ არა, მაშინვე დამიკავშირდით, — ლეიტენანტმა დეტექტივებს გადახედა, — წავედით! — უთხრა და კარისკენ წავიდა.

მანქანა შენობასთან გაჩერდა, რომელიც პრეისტორიულ ურჩხულს ჰგავდა.

მანქანიდან ვაკარო გადმოვიდა და ჯადის მხარეს, უკანა კარები გააღო.

— გადმოდით, ექიმო, — უთხრა და პისტოლეტი ამოიღო. ჯადი ნელა გადმოვიდა მანქანიდან, მერე დემარკო. მაშინვე ყურთასმენა წაუღოთ რაღაც ძლიერმა, ერთფეროვანმა გუგუნმა. მათ წინ, ოცდახუთ ფუტზე, უზარმაზარ პნევმომილს დაეღო ხახა და გაუმაძღრად ნთქავდა ყველაფერს, რაც შიგ მოხვდებოდა.

— ერთ-ერთი უდიდესია ამერიკაში, — დაუყვირა დემარკომ, — არ გინდათ, ნახოთ, როგორ მუშაობს?

ჯადი თვალს არ უჯერებდა, დემარკო ისევ გულითად მასპინძელს თამაშობდა, არა, არ თამაშობდა, — მართლა იყო. ასეთი არაფერი ენახა. ეს კაცი ჯადს მოკვლას უპირებდა, მაგრამ მკვლელობა მისთვის ჩვეულებრივი, საქმიანი ოპერაცია იყო. ამჟამად, იგი თავიდან იცილებდა იმას, რაც არ სჭირდებოდა, ოღონდ, ჯერ უნდოდა ექიმზე შთაბეჭდილება მოეხდინა.

— წამოდით, ექიმო, ძალიან საინტერესოა.

პნევმომილისკენ წავიდნენ. ანჯელი წინ მიდიოდა, დემარკო ჯადის გვერდით მიაბიჯებდა, ვაკარო — არიერგარდში.

— ამ ქარხანას წელიწადში ხუთი მილიონი დოლარი შემოაქვს, — ამაყად აცნობა დემარკომ, — ყველაფერი ავტომატიზებულია.

პნევმომილის გრუხუნი სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. კონვეიერი უზარმაზარ მორებს აწვდიდა, პნევმომილი წვიმაშერეულ ნახერხის ღრუბელსაც ისრუტავდა და ყველაფერს ერთად ინელებდა.

— ხულ ერთია, რა სიდიდისა და სიგრძის მორი იქნება, მილში მანქანები ყველაფერს დახერხავენ, — ყვიროდა დემარკო, — მერე ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და დეტექტივს გასძახა: — ანჯელი!



ანჯელი შემობრუნდა.

— ბედნიერ მგზავრობას გისურვებ ფლორიდაში, — დემარკომ სახსლეტს ხელი გამოკრა, ანჯელის მკერდზე წითელმა ლაქამ გამოჟონა, პირზე ღიმილი შეეყინა. დემარკოს ნიშანზე, ვაკარომ ანჯელი მხარ-ზე გადაიკიდა და პნევმომილთან მივიდა.

— ანჯელი სულელია, — მიუბრუნდა ჯადს დემარკო, — პოლიცია ყველგან დაეძებს. რომ დაეჭირათ, კვალი აუცილებლად ჩემთან მოიყვანდა.

ჯადი შეაძრწუნა ასეთმა გულცივმა მკვლელობამ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი საშინელება მოხდა. ქვადქცეული ექიმი უყურებდა, როგორ მივიდა ვაკარო პნევმომილთან, როგორ აიტაცა ანჯელის სხეული ჰაერის ნაკადმა და როგორ ჩაინთქა მილში. ვაკარო ლითონის ღეროს ჩაებღაუჭა, რომ თვითონაც არ მიჰყოლოდა დეტექტივის გვამს. ანჯელის სხეულმა მორებისა და ნახერხის ორომტრიალში გაიელვა და გაქრა. ვაკარომ საკეტი მოატრიალა. მაყუჩიანმა სარქველმა პნევმომილი დახურა. უცბად, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ჯადს ეგონა, დავყრუვდიო.

დემარკო ექიმს მიუტრიალდა. აგზნებულ სახეზე დაეტყო, რომ ახლა გაისროლა. დემარკოს თვალში მკვლელობა რიტუალად, განწმენდის გამოხატულებად ქცეულიყო. ჯადს თვითონ სიკვდილის არ ეშინოდა, მაგრამ საშინელი მრისხანებით აენთო გული, რომ ეს კაცი ცოცხალი დარჩებოდა, რომ იგი მოკლავდა ანას და კიდევ მრავალ უდანაშაულო, პატიოსან ადამიანს შეიწირავდა. დმუილი, გმინვა და სასოწარკვეთილი კვნესა ჩაესმა და უცბად ვერც კი მიხვდა, რომ ეს ხმები თვითონ ალმოიტევა. მერე, მტრის მოკვლის დაუძლეველმა ჟინმა წამოუარა.

დემარკოს ისე ჩაეცინა, თითქოს ჯადის ფიქრები წაიკითხაო.

— მე ახლა მუცელში გესვრით, ექიმო. მართალია. ცოტა მეტ დროს წაიღებს, მაგრამ სამაგიეროდ, გეცოდინებათ, რაც მოუვა ანას.

კიდევ ერთი იმედი იყო, სულ ერთი ბეწო, მაგრამ, მაინც იმედი.

— ვინმემ ხომ უნდა იფიქროს მასზე, — უთხრა ჯადმა, — ანამ დღემდე არ იცის, რას ნიშნავს კაცი.

დემარკო ვერ მიუხვდა და გაოცებული შესცქეროდა.

— იცი, შენ როდის ხარ ვაჟკაცი? — ჯადი ლამის ყვიროდა, — როცა პისტოლეტი გიჭირავს. უდანოდ და უპისტოლეტოდ ქალაჩუნა ხარ! შენ ცვედანი ხარ, დემარკო. მაგ პისტოლეტის გარეშე, საჭურისი ხარ!

დემარკოს სიბრაზისაგან სახე ჩაუშავდა. ვაკარომ ჯადისკენ გაიწია, მაგრამ დემარკომ ხელის გაქნევით შეაჩერა.

— აი, ამ შიშველი ხელებით მოგკლავ, — დაიბრდღვინა გაანჩხლებულმა და პისტოლეტი მოისროლა. იგი ნელ-ნელა უახლოვდება ჯადს.

ჯადმა უკან-უკან დაიხია, ცდილობდა ,ახლოს არ მიეშვა, ერთადერთი იმედი, დემარკოს სნეულ გონებაზე ზემოქმედება იყო, რათა სალად აზროვნების უნარი წართმეოდა. ექიმი ზედიზედ აყენებდა დარტყმებს დემარკოს ყველაზე მტკივნეულ წერტილს — მამრის სიამაყეს.

— დემარკო, შენ კაცი არა ხარ!

დემარკომ გაიცინა და ჯადს ეცა. ექიმს უროსავით მუშტი დასცხო ყბაში და უკან გადააგდო, მერე ფოცხვერივით ისკუპა და სამჯერ დაარტყა მკერდის არეში. ჯადს სუნთქვა შეეკრა. ამაოდ აღებდა პირს და ცდილობდა, რაღაც ეთქვა.

— რაო, სუნთქვა გაგიჭირდათ, ექიმო? — იცინოდა დემარკო. — ყმაწვილობაში კრივზე დავდიოდი. ახლავე ჩაგიტარებთ გაკვეთილს. ჯერ თირკმელებს დავამუშავებ, მერე თავსა და და თვალებს მივხედავთ. თვალებს ბუდიდან ამოგიგდებ და სანამ ჩემს საქმეს მოვრჩები, თქვენივე პირით შემეხვეწებით, ტყვია მესროლე და გამათავეო.

ჯადს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ასეც იზამდა. გააფებულ ნადირს ჰგავდა. ისევ დაესხა თავს ჯადს და სალოკ თითზე ჩამოცმული მძიმე ბეჭდით ლოყა გაუხეთქა. ექიმმაც დაარტყა, მაგრამ დემარკოს აინუნშიაც არ ჩაუგდია. ჯადი უკვე ერთიანად იყო დალურჯებული.

— არ დაიღალეთ, ექიმო? — დემარკო ისევ მიუახლოვდა. ჯადი გრძნობდა, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა. ისევ სიტყვა უნდა მოეშველიებინა, ეს იყო მისი ერთადერთი იმედი.

დემარკო... — ამოიხრიალა მან.

206-ე გზაზე მიქროდნენ, როდესაც რადიომიმღები ატკაცუნდა.

— კოდი სამი... კოდი სამი... ნიუ-იორკი ოცი... ნიუ-იორკი ოცდაშვიდი...

მაკგრეივიმ მიკროფონს დასტაცა ხელი.

— ნიუ-იორკი ოცდაშვიდი გისმენთ. ილაპარაკეთ.

— ვიპოვეთ, მაკ, — კაპიტანი ბერტლი ღელავდა. — ხის გადამამუშავებელი ფაბრიკაა, მილდსტრუნიდან ალმოსავლეთით, ორ მილზე მდებარეობს. „ხუთი ვარსკვლავის" კომპანიას ეკუთვნის, აი, იმას, ხორცის კონსერვის ქარხანა რომ აქვს. ტონი დემარკოს ერთ-ერთი ლეგალური საწარმოა, რომელსაც შესანიშნავად იყენებს.

— მართალს ჰგავს. მივდივართ.

— შორს ხართ იქიდან?

— ათ მილზე.

— წარმატებას გისურვებთ.

— გმადლობთ.

მაკგრეივიმ განგაში ჩართო და აქსელატორის სატერფულს დააწვა.

ჯადს თავზე ცა ემხობოდა. რაღაც ურტყამდა თანაბრად და მის ნაწილ-ნაწილ დაგლეჯას ლამობდა. თვალები დაუსივდა და ველარაფერს ხედავდა. სახეზე დემარკოს ცხელ სუნთქვას გრძნობდა და უნდოდა შეეხედა, მაგრამ ამაოდ.

— შენ თვი-თვითონაც იცი, — ძლივს ატრიალებდა ენას ჯადი, — რომ მართალი ვარ. შენ... შენ მხოლოდ წაქცეულის ცემა შეგიძლია... ც-ცხოველი ხარ, ფსიქო... ფსიქოპათი... საგიჟეში უნდა იჯდე...

— სტყუი, — ბრდღვნავდა დემარკო.

— არა, მარ-მართალს გეუბნები, — ჩაილუღლუღა ჯადმა და უკან დაიხია. — შენი... შენი გონება დას-დასნეულებულია. მალე... მალე ზღვარს გადახვალ და... იდიოტი გახდები. — ჯადი ისევ უკან იხევდა. ზურგს უკნიდან დახურული პნევმომილის ღურღურტი ისმოდა.

დემარკო ჯადს დააცხრა და ყელში სწვდა.

— კისერს მოგტეხავ, — ღრინავდა იგი.

ჯადს ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. ნაგვემი სხეულის ყველა უჯრედი ევედრებოდა, დემარკოს ხელები ყელიდან მოეშორებინა, მაგრამ ჯადმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ონკანი მოზმანა უკან და გახსნა. ჰაერის ნაკადი ღრიალით დაეძგერათ და ორივეს გაუმაძღარი ხახისაკენ ითრევდა. ჯადი ონკანს ჩაებღაუჭა. დემარკოსაც შეეძლო გადარჩენილიყო, მაგრამ გაცოფებულს ცოცხალი თავით არ სურდა, ჯადის ყელს შეშვებოდა და ონკანისათვის ჩაეჭიდა ხელი.

დასუსტებულ ჯადს ონკანი თანდათან უსხლტებოდა ხელიდან. შეეშინდა, ვაითუ, მეც შემითრიოს შიგო, მაგრამ სწორედ ამ დროს, დემარკომ მის ყელს ხელი უშვა. ცხოველურმა ღრიალმა იქაურობა შეძრა და ერთ წუთს პნევმომილის ხმაც დაფარა. დემარკო სამუდამოდ გაქრა.

ჯადს განძრევის თავი არ ჰქონდა, იდგა და ვაკაროს გასროლას ელოდა. ერთი წუთის შემდეგ გაისმა სროლა. ჯადი ისევ ისე იდგა. უკვირდა, როგორ ამაცდინაო. ტკივილადქცეულს, კიდევ რამდენიმე გასროლის ხმა, გაქცეული კაცის ფეხის ხმა და გაუგებარი ყვირილი შემოესმა. მერე ვიღაცამ მხარზე ხელი გადახვია და მაკგრეივის ხმამ წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, ერთი ამის სახეს შეხედეთ!"

ჯადი მოღრიალე პნევმომილს მოაცილეს და გვერდზე, რაც შეიძლება შორს გაიყვანეს. რაღაც სველი, — არ იცოდა, სისხლი იყო, წვიმა თუ ცრემლი, ლოყებზე ჩამოსდიოდა, მაგრამ მისთვის ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ყველაფერი გათავებულიყო!

ძლივ-ძლივობით გაახილა ცალი თვალი და ვიწრო ნაპრალიდან მაკგრეივის ბუნდოვანი სილუეტი დაინახა.

— დემარკოს ცოლი, — ჩაიჩურჩულა მან, — სასწრაფოდ უნდა მივეშველოთ.

მაკგრეივი ისე უძრავად შესცქეროდა, ჯადი მიხვდა, რომ ვერ გაიგონა, რა უთხრა. ექიმმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ძლივს წაიჩურჩულა: „ანა დემარკო... შინ არის... მიეშველეთ".

მაკგრეივი პოლიციის მანქანასთან მივიდა, მიკროფონი აიღო და საჭირო ინსტრუქცია მისცა. ჯადი ფეხზე ძლივს იდგა. შორიახლოს ძირს გაშოტილი სხეული დაინახა და მიხვდა, რომ როკი ვაკარო იყო. „გავიმარჯვეთ", — გაიფიქრა მან, „გავიმარჯვეთ" ისევ და ისევ იმეორებდა გულში ამ სიტყვებს. ახლა მხოლოდ ერთიღა უნდოდა, გაეგო, რომ ანას არაფერი ემუქრებოდა.

მაკგრეივი ფრთხილად შეეშველა და გასასვლელისკენ წაიყვანა. ყოველი ნაბიჯი ტკივილად უჯდებოდა. მანქანასთან რომ მივიდა, შენიშნა, წვიმას გადაეღო. დეკემბრის სუსხიან ქარს ღრუბლები გადაერეკა და მოწმენდილი ცა მოჩანდა დასავლეთით პირველი სხივი ღრუბელს დაუსხლტა, მზემ ნელა-ნელა გამოანათა და აკაშკაშდა.

შობა დღის მშვენიერი დარი დგებოდა.

(უსასრულო დეტექტივის დასასრული)

თარგმნა თამარ აბრამიშვილმა

დასასრული. დას. იხ. „კვირის პალიტრა" №17-27

რუსეთის ტელეარხების პროგრამა

პარასკევი 15-21 ივლისი

ორშაბათი

14.15 — „ჩემი სიყვარული“ — ტკ-6
21.00 — „შავი მოსასხამი მკვლელისათვის“ — სტუ
24.35 — „პამპრინუნი“ — ორტ

სამშაბათი

14.15 — „ბარიერი“ — ტკ-6
21.00 — „451° ფარენჰეიტის მიხედვით“ — სტუ
22.05 — „უნგრული ნამობი“ — ტკ-6
22.40 — „გულუხვი ზაფხული“ — ორტ

ოთხშაბათი

21.00 — „ვერცხლის დათვები“ — სტუ
22.05 — „ზოლტან კარპატის ბედი“ — ტკ-6
22.40 — „მაპატიე“ — ორტ

ხუთშაბათი

14.15 — „ლედი ფრანკენშტაინი“ — ტკ-6
21.00 — „აეროპორტი 77“ — სტუ
22.05 — „მარადისობა“— ტკ-6
22.40 — „ანდრომედას შუბები“ — ორტ
23.05 — „მოჩვენება“ — რტრ
1.20 — „დღიური ჩემი შვილებისათვის“ — სტუ

პარასკევი

14.15 — „აპრილის დილა“ — ტკ-6
21.00 — „ოჯრის მომლერალი“ — ტკ-6
21.00 — „ამერიკან ბოი“ — სტუ
22.05— „მაფმუსაღელ სტრიპტიზ“ — რტრ
00.40— „ოტელი ამერიკა“ — ორტ
01.20 — „დღიური ჩემი საყვარელი ადამიანებისთვის“ — სტუ

შაბათი

13.20 — „სპორტი, სპორტი, სპორტი“ —ორტ
20.30 — „ქალაჩუნა“— სტუ
21.35— „ქალი ზღვაში“ — რტრ
22.00— „ტაიგის პატრონი“ — ტკ-6
00.30— „ჩიტები“ — სტუ
00.55 — „ახალბედები“— ორტ
02.55— „ტრაგედიი მგზავრობდნენ ღიღი და პეტროვი“ — ორტ

კვირა

15.55 — „მუსიკალური ისტორია“ — ტკ-6
20.30 — „მოლაპარაკე მაიმუნი“ — სტუ
21.35 — „სამმო“ — ორტ
22.45— „ქურდი მაესტრო“ — ტკ-6
00.10 — „შუადამის“ — სტუ
02.40— „სიყვარულის ფორმულა“ — ორტ

ყველაზე მეტი ინფორმაციისა თბილისის დრო

ორშაბათი 21.00 — სტუ

„შავი მოსასხამი მკვლელისათვის“ — დეტექტიური ფილმი მოგეთხრობის ცნობილ ჯარიზელ ადვოკატ ფლორანსზე, რომელიც იცავს მკვლელს და პოლიციელებს ბრალდებას ფეხებს, რომ დამნაშავეები... სწორედ ისინი არიან. როლებში: ანი ჟირარდო, კლოდ ბრასერი

რეჟისორი ხ. ჯოვანი

საფრანგეთი, 1980 წ.

სამშაბათი 14.15 — ტკ-6

„ბარიერი“ — ფილოსოფიური მელოდრამა. ცნობილი ჟიმპოზიტორის ცხოვრებაში შეიჭრება ქალაწმეკელი, რომელმაც იცის... ფრეგნა. როლებში: ი. სმოკტუნოვსკი, ვ. ავეტიკოვა, მ. დიმიტცა

რეჟისორი ხ. ხრისტოფი.

ბულგარეთი, 1979 წ.

პარასკევი 00.40 — რტრ

„ოტელი ამერიკა“ — მელოდრამა. ბეკინ ღამით ელენი მანქანას დაეჯახება ფილის. შემთხვევითი ნაცნობობა სიყვარულში გადაიზრდება. როლებში: ჟ. დეფეიერი, ჟ. ფეიერი, ჟ. ბეკერ, რეჟისორი ა. ტტინე

საფრანგეთი, 1981 წ.



პარასკევი 21.00 — ტკ-6

„ოჯრის მომღერალი“ — რეჟისორ ჟ. ბენეკასის მძაფრსუსპენტიანი ფილმი ახალგაზრდა კაცზე, რომელიც მომღერლის ჩანაწერის კასეტას ინახავს. მის მეოთხალაურედს კასეტა მიფიის ბოსთა სამხილი ჰგონიათ. როლებში: ვ. ფერნანდელი, ფ. ანდრეე, რ. ბორინჯერი

საფრანგეთი, 1981 წ.



სამშაბათი 22.05 — ტკ-6

„უნგრული ნამობი“ — ბ. იოკაის ამავე სახელწოდების რომანის ეკრანიზაცია. ის იმედით, რომ მდიდარი ბიძა მაღე მოკვდება და ქონება დარჩება, მასთან ჩადის ახალგაზრდა ნათესავი... როლებში: ფ. ბეშეენი, ვ. პაპი, ზ. ლატინოვინი, რეჟისორი ზ. ვერკონი

უნგრეთი, 1966 წ.



ოთხშაბათი 22.05 — ტკ-6

„ზოლტან კარპატის ბედი“ — „უნგრული ნამობის“ გაგრძელებაა. როლებში: ი. კოკაზი, ვ. ვენცელი, ე. რუტკაი

რეჟისორი ზ. ვერკანი

უნგრეთი, 1966 წ.



შაბათი 24.00 — ტკ-6

„ახალბედები“ — რეტროფილმიანი კოლინ მაკ ინესის რომანის მიხედვით. ფილმში მოთხრობილია დამნეფი ფოტოგრაფიის და მოდელი გოგონას სიყვარულზე. რეჟისორები: დ. ბოუი, ბ. კენსიტი, დ. ფოქსი, რეჟისორი დ. ტუმპალი

დიდი ბრიტანეთი, 1986 წ.



ოთხშაბათი 21.00 — სტუ

„ვერცხლის დათვები“ — ავანტიურული კომედია. მაგიოსნის, რომელმაც არ იცოდა რა საქმეში ჩაედო ფული, ურჩიეს.... შეეიცავული ბანკი იყიდეთ. რეჟისორები: მ. ეკინი, ს. შეპარდი, ლ. ჯორდანი, ს. ოდრანი

რეჟისორი ი. პეტერ

დიდი ბრიტანეთი, 1978 წ.

ოთხშაბათი 03.15 — სტუ

ფლეიგმი —ამ გამოშვებაში მაყურებელი იხილავს სიუჟეტებს ლონდონში გამართულ უნეველი კინოსეანსებზე, ნატალი კოფლის მონათხრობებს მამაზე, თავის თავზე და სხვ.



ხუთშაბათი 14.15 — ტკ-6

„ლედი ფრანკენშტაინი“ — საშინელებათა ფილმი. ფრანკენშტაინის სიკვდილის შემდეგ, მონსტრების შემქმნელის ქალიშვილი გადაწყვეტს მისი „საქმის“ გაგრძელებას.

რეჟისორები: ფ. კოტტინი, ს. ბეი, ჟ. მიულერი

რეჟისორი მ. უელსი

იტალია, 1971 წ.



კვირა 0.10 — ტკ-6

„შუადამისას“ — სამი ათეული წლის წინ გადაიღო ნორმან ჯუისონმა. გამოფენისას პატარა ქალაქში მდიდარი მეწარმის გვამს იპოვნიან. პოლიციელი პირველსავე წუხანს სტატეტს ხელს, რომელსაც ჯიბეში საუნეველოდან, ტკიცინა დოლარებით სავსე საფული უპოვნა. ზანგი კი პოლიციის ოფიცერი აღმოჩნდება... მთავარ როლებს ასრულებენ“ბრნყინვალე მსახიობები: როდ სტაიგერი (ამ ფილმში თამაშობსთვის „ოსკარი“ დაიმსახურა) და სიდნეი პუატე.



21 საბერძნეთის ტელევიზია მეორე არხი

15.07 — ორშაბათი

„ბაუსსნელი მკვლელობა“ — *22.15 სთ*

ფილმი—დეტექტივი მოგვაგონებს ეროლ ფლინს, ისევე ლამაზ, ოინიანი, ყველას ბრალია. სასიკეთო და ბოროტების დეტექტივის მსოფლიო, გამარჯვის ხასიათს ამლევს. მთავარ როლებში: დენ ეკრო

რატომ?... იმიტომ...

1. დეკორატიული ბზის ფოთლებსა და ღეროებს გაუჩნდა თეთრი ხალებ-ბი. რით შეიძლება შველა?

ლია ნადირელი

უპასუხებს თინა კუპრაშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

დეკორატიულ ბზაზე თეთრი ხალები ჩნდება მავნებლებისაგან — ტკიპებისაგან. ისინი იკვებებიან მცენარის წვენით. დაავადებული მცენარე ყვითლდება და ხმება.

ტკიპები სწრაფად მრავლდებიან მშრალი ჰავისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა მცენარეზე წყლის ხშირი შესხურება და ფოთლების საპნიანი წყლითა და ნავთის ნაზავით ჩამორეცხვა (ორივე მხარეს).

ნაზავი მზადდება შემდეგნაირად: 50გ. სარეცხი საპონი, 3/4 ჭიქა ნავთი, 0,5 ლ. თბილი წყალი კარგად გავხსნათ ერთმანეთში, დავუმატოთ ნახევარი ვედრო წყალი. თუ ნაზავი ასეთი რაოდენობით არ არის საჭირო, მაშინ — 0,5 ლ. წყალში გავხსნათ პატარა ნაჭერი სარეცხი საპონი და დავუმატოთ 50 წვეთი ნავთი.

მცენარის ჩამორეცხვა აღნიშნული ნაზავით უნდა გავიმეოროთ 7-10 დღეში ერთხელ. მცენარის ჩამორეცხვისას ხალები მექანიკურად უნდა დავაზიანოთ.

ნაზავით დამუშავებული მცენარე მეორე დღეს უნდა ჩამოვრეცხოთ სუფთა წყლით. ნიადაგში რომ არ მოხვდეს და მცენარის ფესვთა სისტემა არ დააზიანოს, საჭიროა ჩამორეცხვისას ნიადაგს გადავაფაროთ პოლიეთილენის ფირი.

2. საცხოვრებელი სახლი ქირით გაცემულია შვეიცარიის წითელი ჯვრის ორგანიზაციაზე, რისთვისაც გამქირავებლები იღებენ ქირას. სახლის მეპატრონე არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი, მეუღლე — პენსიონერი. გთხოვთ, მიპასუხოთ, რა განაკვეთით დაიბეგრება და არის თუ არა შეღავათი დაწესებული.

ვ. ქირია

უპასუხებს ჯილდა პაპუაშვილი, საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის გადამხდელთა მომსახურების განყოფილების მთავარი სახ. საგადასახადო ინსპექტორი.

ფიზიკურ პირთა შემოსავლის საგადასახადო ორგანოები ბეგრავენ ფიზიკურ პირთა მიერ წლის განმავლობაში მიღებული თაქტიური შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. საგადასახადო ორგანოების მიერ გამოანგარიშებული გადასახადი გადაიხდევინება შემდეგი წესით: გადამხდელები, რომლებიც პირველად იბეგრებიან, შეიტანენ მიმდინარე წლის მოსალოდნელი შემოსავლიდან გამოანგარიშებული გადასახადის 25-25%-ს. საავანსო გადასახადების გადახდის ვადებია 15 მარტი, 15 მაისი, 15 აგვისტო, 15 ნოემბერი..

„ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

გამოანგარიშებული გადასახადის 50 პროცენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები.

3. ვარ მე-2 ჯგუფის ინვალიდი. დედა 87 წლის პენსიონერი გახლავთ. გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ავიღეთ ვაუჩერი.

კატეგორიულად მოვითხოვ მომცენ ვაუჩერი.

ლამზირა ჩიგოგიძე

უპასუხებს შოთა კოხრეიძე, სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების აღმასრულებელი სამსახურის უფროსი.

მოსახლეობისთვის საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) გაცემის ვადები მკვეთრად იყო განსაზღვრული არსებული დებულებით (წელიწადი და 4 თვე). პრესითა და საინფორმაციო საშუალებებით სისტემატურად მოვუწოდებდით მოსახლეობას დროულად მიეღოთ კუთვნილი ვაუჩერი.

ინვალიდებისა და რესპუბლიკის ფარგლებს მიღმა მაცხოვრებელთათვის დაშვებული იყო ბარათების მინდობილობით გაცემა. ინვალიდებს შინაც ემსახურებოდნენ.

სამწუხაროდ, მათ ვინც ვერ მოასწრო, ან დროულად არ მიაკითხა შემნახველ სალაროებს, (სადაც სიების მიხედვით ხდებოდა ვაუჩერების გაცემა), ვერაფრით დავეხმარებით.

სულ საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის დაიბეჭდა 5 500 000 ვაუჩერი, აღირიცხება საქართველოს 5 070 000 მცხოვრები. ხელზე გაიცა 4 265 000 ეგზემპლიარი, ვაუჩერი არ აიღო 805 000 ადამიანმა.

გაერთიანებული ქართული ბანკის საცავში ამჟამად ინახება 1 235 000 ვაუჩერი. მიმდინარეობს ციფრების დაზუსტება და აღრიცხვა, რის შემდეგაც დარჩენილი ვაუჩერები გადაეცემა ეროვნულ ბანკს.

გაუცემელი საპრივატიზაციო ბარათები, დებულების თანახმად, სამი წლის განმავლობაში შეინახება ეროვნულ ბანკში, შემდეგ კი განადგურდება.

აფთიაქი „ჩაშკა"

ყველაზე დეფიციტური საზღვარგარეთული წამლები მხოლოდ ჩემთან

შეღავათიან ფასებში მამაკაცების პროსტატის საწინააღმდეგო წამლები „პროსკარი", „პროსტატილენი" ამპულებში და „სერეპროსტა" აბებში.

აფთიაქი მუშაობს: დილის 9[30]-დან საღამოს 20[00] სთ-მდე

თბილისი, ლესელიძის ქ. 47 (სინაგოგასთან)

98-60-84 72-26-79

შ.პ.ს. «ტანო»

ვასრულებთ ბინების, მაღაზიების, ოფისების როგორც ცალკეულ, ასევე კომპლექსურ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს

ტელ: 96-94-72

ინტურისტი

INTOURIST

გთავაზობთ 7, 11 და 15 დღიან დასვენებას პრინცის კუნძულებზე, მარმარილოს ზღვაზე და კურორტ კილიოსში — შავ ზღვაზე, რომელიც ჰავით ჩამოჰგავს გაგრას. მგზავრობა თვითმფრინავით.

მისამართი: რკინის რიგი №6, მეტეხის ხიდთან, ლესელიძის ბოლოში. ტელ.:99-78-28, 93-07-55

თბილისის თამარ მეფის სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1996/97 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა
2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და მეთოდიკა
3. ხელოვნებათმცოდნეობა
4. სახვითი ხელოვნება
5. მოდელირება
6. გამოყენებითი ხელოვნება (გობელენი)

საბუთების მიღება 1 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე:

ფალიაშვილის ქ. №59, 54-ე საშ. სკოლის შენობა, II სართული, 10-დან - 15 საათამდე.

პრესა ყველაზე იაფად და ოპერატიულად ადგილზე მიწოდებით

ექსპრესი „ექსპრესი"

რუსთაველის 52. ☎ 93-66-78

აგრძელებს ხელმოწერას როგორც ქართულ და რუსულ, ასევე ევროპისა და ამერიკის წამყვან ჟურნალ-გაზეთებზე

იჩქარეთ! ჩვენი მომსახურებით კმაყოფილნი დარჩებით

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწ. წელს შემდეგ სპეციალობებზე (ქართული და რუსული სექტორი):

__იურიდიული ფაკულტეტი__ (დღის და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო სამართალი, სამართალმცოდნეობა, ბიზნესის სამართალი.

__ეკონომიკური ფაკულტეტი__ (დღისა და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბიზნესმცოდნეობა, აუდიტმცოდნეობა, საბაჟო და საგადასახადო საქმის მენეჯერი, საფინანსო-საბანკო საქმე.

__ფსიქოლოგიური ფაკულტეტი__ (დღის სწავლება); ფსიქოთერაპია, რეკლამის ფსიქოლოგია, კონფლიქტოლოგია.

__ჰუმანიტარული ფაკულტეტი__ უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, სპარსული), ჟურნალისტიკა, დაწყებითი განათლების მეთოდიკა.

ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით, პერიოდულად ლექციებს წაიკითხავენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ინსტიტუტში უცხო ენების სწავლება მიმდინარეობს გაძლიერებული პროგრამით. გააჩნია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლინგაფონური კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია. __გათვალისწინებულია სამხედრო კათედრის გახსნა.__ წვევამდელთათვის უზრუნველყოფილი იქნება სწავლების უწყვეტი ციკლი. სტუდენტები სურვილისამებრ სტაჟირებას გაივლიან ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. ფრიადოსნები __გათავისუფლდებიან სწავლის ქირისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია.__ ინსტიტუტში გრძელდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა — I, II, III და IV კურსებზე.

მიმდინარე სასწავლო წელს ექსპერიმენტის წესით აბიტურიენტები ჩაირიცხებიან __უგამოცდოდ__ (ზოგადი გასაუბრებით).

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №70 (მეტრო „პოლიტექნიკური", სასტუმრო „აჭარის" გაგრძელებაზე).

☎ 36-34-06, 36-25-89, 74-23-21, 36-53-92, 36-66-78

თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი

INSTITUTE OF INTERNATIONAL RELATIONS OF TBILISI

აცხადებს მიღებას **1996/97** სასწავლო წლის დღისა და დაუსწრებელი სწავლების იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების ქართულ და რუსულ სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა და საერთაშორისო სამართალი;
2. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა;
3. ფინანსები, კრედიტი და საბანკო საქმე;
4. საბაჟო და საგადასახადო საქმის მენეჯერი;
5. წარმოების მენეჯერი.

წარმოებს სხვა ინსტიტუტებიდან გადმოყვანა მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსებზე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები, ასაკის შეუზღუდავად.

აბიტურიენტებმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების დოკუმენტი;
2. ჯანმრთელობის ცნობა (არსებული წესის მიხედვით);
3. ოთხი ფოტოსურათი 3X4
4. განცხადება რექტორის სახელზე (მიმღებ კომისიაში არსებული ფორმის მიხედვით).

ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 34ა, №101-ე საშუალო სკოლა, მეტრო „დელისი", საკონტაქტო ტელეფონები: 39-44-94 (დილით); 37-67-71; 30-17-94 (საღამოს) აგრეთვე: თბილისი, ზაზიშვილის ქ. №1 (ყოფილი მონტინის ქ. ვაჭრობის სახლის შენობაში), ტელეფონი: 96-73-71, 96-70-22

თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი და თბილისის ეკონომიკის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წლის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

იურიდიული ფაკულტეტი- ა) *სამართალმცოდნეობა*
ბ) *ბიზნესის სამართალი*
გ) *პატენტმცოდნეობა*

ეკონომიკის ფაკულტეტი- ა) *საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტი*
ბ) *საფინანსო-საბანკო საქმიანობის მენეჯმენტი*
გ) *მარკეტინგი*

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები. ინსტიტუტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით, გარდა საშუალო განათლების მქონე ფრიადოსანი მოსწავლეებისა, რომლებიც უგამოცდოდ ჩაირიცხებიან. სწავლის ფრიადოსნებს ეძლევათ სტიპენდია.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ეკონომიკურ სპეციალობებზე - ა) *ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)*
ბ) *მათემატიკა /გასაუბრება/*

სამართალმცოდნეობის სპეციალობებზე ა) *ქართული ენა და ლიტერატურა /წერა/*
ბ) *სამართალმცოდნეობა /გასაუბრება/*

ინსტიტუტში სწავლა ხუთწლიანია. 1994 წლის 14 აპრილს დაიდო ხელშეკრულება თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტსა და პარიზის პედაგოგიური გამოკვლევების საერთაშორისო ცენტრს შორის, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მომზადების განვითარებასა და აგრეთვე არსებულ სტრუქტურებს შორის ინფორმაციების გაცვლას.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი
2. სამედიცინო ცნობა /ფორმა № 087/
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. 6 ცალი ფოტოსურათი /3X4 -ზე/

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 26 ივლისამდე, 10-16 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება 28 ივლისიდან

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, შარტავას ქ. (ყოფილი ანაგის) №20, მეტრო „პოლიტექნიკური ინსტიტუტი" ან „სამედიცინო", 63-ე საშუალო სკოლა

ტელეფონი: 38-14-10, 37-18-91, 37,10-13

__რექტორატი__

იმკურნალეთ! დაისვენეთ!

საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭო მსურველებს სთავაზობს: ბორჯომის, ლიკანის, კეჩხობის, სურამის, უწერის, საირმის, ახტალის, წყალტუბოს, ციხისძირის, მწვანე კონცხის, ურეკის, ქობულეთის და ბათუმის სანატორიუმების, პანსიონატებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს.

საგზურების შესაძენად, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. შარტავას ქუჩა №7 (ყოფილი ანაგის ქუჩა), IV სართული, ოთახი №611

☎ 38-41-72, 38-01-09

ფრაგმენტებიანი კროსფორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად:

1

?

8

ტექნიკურო უნივერსიტეტის ადრინდელი სახელწოდება.

9



(ჭკურნალობის მეთოდი)

11

ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული— მასსკარადი ცეკვა-თამაშით და სხვა გართობით

13

?

14

დაუმეავებელი მაჭარი (საბა)

15

პოლონელი ნვრილი აზნაურობა

16

19

20

(პროფესია)

22

ნახშირადი

ნახშირი გრაფიტი ალმასი

(ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით)

25

27

(მერსონაჟი)

28

(სახელმწიფო)

30

?

31

მეპატრონე თავლისა, რომელიც არ იწმინდებოდა 30 წლის განმავლობაში

34

ზამთრის ვაშლის ჯიშთა ჯგუფის სახელწოდება

36

დაუეორწინებლობა

37

38

ორგანული ნაერთი, უფერო მომწამლავი სითხე, გამოიყენება საღებავების, ფეთქებადი ნივთიერებების და სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად

39

სიგრილის ნანილი. მცირე სიგრილე (საბა)

40

გარდატეხის მომენტი, მძიმე გარდამავალი პერიოდი, სახი ფათო, მერყევი მდგომარეობა

ზევულად:

2

სარტყლის, ფეხსაცმლის, ცხენის აღაზმულობის და მისთ. შესაკრავი

სახესახეობა — ბარაბი — ინბარებოდა ნამოსასხამის შესაკრავად

ხევსურეთში — საყრელი, კარშიეი

სამეგრელოში — ყუნი

3

— მაინც რისი იმედი აქვს? — ჯერ ხეთისა და მერე თქვენი... ხუთასი მეიმარი თვითონ გამოპყავს, სულ დარჩენულები, ხუთას-ხუთასს ერისთავებიც ჰპირდებიან, — ეს ათას ხუთასი; ერთი ხუთასის იმედი თქვენგანაც აქვს!..

— ზერეადა, ორი ათასი კაცი სპოლეი ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია? სხვა რომ არა იყოს რა, ისიც ქმარა, რომ ალაზნის პირზე, გაღმა-გამოღმა, თხუთმეტი ათასი ულესი სახლობს... დიდი და პატარა ყველა მეიმარია (ნანარმოების ავტორი).

4

?

5

ეთიოპია — ადის-აბება

ეგვიპტე — ქაირო

მადაგასკარი — ?

6

?

7

სახმელეთო ჯარები

8

10

ბალი — მეცნარე, ხილი

ბალი — ციფრორრიეი აღნიშვნა რისამე

ბალი — საცეკვაო სალამო

12



17

18

ვრცელი მინდორი, უშენი, ტიალეიეთ.

21

გემრიელი საჭმლის მცოდნე და მოყვარული

23

ხელსაწყო პაერის ოზონიზაციისათვის (გასანმენდად)

24

„ლეკადია", „მასანდრა", „ეარდენახი", „ხიხვი"

26

ჩვენებები: ფილტვების ტუბერკულოზი, განეთარების ყველა ფაზაში (შორს ნასული პროცესის ეარდა) პნევმოპლევრიტისა და ლიმფადენიტის ქრონ. და მწვავე ფორმა, ტუბერკულოზის ცალმხრივი და ორმხრივი — პნევმოთორაქსი (პიპოქსიისა და ჯულ-სისხლძარღვთა უკმარისობის გარეშე) ხორხის ინფილტრაციული ტუბერკულოზი და სხვ. (ეუფორრი)

29



30

მანქანა, რომელიც ყოველგვარ სხვა ენერგიას მექანიკურ ენერგიად აქცევს

32

ნითელი ნათება — ნეონი ლურჯ-ცისფერი — ?

33

კონფედერაციის არმიის მთავარსარდალი — გენერალი რ.ლ (მონინააღმდეგე?)

35



კროსფორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„ქვირის პალიტრა" №27-ში გამოქვეყნებული კროსფორდის პასუხები:

თარაზულად:

1. კუოცამარი; 6. ლაბირინთი; 10. აბეცე; 11. ფსი (ბერძნული ანბანი); 12. ადამა (ქრისტე); 13. თომა (მიუზიელი „ჩხიკვთა ქორწილი"); 15. აბარი; 16. ატაშე; 18. ნარკოზი; 20. შინდი; 21. შაბხი; 22. ინდიელი (ასეთად დაინახეს პირველად ევროპელებმა ამაზონის ინდიელები); 25. „ამარკორდი" (ჩამოთვლილი იყო ფ. ფელინის კფფ-ში); 27. ბმნიმეტრი; 30. კარმენი 32. ვანგა; 33. „ბრავო"; 38. ფლეში (პოკერში); 39. ბეკაა; 40. ოჯანი (ოზაეეულ); 41. ასმათი; 42. გვირილა; 43. აკორდი.

ზევულად:

1. უსტაბაში; 3. ციცერონი; 4. რიმინიდი; 5. პოსტტერაბტუმი (მინაბერი წერილის ბოლოს); 7. ანტონინი; 8. იაგდეტაში (ჩანთა ნანადირევისათვის); 9. თუთაშია; 17. ბირპოფი (ფინანსური მატრის გმირი); 19. ეშელონი; 23. საფანტი (ჩამოთვლილი მისი ზომების შესაბამისობა ნომრებთან); 24. სტაფადი; 26. დაკაკი; 28. აბეკეი (ზენობის მთავარ, დამაგვირგვინებელ ლაგეგარდანს ზემოთ არსებული სართული); 29. ბეკარია; 31. ეინდხი; 34. ანაზი; 35. ბლანი; 36. ანიკი; 37. ბაგარა.

ᲗᲐᲕᲢᲠᲘᲐᲚᲐ ᲛᲐᲠᲙᲝ

ტურინელი მარკო ლოურელი ოჯახსტარ ტრადიციას არ ღალატობს და აგრძელებს ბაბუამისის მიერ დაარსებულ შოუ-ბიზნესს — მარკოს, ბაბუამისივით, რომელიც 1974 წელს გარდაიცვალა, შეუძლია თავის 180 ბრავურსული მატროალური ნებინსმიერ მხარეს.

— ანჯელო ლოურელი ლეგენდარული იყო და ბედნიერი ვარ, მის საქმეს რომ ვაგრძელებ, — ამბობს 28 წლის მარკო, — ჩემი ბაბუშვილის ცისფერი ოჯახება იყო, საციარო ხელოვნების ვარსკვლავი ეყოფოლიყავი.

მარკოს საკუთარ წარეიერებაზე არ უყვარს ლაპარაკი, სხვები კი მის უწესეულო ტალანტზე ბევრს ლაპარაკობენ, — მარკო თავს რომ შეიტანილებს, ეს ნიმერი ისჯერ რომ ტკბილეს ნანახი, თავს მინიც ვერ შეიკავებ და გაოცებებს ვერ დამალავ, — ამბობს ჯაბმაბაზი პონდი. მარკო ამის გარდა არიდერს აკეთებს, მაგრამ ყველაზე დიდი ოჯაცია მანიც მას ეკუთვნის ნოლმე.

თავად მარკო ამბობს, ამის სწავ-

დაბადებიდანვე ზეცალმთელი

შემიძლო ამის გაკეთება, შთამომავლობით გადამომეცა, მამაჩემსაც შეეძლო ოთი ზოურგზე „მოება“, მაგრამ საჯაროდ არასოდეს გამოსულა ყოველდღეს ვეარეიმრძოდ, რომ ეოსრის კუნთები არ მომიფფეს.

ახლა მარკო ეფროპაში მოგზაურობს და წელსვე ჰარეს ამერიკის კონტინენტზე სტუმრობას.

ბაბუაზეგს არ ეერსებია ამერიკაში გასტროლება, მაგრამ ერთ მშვენერ დღეს დადეკმარა ამერიკას, ვარსკვლავი გავხდები და ჩემს ოჯახს პოპულარობას მოვუტანან. ოტალიელები მარტო მფფოოზები ხომ არ არიან.

მეგაპოლის-კონტინენტი №13



ᲯᲐᲓᲝᲛᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ

სამხრეთ ამერიკის ქალაქ პატერსონურში უწესეული კონფერენცია გაიმართა, — თაობირობდნენ კუფიანები და ულიალეკიმტანერეკონტიკოსები. ამას წინათ, ლიმპიოს მასლობლად, ერთ ქოხს ქეხ დღეცა და შიგ 73 წლის მოხუცი ქალი გამოიწვა. ახლობლებმა იდარდეს, ატირეს, დაკრძალეს და შემდეგ ამერიკელი სოფლის ყველაზე გაელენინ პირს, სანგიმხს მიაკითხეს, რომელიც ერთდროულად მათთვეს დასტაკარეკ არის და ნათელმოელეელიც, მრრეველიც და შამანიც, შეუძლია ავი სულების განდევნა და ჯადოქრების მიგზებაც.

დიდი გასამრჯელოს ფასად სანგიმა ალროს კამათლუს და იმისდა მიხედვით, როგორ განლაგდება ქოლიეფზე, განსაზღვრავს, ვინ დგებაქმეთ თავს ესა თუ ის უბედურება. ამ ჯეერზე მოხუცებული ქალის ბეჭით დაინმტერესებულებს უთხრა, რომ ტრაგედიის თავი და თავი ადგილობრივი მასნავლუმლის ახალგაზრდა ცოლიანო. რით



ᲚᲐᲛᲐᲖᲘ — ᲑᲐᲖᲝᲜᲐᲪ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲝᲣᲚᲑᲘ

მსახობმა ბრუკ შილდსმა და თოფმოდელმა ქრისთა ბრნქლმა ბაგეების ახლებური გამომეტყველებით ყველას ყურადღება მიიქციეს და სოლიდური პოზორარეა მიიღეს.

1996 წელს ნიუ-იორკში მიწყობილი „წლის პარფუმერის“ ორგანიზატორების აზრით, ასე ეფექტურად, ამდაგვარ გამოფენაზე, ჯერ არცერთ რეკლამას არ უმუშავია.

ᲗᲠᲣᲗᲐ-7 №118



ᲑᲐᲓᲔᲚ ᲛᲝᲛᲔᲪ ᲓᲐ ᲨᲐᲜᲯᲘᲡᲬᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲒᲔᲓᲘᲗ

ბოლო ვედროს ნარინგბის გეტანასას ოლგა ფიქორიდზე, ახლა გადაკეკარო სანაგვეში, თუ დიოლმდე დავიკადოო... საქმის მოთავეები აოჩრა და კარი გამოალო. სასადილოში ალარავინ იყო, ბნელოდა: ის იყო, კონტეინერში ჩაყალა. ვედრო, რომ რაღაც დალანდა, ლანდი მამაკაცად იქცა, დამფრთხალაც ქალმა იყეირა, ვედრო მოისროლა და მოკიოცხა. კაცი შეეხმანა, შეეკვდრა, ნუ ეარბიხართო. ხმა ისეთი სანაკლი ჰქონდა, ქალი შეყოფნდა. ისიც მოუახლოდგა, ცალ ხელში დიპლომატით და ცალში ვედროთი. ვედრმი ერქვა, დისერტაცია დაუცავს, რომელსაც, ტრადიციისამებრ, „დისერტაციაც“ მოაკოლია და ეს ბახუსის მოძღოლ ვედრმი ისე გამმიფრალა, რომ ვერ გაიგო, აქ როგორ მოხედა, ან შემდეგ საით უნდა წასულიყო. მოკლედ, ოლგამ სასადილოში შეიყვანა, მოუარა, ჩაიც შესთავაზა და საუბრითაც დიდხანს გაერთნენ.

გათენდა და ვედრმმ ნაფიდა, ცოტა არ იყოს, მოინეანია ოლგამ. მეორე საღამოს ვიღაცამ დარეკა... კარაბინი ვედრმი ოგდა, ვარდების თაიგულით ხელში... ახლა მათ გოგონაც ჰყავთ და იმ პირველი შეხვედრის დღეს ყოველთვის აღნიშნავენ.

ᲘᲛᲔᲠᲚᲘ-ᲒᲐᲖᲔᲗᲐ №16

ᲛᲐᲚᲐᲒᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲠᲐᲚᲘᲡ

პიკასოს თავის სამშობლო-ქალაქ მალაგაში გამოფენა მოწყობა სურდა, მაგრამ ვერ მოასწრო. დიდი მხატვრის რძალმა, ქრისტინა რუიკ-პიკასომ მამამთილის ოფერების გაბოლოდაც განიზრახა და მალაგაში გაგზავნა პიკასოს ნამუშევრები და ბრაფი წიგნები.

ქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გამოფენა 1998 წელს, დიდი შემოქმედის გარდაცვალების 25 წლისთავზე გახსნას, რენესანსის სტილის სასახლეში. შედეგების გარდა, წარმოდგენილი იქნება პიკასოს ბავშვობის ნახატები, ფოტოსურათები, ბიბლიოთეკა, პირადი ნივთები.



ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ №26

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

მემფისელი მხატვარი დეივიდ ქლეერონი ხელებს დღეში 125-ჯერ იბანს, იმის შესაბამნებლად, კარები თუა კარგად დაკეტილიო, ღამეში 15-ჯერ დგება, ერთხელ, შინ 32-ჯერ მობრუნდა, გაბნის ქურა ხომ არ დამრჩა ჩართულიო.

ამას რა უყარს, სანაკალ კატას, თუკი მას ფინნემ ხელი გადაუსვეს, ამნუთში შამაფრთი ახარჩეს, დღეში 8-ჯერ ამოიმეფის და რეკავს, სადაც ჯერ არს, ტელეფონი ხომ არ გამომეფთო, შემიმოწმეთო; ყოველი ჭამის შემდეგ (და მანამდეც), აწერალებს დანარჩენაკალს, აქუცმაცებს თავის საჭმელს, თუ სადმე მზეერი ან ჭუჭყი აღმოაჩინა, მოელ ბინას საფფაქელინად რეცხავს, ბოდიშს და, ტუალეტიდან გამოსული, ბაკას სულ ცოტას, ათჯერ ცლის.

— ასე თუ არ მოვიქეცი, შიში ამიტანს, ეს ბავშვობიდანვე ამეკვიატება, მიკრობებს შეშინდეთ, ტარნინ საპოს ხარჯავკო, — მოგვიჩივლა დეივიდ ნენ. გავიზარდე და ახლა უკვე ავადფყოფობაში გადადგეზარდაო, მეუნეგიანნ. ბრაქმეკეულად, ხატვისათვის ვეღარ ვიცელი, ხალხიც ალარ მეკარება. თავს მშვენერად ვეერნობ, ერთადერთი, საცვიერო არა მყავს და ცოდა მანუფეს, ყოველი შეხების შემდეგ ხომ ხელის დასაბანად უნდა გავქცეულიყავი? მაგრამ არა უშავს, ყველაფერი ხომ არ შეიძლება გეძოდეს, უნდა შეეურნედ უქანოს, სისუფთავეს ვერ შევეშვები.

ᲡᲐᲜᲔᲚᲓᲐᲚᲘ №13

ᲘᲜᲓᲝᲛᲘᲗᲨᲘ ᲔᲥᲛᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ

რა არის ამისთვის საჭირო? ბეერი არაფერი, — ფიქრობს ამანდიპ შიქპონი, — საკმარისია სრულფაფოვნად შეითვისო ნემსით ჩრვლტეის თერაპია და წარმატებით უმკურნალო სულ რაღაც ასოოდე ბაკეიენსს შეიძლება სხვადასხვა სენი ანუხებდეს; მაგრამ ამანდიპი უმთავრესად ასთმასა და თავის ტკივილს ზეელის. პროფესიონალი ეკუმის დიპლომი შიქპონს საზეიმო ვითარებაში გადაეეცა.

ამ სპეციალისტს უკვე შეურნულდა... 11 ნელი, მისი ახელი შეეა ინდოეთის რეკორდების ნიგნში.

ᲗᲠᲣᲗᲐ-7 №118

ᲐᲖᲐᲗᲐ 10 000 ᲬᲚᲘᲡᲐ

საზოგადოებას წარეფდინეს უხუცესი ამერიკელი ქალბატონი. მიჩიგანის უნივერსიტეტის თანაშშრომელმა დენის ლიმ სილეკონის საშუალებით აღადგინა 10 000 წლის თავის ქალა.

მეცნიერმა ქალაზე ახიური ნაკვთები გამოქერნა, რადგანაც ძვლების ფორმის მიხედვით ქალი ახიური წარმოშობისა ჩანდა. სათკარია, მაგრამ „აგათას“, — ასე უწოდეენ მეცნიერები აღდგენილ ქალს, — ფრიად თანაფეფოვნე გარეგნობა აქვს.

ამშობ-ტერტორონაზე აღმოჩენილ ჩონსნთი შორის „აგათას“ ძვლები უფიელსია. იგი 1983 წელს, ტეხასის შტატში, ოუსტინის მახლობლად იპოვეს. „აგათას“ ოაერაცია გრძელდება. ახლა სხეულის ნარჩენებიც უნდა აღადგინონ.

ᲤᲘᲥᲠᲝᲜᲘ №25

ᲧᲘᲗᲔᲚᲘᲡᲤᲔᲛᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲧᲘᲗᲔᲚᲘᲡᲛᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲐ

ტელევიზია ყოველდღე უწესებს გენერალ ა. ლუმეფოს შთამმეყდაფ ფიგურას, დაწერილნი ამუეტის ყველა მის პრესკონფერენციას, ეპატიჟებიან სხვადასხვა გადაცემაში მონაწილეფობის მისაღებად.

ამ გადაცემებშია კი გაიეფვეს, რომლებიც პოლიტიკას არ ეხება. ანსამეს „ლუეს“ ხელმძღვანელის ახალი სმეფოლი, — „ემთამატს“ კლაპში გამოყენებული იყო რამდენიმე ქრონიკალური კადრი სამეფლოფოფონინაში ა. ლუბეფიიფოფონ. ამის შემდეგ მომეცეარელი და ტელეეფუნნალისტიც ალაპარაკეფნენ გენერალზე, — კოოსტალოოგ პატროოსანი, პირდაპირ და მამაცი ადამიანის სიმბოლოა, უყვართ და მისი სეკურთო.

ᲢᲘᲠᲐᲜᲝᲜᲐᲖᲘᲠᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲯᲐᲠᲘ

როგორც ცნობილია, ტირანოზაურები აზიური წარმოშობისანი არიან, მკვლეკეარებმა კი ტირანოზაურსებრთა ძვლები ჩრდილეოეთ ტაილანდში აღმოაჩინეს.

მათი ანრთი, იგი სულ ცოტა, 20 მილიონი წლით უფროსია ყველაზე ადრე აღმოჩენილ მოძმეზე. ეს გიგანტი ბეს შთამომავალზე დაახლოებით 6,5 მეტრით გრძელი და ორჯერ უფრო დიდია.

ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ №26

ᲡᲐᲮᲔᲨᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ ᲓᲐᲘᲐᲜᲐᲡ

დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე დიდი სამეფო სასახლეს იქმნიერ მონანლეს, პრინცესა დაიანას 35 ნელი შეუსრულდა. ბრიტანელი პრესა, რომელიც ამ თარიღისთვის დაიანასთვის მისართმეფი შესაძლო საჩუქრების შესახებ მარჩილობდა, ერთხმად აღნიშნავდა, რომ ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის პრინც ჩარლზთან განქორნინება იქნებოდა. პრინცესამ ყველას გასაოცარად პატარა ნეეუფეცბაც კი არ გამართა, თავის უფროს ვაჟთან — ულიანამთან ერთად ლონდონში, ქენსინგტონის სასახლეში განმარტოდდა. ამ დროს კი პრინცმა ჩარლზმა, ნანნლობრივ, გაამარილა ფურნალისტთა ვარაუდი და დაიანას 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა ბანქორნინების სავასურად. ამ ამბავს უკლებლივ ყველა ბრიტანული გაზეთი თუ ჟურნალი უზარმაზარი ფოტოოვნით და მყვარალა სათაურებით გამოეხმაურა. გაზეთი „სანი“ კი, როგორც ყოველთვის, ორიგინალური იყო: აქ დაიანას პატარა ფოტოს გასნერვნა წერილი მროფთი ნაიწერეს, — „საჩუქარი, რომლის მიღებაც მას ძნიერ სურდა და მიიღო კიდეც“.

ᲘᲜᲢᲘᲜᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ერთი ასეთი მერი...

პერუს დედაქალაქის ლიმას მერს, ალბერტო ანდრადეს მხოლოდ ქალაქელები კი არა, უკვე მთელი ქვეყანა აღიარებს. მას შემდეგ, რაც 1992 წელს ხელისუფლებამ შეიპყრო ტერორისტული დაჯგუფების „მბრწყინავი გზის" მეთაური აბიმაელ გუზსმანი, რომელიც ხალხს შიშის ზარს სცემდა, მერს აეკვიატა იდეაფიქსი: იქ, სადაც სისასტიკე და სიძულვილი მეფობდა, ახლა სინაზესა და სიყვარულს უნდა ებატონა. თქმა და ქმნა ერთი იყო! ფეშენებელურ მირაფლორესის რაიონში დაფუძნდა „სიყვარულის პარკი". პირველი დღეებიდანვე იგი ქალაქელების საყვარელ ადგილად იქცა, ყოველ შაბათს აქაურობას მექორწილენი სტუმრობენ, 50 წყვილი ერთდროულად ბედნიერდება და სიყვარულის კუნძულზე გეგონებათ თავი.

მერს სხვა იდეალური აზრებიც მოსდის. მან გადაწყვიტა მირაფლორესის შეძლებული ადამიანების მოზიდვა და ქალაქის პრობლემების გადაჭრა. ერთ-ერთი უპირველესი, მისი აზრით, ღატაკთა უბნებისათვის გაწეული დახმარებაა. მდიდრებმა უნდა ირწმუნონ, რომ სოციალური კონტრასტები უნდა გაფერმკრთალდეს, მირაფლორესმა უნდა იგრძნოს, — მის გვერდით ვილია ელ-სალვადორი, მშიერ-ღატაკთა უბანია და ეს უნდა აწუხებდეს გამაძღარ პერუელს.

ალბერტო ანდრადეს ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება. დღეს მასზე ლაპარაკობენ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატზეც.

ჯერჯერობით კი, რასაც აკეთებს, მარტო გონიერი პოლიტიკა კი არა, იდეალიზმის ტრიუმფია.

ინდეფენდენთ ონ სანდი

მარგომ თავისი სიკვდილის საიდუმლოება თან წაიღო

ერნესტ ჰემინგუეის თვითმკვლელობის 35 წლისთავზე გარდაიცვალა მისი შვილიშვილი, მარგო ჰემინგუეი. 41 წლის მსახიობი და ფოტომოდელი მკვდარი იპოვეს თავის ბინაში, კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-მონიკაში,

მარგო ჰემინგუეი 20 წლის ასაკში გახდა პოპულარული, „ფაბერჟეს" ფირმის სუნამოებს უწევდა რეკლამას და საკმაოდ დიდი შემოსავალიც ჰქონდა. იგი ამერიკის ძვირადღირებულ თოფმოდელთა კატეგორიაში შედიოდა. მარგომ კინემატოგრაფშიც მოსინჯა ბედი, — რამდენიმე ფილმში ითამაშა, თუმცა, კრიტიკოსების აზრით, დიდი ვერაფერი მსახიობი გამოდგა. მისი გარდაცვალების ამბავი მეგობრებმა გაიგეს. იგი კარგა ხანს არ ჩანდა, ამიტომ შინ მიაკითხეს. მარგო არც ტელეფონის, არც კარის ზარს გამოხმაურებია, ფანჯარაში დაინახეს, — საწოლ ოთახში მარგო ჰემინგუეის გვამი ესვენა. პოლიციამ მკვლელობა და თვითმკვლელობა უარყო. ექიმების აზრით, მარგო ჰემინგუეი დაიღუპა ეპილეფსიის შეტევის შედეგად. საბოლოო სიტყვას ექსპერტიზის შემდეგ იტყვიან. ცნობილია, რომ თოფ-მოდელი 80-იან წლებში ალკოჰოლიზმს მკურნალობდა.

კომსომოლსკაია პრავდა №123

იაპონია მსოფლიოში თავის ადგილს ეძებს

ანტიკურ ქალაქ კიოტოში ერთი პატარა, ღირსშესანიშნავი გორაკია. გადმოცემით, აქ ათასობით კორეელის მოჭრილი ცხვირების სამარხია. ეს ამბავი უკავშირდება ჰიდეუოში ტოიოტომის სახელს. იგი დიდგვაროვანი ფეოდალი იყო, ცხოვრობდა მე-16 საუკუნეში და

იაპონელთათვის ერთად შეკრებილი ჯორჯ ვაშინგტონის, ნაპოლეონ ბონაპარტესა და პეტრე პირველის განსახიერებაა. სწორედ მან დაიწყო სამთავროებად დაყოფილი იაპონიის გაერთიანების პროცესი, აგრეთვე ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომლის შედეგი დღევანდელ იაპონიაშიც თვალნათლივ ჩანს. ჰიდეუოშიმ საერთო ეროვნული იდეის გარშემო ცეცხლითა და მახვილით გააერთიანა იაპონია და 1597 წელს მწარე დამარცხება აგემა დამპყრობელ კორეელებს. შედეგად, თითქმის 100 000 კორეელის მოჭრილი ცხვირით ააგო გორაკი, რაც ქვეყნის უძლეველობის სიმბოლოდ იქცა. შორსმჭვრეტელმა ჰიდეუოშიმ ქვეყანა გარესამყაროს მოწყვიტა და იზოლირებულ არეალში წესრიგის დამყარება და იმ დროისთვის უჩვეულო ეკონომიკური რეფორმები დაიწყო. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ თითქმის 250 წლიანი თვითიზოლაციის პირობებში იაპონელებს მაღალი თვითშეგნება, შრომისადმი გულმოდგინე დამოკიდებულება და ქვეყნისადმი თავდადება გამოუმუშავდათ. ამასთან, სწორედ მისი ნაანდერძევით სარგებლობდნენ საუკუნეთა მანძილზე იაპონელები, რომლის მიხედვითაც სათანადო მომზადების შემდეგ ქვეყანას მსოფლიოში წამყვანი ადგილი უნდა დაემკვიდრებინა. „დადგება დრო, როდესაც დღეს ჩაგდებული თესლი ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა გაბრწყინდება", — წერდა ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში ჰიდეუოში. იქნებ, სწორედ მაშინ ჩაიდო ის კოდი ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებლებში, რომელიც დღეს ჩანს, — მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეხვდებით იაპონურ მანქანებსა თუ აუდიო-ვიდეო ტექნიკას. ხოლო იაპონელთა შრომისმოყვარეობა კი სამაგალითოდ ქცეულა. აზიაში, ალაბთ, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას წინაპართა დანატოვარს. ამ მხრივ, არც იაპონელები ჩამორჩებიან სხვებს. ალბათ, ამიტომაა, რომ ყოველწლიურად იაპონელთა ოჯახიდან ერთი წევრი მაინც ჩადის ანტიკურ ქალაქ კიოტოში, ანუ იქ, საიდანაც ქვეყნის ძლიერება დაიწყო!

ნიუზუიქ, 8 ივლისი

ევერესტიც კი ნაგვის გორად აქციეს

ნეპალელმა ალპინისტებმა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის გასაწმენდად ხუთი ექსპედიცია მოაწყვეს, მათ 2 ტონა ნაგავი შეაგროვეს და განაცხადეს, რომ 15 კიდევ ასაკრეფია. რა არ აღმოჩნდა იქ: კონსერვის ქილები, ბოთლები, ცელოფანის ნაგლეჯები, ქაღალდი და ქსოვილი, ყველაფერი, რაც აქ ადამიანის ნაკვალევზე მიგანიშნებთ. წარმოიდგინეთ, რამდენმა ადამიანმა დატოვა კვალი ევერესტზე 1953 წლიდან (მისი პირველი დაპყრობიდან). ნეპალელმა მთამსვლელებმა აღმოაჩინეს, აგრეთვე, ალპინისტის ნეშტი. ვარაუდობენ, რომ მომდევნო ექსპედიციის დროს კიდევ ათამდე გაყინულ გვამს მიაგნებენ. მორიგი გაწმენდა ნავარაუდევია მომდევნო გაზაფხულზე.

დედამიწის ზურგზე სუფთა ადგილი ძნელი მისაგნები ყოფილა.

ამერიკელი სენატორის რეკორდი

93 წლის ამერიკელმა სენატორმა სთრომ თერმონდმა ახლახან განაცხადა, რომ განზრახული აქვს კიდევ ერთი ვადით იყაროს კენჭი კონგრესის ზედა პალატაში. მისი გამძლეობისა და ენერგიის შესახებ აშშ-ში ლეგენდები დადის. ასე მაგ. 68 წლის თერმონდმა მორიგი (მესამე) ცოლი მოიყვანა, მისი რჩეული 24 წლისა გახლდათ და ხუთ წელიწადში ოთხი შვილიც შეეძინათ.

პრავდა-5 №25

ერთი ბომჟის გამოწყობა კი შეიძლება

—უკრაინელმა ბომჟებმა ერთ კარგ ხერხს მიაგნეს... ბაზარ-ბაზარ სიარულში კარგად დააფიქსირეს და შეისწავლეს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი საგადასახადო პოლიცია როგორ აკეთებს საკონტროლო შესყიდვას და წონაში დაკლებისათვის (რაც თითქმის ყველა გამყიდველის სენია), როგორ აჯარიმებენ გამოჭერილებს. მოხერხებული მარგინალები მთელი შემადგენლობითა და სახსრებით მორთავ-მოკაზმავენ ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს, კონტროლიორის როლისთვის რომ ვარგოდეს და მიუშვებენ საქმეზე. ამ დროს სხვა ბაზარზე სხვა „კონტროლიორი" მოღვაწეობს. ყველაფერი „წესითა და რიგით" მიმდინარეობს და საბოლოოდ, ჯარიმა 10-დან 30 დოლარამდე პლუს სანოვაგის ნაწილი „საგადასახადო პოლიციელს" ბარდება.

როგორც წესი, მათ საბუთებს არავინ თხოვს, დანაშაულზე წასწრებულ გამყიდველს ერთი სული აქვს, დაუძვრეს „კანონიერების გუშაგს".

მეგაპოლის-ექსპრესი №26

ამერიკაში მწეველებს ალმაცერად უყურებენ

ამერიკელ მწეველებს ნამდვილად არ ულხინთ, — რესტორანში ცუდი ადგილები აქვთ მიჩენილი, დაწესებულებაში საერთოდ აკრძალულია მოწევა.

ახლა მათი სიგარეტის მოყვარული პრეზიდენტიც ჩაება თამბაქოს ინდუსტრიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან სიგარეტმა 1995 წელს 434 000 კაცი იმსხვერპლა.

ვინ, სად და როდის უნდა მოწიოს, ამას შტატების ხელისუფლება წყვეტს. საგულისხმოა, რომ, პირველ რიგში, ეს აკრძალვა მოზარდებს წაადგება.

მწეველები აღშფოთებულნი არიან, — ალბათ, მალე ჩვენი სახელმწიფო იმასაც დაგვიკანონებს, — როდის, სად და რა უნდა ვჭამოთო. ბილ ქლინთონის ეს მკაცრი პოლიტიკა რომ გაგრძელდეს, მალე სიგარეტს ნარკოტიკის ფასი დაედება. დაახლოებით 45 მილიონი ამერიკელია ამ აკრძალვებით შეზღუდული: ფლორიდის შტატში, სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და დაწესებულებებთან მხოლოდ 7 მეტრის მოშორებით შეიძლება მოწევა. ტეხასის შტატში საზოგადოებრივ სკვერებსა და პარკებში თუ ვინმე გააბოლებს სიგარეტს, 500 დოლარით ჯარიმდება.

ქლინთონმა „მარლბოროს და კომპანიას" შეუტია, რომელსაც 40 მილიარდი დოლარის საქონელბრუნვა აქვს. პრეზიდენტმა ბრძანა, — თამბაქოს ინდუსტრიის საქმიანობაში თვითონ ჩავიხედავო.

1983 წელს ფილიპ მორისმა აღიარა, ნიკოტინით ადამიანის დამორჩილება უფრო იოლი საქმეაო. თურმე, მეწარმეებმა თამბაქოში გაზარდეს ნიკოტინის შემცველობა, მისადმი ლტოლვის გასაძლიერებლად.

თამბაქოს ომი პრეზიდენტის არჩევნების მთავარი სტრატეგიაა. ქლინთონის მეტოქეს, ბობ დოულის აზრით კი, „ზოგს ჩვევად აქვს გადაქცეული თამბაქოს წევა. ბევრს შეუძლია ადვილად დაანებოს თავი, ზოგს მხოლოდ საღამოებზე უყვარს გაბოლება. უმრავლესობა სულაც არ ეწევა."

ქლინთონი ამბობს, — „ვინც დღეს ამტკიცებს, რომ მას ნიკოტინი იმორჩილებს, ნამდვილად თამბაქოს ინდუსტრიის ფულზეა დამოკიდებული". დოულის საარჩევნო სალაროში თამბაქოს ინდუსტრიიდან მილიონობით დოლარი მოედინება.

ქლინთონის კურსი, — ახალგაზრდობის დაცვა ნიკოტინისგან, საკმაოდ არამყარია და ამიტომაც თეთრი სახლი ეძებს ახალ გზებს თამბაქოს ინდუსტრიის სამყაროში.

ფოკუსი №26

ვისი სისხლია უფრო ტკბილი?

კოღო რომ არავის უყვარს, ფაქტია, მაგრამ კოღოს ვუყვარვართ, ჩვენ და განსაკუთრებით კი, ზოგიერთნი. ბევრჯერ შევსწრებივართ, ერთსა და იმავე კომპანიაში კოღო ვინმეს ამოირჩევს და

სხვებს ყურადღებასაც არ აქცევს, ან — ოჯახის წევრები ილვიძებენ, ერთი კოღოს დაუსიებია, მეორე, ვითომც არაფერი, მხნე და კარგად გამოძინებული ილვიძებს. ეს ყველაფერი დიდი ხანია, შემჩნეული აქვს ადამიანს, მაგრამ 1954 წელს ცნობილი ენთომოლოგის, პროფესორ ნაბოკოვის ექსპერიმენტებმა ოფიციალურად დაამტკიცა, კოღო, თუ არჩევანის წინაშე იქნება, დაუყოვნებლივ ესხმის თავს, ვისი სხეულიც უფრო მძაფრ, ცხელ სუნს გამოსცემს, მას არასოდეს ეშლება, ყოველთვის აგნებს გრადუსის მეათედ სხვაობასაც კი. შეგიძლიათ შეამოწმოთ, — თუ თქვენ აგირჩიათ და თქვენს გვერდით მყოფს პირიც არ დააკარა, გაიზომეთ ტემპერატურა, თქვენი უფრო მაღალი იქნება.

ექსპრეს-გაზეთა №17

მამაკაცებისთვის, ვინც ზღვისკენ მიემგზავრება...

თუ გადაწყვიტეთ, პლიაჟზე ნაცნობობით გაილამაზოთ ისედაც მშვენიერი დღეები, გაითვალისწინეთ, — საბანაო კოსტიუმის ფერით ამოხსნით ქალის ბუნებას.

ვარდისფერს — ირჩევენ მგრძნობიარე, დამთმობი, მეოცნებე, თავმდაბალი ქალები. ისინი ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ, ყოველთვის მზად არიან სასიყვარულო ურთიერთობებისათვის;

წითელი — უყვართ აგრესიულ, დაკომპლექსებულ ეგოისტებს. ისინი გამომწვევი ქცევითა და უცენზურო ლექსიკით ცდილობენ შთაბეჭდილების მოხდენას;

ყვითელი — ეს უანგარო, სანტიმენტალური ქალიშვილების ფერია. ისინი ეთაყვანებიან პოეზიას, მთვარიან ღამეს და რომანტიკულ შეხვედრებს;

ცისფერს — იცვამენ საქმიანი, ანგარიშიანი, კარიერისტი ქალები. ისინი ახალი ნაცნობობისათვის თვითონ ეძებენ ფულიან ბიზნესმენსა და მეწარმეს;

ჭრელი — მოსწონთ იმპულსურ, თავგადასავლების მაძებარ, ფუქსავატ ქალიშვილებს, მათ ბოლომდე არც აქვთ გააზრებული, ისე მიდიან პაემანზე;

თეთრს — იცვამენ ჭირვეული, თავნება, დახვეწილი კოკეტები. ისინი, უმთავრესად, თავქარიანნი და სიყვარულში ორგულნი არიან. საკუთარი ცხოვრება ფერად შოუდ წარმოუდგენიათ;

შავს — ეთაყვანებიან საშინელი წუნკლები. იუმორის სრული უქონლობის გამო, მათ, როგორც წესი, გაურბიან თაყვანისმცემლები.

ექსპრეს-გაზეთა №17

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია,

ანუ რაში ხარჯავენ ფულს ძველი და ახალი ისრაელელები

ამაში დაგვეხმარება ისრაელის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტის გამოკვლევების შედეგები, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთში „ედიოთ აქრონოთი". გამოკვლევის მიზანი იყო დაედგინათ, რა პრიორიტეტით ხელმძღვანელობენ ბიუჯეტის დაგეგმვისას ძირძველი ებრაელთა ოჯახები.

გამოიკვლიეს ერთნაირი შემოსავლის (თვეში დაახლოებით 3.000 შეკელის (1000$ სულზე) მქონე ოჯახები.

1. **კვება** — ძველებიც და ახლებიც, დაახლოებით, ერთნაირ თანხას ხარჯავენ, მაგრამ საკვების შედგენილობა სხვადასხვაგვარია. ძველები უბრალოდ და ზარმაცად უდგებიან საკითხს — მზა საკვებს ან ნახევარფაბრიკატებს ამჯობინებენ. „რუსები" კი თავად ამზადებენ კერძებს და წარმოიდგინეთ, მურაბებსა და მწნილებსაც კი, რაც უფრო ეკონომიურია. სამაგიეროდ, დელიკატესებსა და ძვირფას სასმელზე ფულს არ იშურებენ, რის უფლებასაც ძველები უფრო იშვიათად აძლევენ თავს. წლევანდელი მონაცემებით, ოჯახი პროდუქტებზე თვეში საშუალოდ 1.400 შეკელს (460$) ხარჯავს. მათი არჩევისას გადამწყვეტ ფაქტორად მოსახლეობის 40% ხარისხს ასახელებს, 19% ჩვეულებას, 22% — ფასს, და მხოლოდ 2% — რეკლამას.

2. **ჯანმრთელობა** — ძველები უფრო ხელგაშლილნი არიან. ახლები ნაკლებად წყალობენ „ქანთრიქლაბებსა" და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, რომლებშიც ნაკლები ქოლესტერინი და ქიმიური მინარევებია. მაგალითად, „ყავისფერ შაქარს", რომელიც თეთრზე გაცილებით სასარგებლოა, ძველების 30% ყიდულობს, ახლებისა მხოლოდ 5%. ასეთივე ვითარებაა „ეშკოლტ-ვიტალია"-ს მსგავსი სხვადასხვა წონის დასაკლებ საშუალებებთან დაკავშირებითაც.

3. **ბავშვები** — წრეებსა და სპორტულ სექციებზე ძველებიცა და ახლებიც თითქმის ერთნაირად ხარჯავენ ფულს. სათამაშოებისა და დაბადების დღეებისათვის კი (ბავშვი, როგორც წესი, მთელ კლასს ეპატიჟება და ყველა სტუმარი სიურპრიზებისა და უამრავი გასართობი კონკურსის შემდეგ, საჩუქრით ბრუნდება შინ), ძველები გა-ცილებით მეტ თანხას იმეტებენ, ვიდრე რეპატრიანტები.

4. **ჩაცმა** — აქ კი რეპატრიანტები აბსოლუტური რეკორდსმენები არიან. ახლების საშუალო ოჯახი ამ მიზნისთვის ორჯერ მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე ამავე შემოსავლის მქონე ძველები.

5. **კოსმეტიკა** — თუ პარფიუმერიაზე (სუნამოები, დეზოდორები, პუდრები) დაახლოებით ერთი და იგივე თანხა იხარჯება, კოსმეტიკას (კრემები, ლოსიონები) ძველები უფრო ეტანებიან.

6. **სამკაულები** — სამჯერ მეტს ხარჯავენ ძველები. ახლები თითქმის არ ყიდულობენ ოქროსა და პატიოსან თვლებს, ძალზე იშვიათად — ვერცხლს.

7. **ელექტროსაქონელი** — აქ თანაფარდობაა.

8. **ყოფითი საკითხები** — აქაც ძველები ლიდერობენ. ისინი უფრო ხშირად მიმართავენ შინამოსამსახურეებისა და ბებისიტერების, სხვადასხვა შესაბამისი სამსახურების დახმარებას. ძველები კი რემონტსაც საკუთარი ხელით აკეთებენ.

9. **ავეჯი, ხალიჩები, ჭალები** — აქ კი რუსებმა გაუსწრეს ძველებს, რომლებიც საკმაოდ მოკრძალებული მოწყობილობით კმა-ყოფილდებიან.

10. **წიგნები, კასეტები, დისკები** — რეპატრიანტები სამჯერ მეტს ყიდულობენ, ვიდრე ძველები.

11. **დასვენება** — ძველები მეტს მოგზაურობენ ქვეყანაში, უფრო ხშირად დადიან თეატრებში და კონცერტებზე, სამაგიეროდ, რუსებს მასპინძლობა უფრო უყვართ, უფრო ხელგაშლილნი არიან. კაფეებსა და რესტორნებში უფრო ძველები ხვდებიან მეგობრებს. საზღვარგარეთ კი ერთნიც და მეორენიც თითქმის ერთნაირად მოგზაურობენ.

რეპატრიანტობის სტაჟის ზრდის პარალელურად, ბიუჯეტის დაგეგმვის პრიორიტეტთა სისტემა ისრაელის სტანდარტებს უახლოვდება. აბსორბციას დაახლოებით 10 წელი სჭირდება.

***

ისრაელის პოლიციის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ გააუვნებლა საკმაოდ მსხვილი დაჯგუფება. როგორც პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, ეს იყო მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთსა და სნგ-ს სხვა ქვეყნებში მოქმედი დანაშაულებრივი კლანის ერთ-ერთი ნაწილი.

დაკავებულია 60 ბოროტმოქმედი — ყველა ისრაელის მოქალაქე. დადგინდა, რომ მაფიოზურ ქსელს ფილიალები აქვს ისრაელში, უნგრეთში, ევროპის სხვა ქვეყნებში. მაგრამ ამ ორგანიზაციის მთავარი შტაბი, ისრაელის აზრით, რუსეთშია.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა იყო ყალბი საბუთები (დანაშაულებრივი ელემენტებისათვის ისრაელის მოქალაქეობის მოსაპოვებლად) და იმავე მიზნით ფიქტიური ქორწინებები. ისინი 2000 დოლარს უხდიდნენ სნგ-დან იმიგრირებულ ქალებს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებთან დაქორწინებისათვის, რის შემდეგაც, ეს უკანასკნელნი ისრაელში ჩადიოდნენ და მოქალაქეობას იღებდნენ. პასპორტებისა და სხვა სალეგალიზაციო საბუთების გაყალბების საქმეში თანამონაწილეობისათვის დაკავებულია ისრაელის რამდენიმე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

ინოსტრანეცი № 25

სარამ ძიძა დაითხოვა და ვაშინგტონს გაემგზავრა

ჩემს შვილებს ძიძა არა ჰყავთ, — ასე ახსნა ისრაელის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ის ფაქტი, რომ ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტზე ცოლშვილიანად გაემგზავრა.

ბინიამინ ნეთანიაჰუს ოჯახს მართლაც არა ჰყავს ძიძა, რადგან პრემიერის მეუღლემ შინამოსამსახურე დაითხოვა. მიზეზი კი ის იყო, რომ ქალმა დროზე არ მიხედა კერძს და ქვაბს ძირი მიეწვა.

პრემიერ-მინისტრი ძალიან უკმაყოფილოა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ბუზი სპილოდ აქციეს. რა მოხდა ასეთი, მარტო მის ცოლს ხომ არ დაუთხოვია ძიძა, მსოფლიოში ყოველ ერთ საათში რამდენიმე ათას შინამოსამსახურეს ითხოვენ. ჩემი ოჯახის ამბავი, ალბათ, იმიტომ გააბუქეს, რომ ქვეყნის მეთაური ვარო, — ამბობს ახალი პრემიერ-მინისტრი.

მაინც გასაოცარია, რომ ისრაელის სახელმწიფო მეთაურმა ვაშინგტონში ოჯახიც იახლა, იმის მაგივრად, რომ ახალი ძიძა ეძებნა. ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ სანდო ადამიანის მოძებნა ძნელია, მეორე კი ის, რომ პატარა არდადეგები მოიწყო.

იზვესტია № 123

პოლონელები რუსებს „მთვრალ უზრდელებს" უწოდებენ

„რუსი ქალები — კი, რუსი მამაკაცები — არა!" — ასეთ ლოზუნგს წავაწყდი ვარშავის ძველ უბანში. უცნობმა ძალიან სასაცილოდ და ლაკონურად გამოხატა პოლონელთა საზოგადოებრივი აზროვნების სტერეოტიპი.

გამოკითხულ პოლონელთა 37% დანაშაულს, მაფიის ცნებას რუსეთთან აიგივებს. მესამედი გადაჭრით აცხადებს: მსოფლიოში ომის მუდმივი საფრთხე რუსეთიაო. დაახლოებით იმდენივე ფიქრობს, რომ რუსეთი „სხვა ხალხების მიმართ ბოროტების ჩადენით" ხასიათდება. სიტყვებს, — „ლოთი", „უზრდელი", — ყოველი მეოთხე პოლონელი წარმოთქვამს რუსების მიმართ. რუსებისადმი არაკეთილგანწყობას ახლაც, ისევე როგორც ადრე, ნაკლებგანათლებული ადამიანები, განსაკუთრებით, მამაკაცები იჩენენ.

იზვესტია № 123

ფრანგი ქალბატონები პოლიტიკაში

ფრანგები ქალთა პოლიტიკას ეჭვის თვალით უყურებენ. აქ სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთხელ იყო ქალი მაღალ პოსტზე. პრემიერი ედიტ კრესონი, 1992.წელს, რამდენიმეთვიანი მოღვაწეობის შემდეგ, აიძულეს, გადამდგარიყო. როდესაც შარშან გაზაფხულზე, პრემიერმა ალენ ჟიუპემ თავის კაბინეტში რამდენიმე ქალბატონის მიწვევა განიზრახა, მათ მეტსახელი „ჟიუპეტიტები" შეარქვეს და კანდიდატურები ჩააგდეს. ამან სუსტი სქესის აღშფოთება გამოიწვია. „როგორც ჩანს, ფრანგული პოლიტიკა მამაკაცთა დახურული კლუბია", — განაცხადა კრესონმა. მან და ცხრა გავლენიანმა ქალბატონმა ამ პრობლემის გადასაწყვეტად სამართლებრივი გზა აირჩიეს. მათ მიერ შემუშავებული კანონპროექტით, პოლიტიკური პოსტები თანაბრად (50/50-ზე) უნდა განაწილდეს მამაკაცთა და ქალთა შორის. დღევანდელ პარლამენტშიც კი, რომელიც საფრანგეთის ისტორიაში ყველაზე „ფემინისტურ" პარლამენტად ითვლება, ქალები მხოლოდ 5%-ს შეადგენენ. კრესონის პროექტი ქალთა უფლებების გაფართოებას კონსტიტუციური შესწორების სახით ითვალისწინებს. ამასთან, პროექტის მიხედვით, „50/50-ზე" პრინციპი საარჩევნო სიებსაც უნდა ეხებოდეს. კრესონი და მისი მეგობრები მარტონი არ არიან, ბოლო გამოკითხვებით, მათ იდეას მოსახლეობის თითქმის 80% უჭერს მხარს. გავლენიანი პოლიტიკოსებიდან კი — სოციალისტთა ბანაკი და ალენ ჟიუპე. ეს უკანასკნელი წლის ბოლოსათვის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას ვარაუდობს. ოპონენტები, მემარჯვენე კონსერვატორთა ბანაკიდან, ამის სასტიკი წინააღმდეგნი არიან. მათი ძირითადი არგუმენტია ქალთა პოლიტიკოსობის ტრადიციებისა და შესაბამისი ტრენინგის უქონლობა, თუმცა, ასეთი შეხედულებები იმდენად არაპროპორციულია, რომ დიდ მხარდაჭერას ვერ პოულობენ. ასეა თუ ისე, ფრანგი ქალბატონები პოლიტიკაში აქტიურად ერთვებიან და როგორც პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ევლენ პიზური წერს, — „მალე საფრანგეთის პარლამენტის, მთავრობისა თუ სამინისტროების დერეფნებს ნაზი ფრანგული სუნამოების სურნელი მოეფინება".

ნიუზუიქ, 8 ივლისი

სად, რა, რატომ, როგორ...

— **ბრიტანელებმა**, რომლებსაც მართვის მოწმობის აღება სურთ, ამიერიდან წერითი გამოცდა უნდა ჩააბარონ. ეს სიახლე პირველი დიდი ცვლილებაა 1935 წელს მიღებულ კანონში, რომელიც მართვის მოწმობის მისაღებად საგზაო ნიშნების ცოდნასა და მანქანის ტარებას ითვალისწინებდა. ასეთი სახის გამოცდა ევროპის ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული და საკმაოდ შედეგიანადაც.

— **კამორის** კუნძულის პრეზიდენტმა მოჰამედ თაკიმ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა და მოკლე კაბების ტარება აკრძალა. ეს აკრძალვა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას ეხება, რომელიც, მეტწილად, მუსლიმანია. ბრძანება უცხოელებზე არ ვრცელდება, ინდოეთის ოკეანის ამ კუნძულ-სახელმწიფოს უმთავრესი შემოსავალი ხომ უცხოელი ტურისტებისაგან შემოდის.

— **სან-ფრანცისკოს** ცენტრალური პროსპექტი, გასულ კვირას, რამოდენიმე საათით გადაიკეტა. აქ ამერიკის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულებმა აღლუმი გამართეს. პროცესიას წინ რამდენიმე ასეული ახალშეუღლებული მიუძღოდა. თითქოს ამაში გასაოცარი არაფერია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველა „გაბედნიერებული" ჰომოსექსუალისტი გახლდათ.

— **ფილიპინების** პრეზიდენტი ფიდელ რამოსი ორ რელიგიურ მიმდინარეობათა, — ქრისტიანობისა და მუსლიმანობის შემრიგებლური წინადადებით გამოვიდა. მისი განცხადებით, ფილიპინების ჩრდილოეთით, კუნძულ მინდანაოზე, ორივე რელიგიათა აღმსარებელთათვის სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიქმნება, რაც იმის მაგალითი იქნება, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და იშრომონ ერთად ქრისტიანებმა და მუსლიმანებმა.

— **ჩრდილოეთ კორეაში**, „კორეელ ხალხთა მტრად" შერაცხეს ამერიკის რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ფხენიანის რეჟიმისადმი მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესების წინადადებით გამოდიან და ეს გაგრძელდება მანამდე, ვიდრე კორეელები ატომური ბომბის შექმნის იდეას არ უარყოფენ.

— **გერმანიის** ეკონომიკის მინისტრმა გიუნტერ რექსდორტმა, აფრიკაში თავისი ტურნედან ბონში დაბრუნების შემდეგ, თავი შეუძლოდ იგრძნო. ექიმებმა მას მალარია დაუდგინეს. მინისტრი სასწრაფოდ მოათავსეს საავადმყოფოში. კანცლერმა კოლმა, ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამიერიდან ყველა მაღალი ოფიციალური პირი, რომელიც აფრიკას გაემგზავრება, ვალდებული იქნება აცრები ჩაიტაროს.

— **რომში**, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამბერტო დინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირს გადაწყვეტილი აქვს მედიატორის როლი შეასრულოს კუბასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამასთან, ევროკავშირი კუბაში თავის ექსპერტებს აგზავნის, რომლებიც ქვეყანას ეკონომიკის სტაბილიზაციაში დაეხმარებიან.

— **ეკონომიკური** კვლევის ინსტიტუტმა მიუნხენში გამოაცხადა, რომ მიუხედავად 1996/97 წლებში ევროპის მასშტაბით ეკონომიკის განვითარების ზრდისა, უმუშევრობა არათუ შემცირდება, არამედ საგრძნობლად იმატებს. თუ ის 1996 წელს 0,5% შეადგენს, 1997 წლის ბოლოსათვის, მოსალოდნელია, რომ 11,5% იქნება.

— **კოლუმბიის** ქალაქ მედლინში უცნობმა ავტობუსის გაჩერებაზე მომლოდინე მგზავრებს ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნა. 18 მათგანი გარდაიცვალა, ხოლო 10 — მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს.

— **სუდანის** სამხედრო ხელისუფლებამ, თავისი მკაცრი რეჟიმის გასამართლებლად, გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლის სათაურია „ასი მიზეზი ჩვენი მმართველობის აუცილებლობისა". ყურანიდან მოტანილი უხვი ციტატებით გაჯერებული ეს საბუთი სამხედრო რეჟიმის ერთადერთ მხსნელად წარმოადგენს თავს.

— **ჩინეთმა**, როგორც იქნა, მოხსნა აკრძალვა უცხოეთის ზოოპარკებისათვის პანდების მიყიდვაზე. პირველი გარიგება სან-დიეგოს ზოოპარკში შედგა. მათ თორმეტი წლის პანდა შინ-შინი ერთ მილიონ დოლარად შეიძინეს.

— **მომღერალ** როჯერ დალტრეის კონცერტზე, ერთ-ერთი ფანატი იმდენად აენთო, რომ დალტრეის მიკროფონი გამოსტაცა და სახეში ესროლა. შედეგად მომღერალი მარცხენა თვალით დაბრმავდა. დალტრეიმ ამ ფაქტის პატრიოტულად გამოყენება შესძლო, — თვალის ასაკრავი ბრიტანული დროშის მსგავსად — თეთრ-ლურჯ-წითელია.

— **იაპონელ** სოციოლოგთა ცნობით, სულ უფრო მცირდება იმ ფოტომოყვარულთა რიცხვი, ვინც ფერად ფირს იყენებს. ამან აიძულა „ფუჯი ფილმის" მფლობელები მეტი შავ-თეთრი ფირი გამოეშვათ. თურმე, ფოტომოყვარულები შავ-თეთრ ფოტოებს ანიჭებენ უპირატესობას. მათი აზრით, აქ ჩანს არა მხოლოდ გადაღებული ობიექტის კონტური, არამედ სულიც.

— **ამერიკის** პირველი ლედი რომ ყვავილების მოყვარულია, ეს ცნობილია. მაგრამ ის, რომ ჰილარი ქლინთონი სელექციონერიც იყო, არავინ იცოდა. გასულ კვირას, მან მნახველებს ახალი ვარდი წარუდგინა, რომელიც მისი მრავალწლიანი სელექციონერული შრომის ნაყოფია. ახალი ვარდი აზიური სურნელოვანი ყვავილებისა და მალიორკას სახეობის ვარდის ნაჯვარია. მას მკვეთრი წითელი ფერი და უჩვეულო სურნელი აქვს. ავტორმა ახალ ყვავილს, ყოველგვარი მორიდების გარეშე, — „ჰილარი" უწოდა.

— **ამერიკელები**, როგორც ჩანს, რამოდენიმე წლის განმავლობაში ველარ იგემებენ თავიანთ საყვარელ ღვინოს, — „შარდონეის". კალიფორნიელმა ღვინის მაგნატმა ვილი შარდონეიმ გამოაცხადა, რომ ამ მარკის ღვინის გამოშვებას ორი წლით წყვეტს, რადგან აპირებს ღვინის ქარხნების გადაიარაღებას. ამასთან, ვენახსაც სჭირდება დასვენებაო, — ამბობს შარდონეი.

იუესეი თუდეი

მკურნალმა მკურნოს...

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი ენდოსკოპიურ ქირურგიაში, ბატონი სანდრო ჭანიშვილი, თბილისის №2 საავადმყოფო-პოლიკლინიკის ზოგადი და ენდოსკოპიური განყოფილების კლინიკური ხელმძღვანელი და ახალდაფუძნებულ ენდოსკოპისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეა.



ბატონმა სანდრომ ჯერ კიდევ 1974 წელს, ქ. ბათუმში დაიწყო ენდოსკოპიური კვლევები. 1983 წელს კი, რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროში ახალშექმნილ ენდოსკოპიურ სამსახურს ჩაუდგა სათავეში.

ერთი წელია, რაც ამ საავადმყოფოში ახალი მეთოდით მუშაობენ. ეს არის მცირე ინვაზიური ჩარევა, ლაპაროსკოპიული ოპერაციები, ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა, საკვერცხეების პოლიკისტოზის, საშვილოსნოს გარეორსულობის ლიკვიდაცია და სხვ.

მეთოდის არსი შემდეგია: ერთი დიდი ჭრილობის ნაცვლად კეთდება სამი-ოთხი ნახვრეტი. შედეგად თითქმის გამორიცხულია ოპერაციისშემდგომი ჭრილობის დაჩირქება, აგრეთვე, თიაქარი. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმეტიკურ ფაქტორსაც. ავადმყოფის მკურნალობა სამი-ოთხი დღე გრძელდება, მაშინ, როდესაც ადრე ამას ზოგჯერ ორი კვირა სჭირდებოდა.

ამ მეთოდს წინანდელთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს და უცხოელმა სპეციალისტებმაც აღიარეს. ამერიკელმა დასტაქარმა, Deanna J. May-იმ, რომელიც საქართველოს მედიცინის მდგომარეობას ეცნობოდა, მაღალი შეფასება მისცა განყოფილების კლინიკურ მასალას.

ბატონმა სანდრომ გვიოხრა, რომ ლაპაროქირურგიული ოპერაციების ფართოდ გავრცელებას 5 წლის ისტორია აქვს. საზოგადოდ, არსებობს ქირურგიული ოპერაციები — დიდი და ასევე, მცირე და უსისხლო ოპერაციები. ამჟამად შესაძლებელია უსისხლოდ ჩატარდეს ისეთი მძიმე ოპერაცია, რომელსაც ადრე უამრავი გართულება მოჰყვებოდა.

ბატონმა სანდრომ გაგვაცნო „ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დროებითი სახელმწიფო სტანდარტი", სადაც აღნუსხულია სხვადასხვა დაავადება და მათი განკურნებისთვის დაწესებული ფასები (სისხლდენით ავადმყოფის მკურნალობა, ოპერაციის გარეშე, 282 ლარი ჯდება). არსებობს თანაგადახდის პრინციპი, სადაც ავადმყოფი თანხის ნახევარს იხდის, ნახევარს კი ჯანმრთელობის სამინისტრო კვების გარეშე. ეს, ცხადია, საკმაოდ ძვირია და, რა უნდა ქნას იმან, ვისაც ამის შესაძლებლობა არა აქვს? აქ ესეც გაუთვალისწინებიათ და უსახსროთათვის კუჭის წყლულის ოპერაცია 540 ლარი დაუფასებიათ, რასაც სახელმწიფო აფინანსებს. საერთოდ, საავადმყოფოებში გეგმურმა ოპერაციებმა იკლო, სასწრაფომ კი იმატა. კარგი იქნება, თუ ავადმყოფი თავისი ფეხით მოვა აქ და არა ბოლო მომენტში, როცა უკვე მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

საავადმყოფოს, ჯერჯერობით, მედიკამენტების საკმაო მარაგი აქვს, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების გზით მიიღეს.

ასე რომ, რაიმე თუ შეგაწუხებთ და ცოტაოდენი დანაზოგი გაქვთ, უსათუოდ მიმართეთ №2 საავადმყოფო-პოლიკლინიკას, სადაც ყველაფერს გააკეთებენ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგენად.

ახლა, რომ დარწმუნდეთ ჩვენი სიტყვების სიმართლეში, ერთ-ერთ ავადმყოფს, ქალბატონ ნელი კილასონიას გავესაუბროთ. იგი აქ სამი დღეა, წევს და, როგორც თვითონ თქვა, — ზაფრანასავით ყვითელი მოვიდა, ახლა კი თავს ბევრად უკეთ გრძნობს.

ბატონი სანდროს თქმით, ავადმყოფს აღმოაჩნდა მექანიკური სიყვითლით გართულებული ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება. იმ დღესვე მოხდა ენდოსკოპიურ-ქირურგიული ჩარევა, გაუკვეთეს ნაღვლის გამოსასვლელი ხვრელმილი და გადაკეტილ ნაღველს გზა მისცეს. კენჭი დაქუცმაცდა. შემდეგი ჩარევა ითვალისწინებს მის უსისხლოდ გამოღებას.

ეს დაავადება შეტანილი არ არის „სახელმწიფო სტანდარტში". ამიტომ, აქ თანაგადახდის პრინციპი არ მოქმედებს. ავადმყოფი თვითონ იხდის ოპერაციის მთლიან ღირებულებას, რომელიც სამინისტროში მტკიცდება საავადმყოფოს შიდა სტანდარტის წარდგინების შემდეგ, ხოლო რაც შეეხება უმწეოებს, მათ მკურნალობას სახელმწიფო აფინანსებს.

სოფო თევდორაშვილი

აღმოჩენილია ახალი მიკრობი

ნიუ-იორკში, ფედერალურმა მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახლადაღმოჩენილი საჭმლის მიკრობის გაუვნებელობისათვის. უკვე ცნობილი გახდა, რომ ამ მიკრობით ათასზე მეტი ადამიანი დაავადდა 11 შტატში. მკვლევარების თქმით, ისინი, უმთავრესად, მარწყვსა და ჟოლოში ბუდობენ. მიკრობი, რომელსაც ქიკლოსპორა შეარქვეს. პარაზიტია, ის ადამიანის ორგანიზმში სწრაფად მრავლდება და სისუსტეს, უმადობას და კატასტროფული ტემპებით წონის დაკლებას იწვევს. მისი მოქმედების საბოლოო შედეგი შეიძლება ფატალურიც კი იყოს. ამიტომ, ამერიკელი მედიკოსები სასწრაფო ზომებს იღებენ, რათა პარაზიტთა გავრცელება ლოკალიზებულ იქნეს. ამ მიზნით ხელახლა მოწმდება ყველა ხილი, რაც კი სავაჭრო ქსელშია, ხოლო იმპორტზე მკაცრი კონტროლია დაწესებული. ბოლომდე ამოუხსნელი რჩება, — რატომაა, რომ ამ პარაზიტის შემცველი ხილის მიღებისას, ზოგი ადამიანი ავადდება, ზოგი კი უვნებელი რჩება. მედიკოსების აზრით, შესაძლოა, პარაზიტები რაიმე ნივთიერებას იყენებენ თავიანთ გასააქტიურებლად. მიუხედავად ექიმთა მოწოდებისა, არ აყვნენ პანიკას, დღეს სულ უფრო მეტი ამერიკელი უარს ამბობს არა მარტო მარწყვისა და ჟოლოს ყიდვაზე, არამედ მათი წვენებისა თუ კანფეტების, საღეჭი რეზინისა თუ ნაყინის მირთმევაზე.

ინთერნეიშნლ ჰერალდ თრიბუნ

ჭია-ჭია, მაპოვნინე!..

მსოფლიო პირველობაზე მატჩის საააპელაციო კომისიამ კამსკების ოჯახს განაჩენი გამოუტანა — 4 ათასი დოლარი ფიდეს სასარგებლოდ. პრეტენდენტის მამამ შეიცვალა საქმიანობა, თავისი ვაჟიშვილის შესაფერისი საცოლის ძებნა დაიწყო. განზრახული აქვს, მოძებნოს ჭკვიანი, თავმდაბალი, ნაზი, სათნო და ფრიადოსანი, კარგი ოჯახიშვილი, 13-14 წლის გოგონა. მშობლებთან უნდა დადოს კონტრაქტი და წაიყვანოს აშშ-ი, სადაც გატა კამსკისთან ერთად 6-8 წელიწადი უნივერსიტეტში ისწავლის. ყალმუხი ქალიშვილის რჩენას და განათლებას, რა თქმა უნდა, კამსკი კისრულობს.

საცოლის მშობლებთან მოლაპარაკების მიხედვით, სტუდენტურ წლებში გატას ეკრძალება საცოლისთვის თითის დაკარებაც კი. კამსკი-უფროსის გეგმას დიდი მნიშვნელობა აქვს შვილისათვის: სრულიად გამორიცხულია შემთხვევითი კავშირი, ნაცნობობა და ახალგაზრდული შეცდომა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია დიდოსტატებისათვის.

— თვით გატა როგორ უყურებს ამ იდეას? — ჰკითხა რუსტამს „კალმიკსკაია იზვესტიას" კორესპონდენტმა?

— არა აქვს მნიშვნელობა, მეთანხმება თუ არა, ოჯახის უფროსი მე ვარ, — უპასუხა პრეტენდენტის მამამ, — და ოჯახური პრობლემებიც მე უნდა გადავწყვიტო. გატას ქალებზე ფიქრის დრო არა აქვს, მას წინ დიდი საქმეები ელოდება.

რუსტამ კამსკი საქმიანი კაცია და ენთუზიაზმით შეუდგა სარძლოს ძებნას. ადგილობრივ გაზეთებში გამოაქვეყნა შესაბამისი განცხადება და ელისტასა და ნიუ-იორკის ტელეფონის ნომრები. ჯერჯერობით, შვიდი ნორჩი, მშვენიერი გოგონა შეირჩა. მათ შორის, პირველობა ანა იანგელის უჭირავს. საერთოდ, რუსტამ კამსკი ცნობილია თავისი გემოვნებით. ანა 12 წლისაა, თუ გაიმარჯვა, უნივერსიტეტში სამივეს ხელიხელჩაკიდებული სიარული მოუხდება.

მოსკოვსკი კომსომოლეცი № 125

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს და პოტენციის დაქვეითებას თანამედროვე მეთოდით:

ელექტროსტიმულატორ "ინტრატონით", იოხიმბინით და სხვა ახალი საზღვარგარეთული მედიკამენტებით.

გამსახურდიას (პეკინის) 14. მე-8 პოლიკლინიკა, 33 კაბინეტი. 12:00 სთ-დან

ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით
თბილისის ოჯახის ექიმის სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სამკურნალო ფაკულტეტზე შემდეგი სპეციალობებით: თერაპია, ქირურგია, მეანოგინეკოლოგია, ნევროლოგია და, რაც მთავარია, ყველაზე პრესტიჟული და მომგებიანი სპეციალობა მსოფლიოში — ოჯახის ექიმი.
წარჩინებული სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.
საბუთების მიღება დაწყებულია.
ჩვენი მისამართია: ვაჟა ფშაველას გამზირი 83/11
№1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი.
ტელეფონები: 31-20-59; 95-31-41; 35-88-28; 31-58-08.

მამაკაცებსა და ქალებს
ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური სთავაზობს

სექსუალური დარღვევების და ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკას, მკურნალობას.
როგორიცაა:

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის, პირველი საქორწილო ღამის პრობლემები.
2. სქესობრივი ლტოლვის და სიამოვნების განცდის დაქვეითება ან გაქრობა.
3. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
4. მცირე ზომის სასქესო ასო (მიკროპენისი), ფიმოზი, პარაფიმოზი, მოკლე ლაგამი.
5. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
6. დეპრესია, ძილის დარღვევები, აკვიატებები, შიშები, ენერგეტიკული დაქვეითება.

თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოთერაპევტები.

ანონიმურობა გარანტირებულია
მიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 10-16 საათამდე
მიღება შეიძლება წინასწარი ჩაწერითაც შემდეგ ტელეფონზე: 29-34-39
მისამართი: თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი 5, ყოფ. ლეჩკომბინატი. მეორე სართული, კაბინეტები: 17,18,19.

მალამო ფიტომალი UNGIENTUM PHYTOMALY
სამედიცინო ✧ ბორჯი ✧ ფირმა

ეს რეკლამა არ გეგონოთ!

უნივერსალურ მალამო **„ფიტომალს"** რეკლამა არ სჭირდება. იგი დამზადებულია სამკურნალო მცენარეებისაგან და უმოკლეს ვადაში სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

მალამო „ფიტომალი" გამოიყენება:

დაზიანებული კანისა და ლორწოვანი გარსის (გამოწვეული სხვადასხვა მიკრობული ფლორით), ხანგრძლივი შეუხორცებელი, განსხვავებული ეტიოლოგიის ინფიცირებული წყლულებისა და ჭრილობების (ტრავმები, დამწვრობა, ნაწოლები და სხვა) სამკურნალოდ. მალამო „ფიტომალი" აძლიერებს ქსოვილთა რეპარაციის უნარს და ხელს უწყობს ჭრილობიდან ნეკროზული უბნების მოცილებას. იხმარება დაჟეჟილობის, იოგების დაჭიმვის, ანთებითი შეშუპების, ართრიტის, რადიკულიტის, სამწვერა ნერვის ნევრალგიის, ყურის ანთების, პაროდონტიტის და სხვ. დროს; გინეკოლოგიაში - კოლპიტის, საშვილოსნოს ყელის ეროზიისა და წყლულის დროს.

უკუჩვენება არა აქვს. შენახვის ვადა - 2 წელი, პარასამკურნალო პრეპარატი **„ფიტომალი"** აპრობირებულია და ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომისიის მიერ № FT - 0072, ტელეფონი: 93-10-81

❖❖❖ *30 წლის* ბულგარელმა სუპერფორვარდმა ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელმაც თავისი მაღალი კლასი ევროპის ჩემპიონატზეც დაადასტურა, განაცხადა, რომ შესაძლოა იტალიის „პარმიდან" თურქეთის „ფენერბახჩეში" გადაბარგდეს. ლაპარაკია სამწლიან კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც, ბულგარელი 3 მილიონ დოლარს მიიღებს. თავად ფეხბურთელი აღნიშნავს, რომ ფული, მისთვის მთავარი არაა, უბრალოდ, მას დიდი სურვილი აქვს ყოფილ თანაგუნდელთან ერთად — ემილ კოსტადინოვთან ერთად ითამაშოს, რომელიც უკვე თურქეთის კლუბში გამოდის.

❖❖❖ *როგორც ჩანს,* „ბარსელონამ" მტკიცედ გადაწყვიტა მსოფლიოს უძლიერესი კლუბის სახელის მოპოვება. საამისოდ არც ენერგიას იშურებს, არც სახსრებს. უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ნაყიდი ვარსკვლავების ფასი 20 მილიონ დოლარს აჭარბებს, მაგრამ იმ განცხადებამ, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კლუბი მზადაა, გაიღოს კიდევ ერთი 20 000 000 $(!!!) ბრაზილიელი ფორვარდის — რონალდოს შესაძენად. მსგავსი გარიგება ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს, თავად დიეგო მარადონას საფასურად თავის დროზე „ბარსამ" „მხოლოდ" რვა მილიონი გადაიხადა.

❖❖❖ *დიეგო მარადონას* იაპონიაში გადასვლის გამო ატეხილ აჟიოტაჟს ბოლო თავად ფეხბურთელმა მოუღო, — განაცხადა, რომ „ბოკა ხუნიორსში" დარჩება და კარიერასაც აქ დაასრულებს. შეგახსენებთ, მარადონას ერთ-ერთი იაპონური კლუბი 2 წელიწადში 20 მლნ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყნის ხელისუფლებამ ეს ამბავი შორს დაიჭირა, ნარკოტიკებთან კავშირის, — თუნდაც წარსულში, — მქონე მოთამაშესთან, საქმეს როგორ დავიჭერთო.

❖❖❖ *პირველად,* 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანის დელეგაციაში ქალი გამოჩნდა. იგი გახლავთ ლიდა ფარიმანი, რომელიც ირანის ოლიმპიური გუნდის სასტენდო მსროლელია. შეგახსენებთ, რომ ირანის კანონების თანახმად, ქალებს ამ ქვეყანაში მხოლოდ სროლასა და ჭადრაკში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

❖❖❖ *ამერიკელი ხელისუფლები* იძულებულნი შეიქნენ, შეეცვალათ ავიალაინერის მარშრუტი, რომელიც ათენიდან ატლანტაში მიფრინავდა და ბერძენ სპორტსმენთა პირველი ნაკადი მიჰყავდა. საქმე ისაა, რომ ბერძენმა კალათბურთელებმა თვითმფრინავში ჩხუბი და აყალმაყალი ატეხეს. მიზეზი კი ის ყოფილა, რომ საჰაერო ხომალდში მოწევა აუკრძალეს. თვითმფრინავი ნიუ-იორკში დასვეს, ბერძნებმა კი ბოდიში მოიხადეს და ფიცი დადეს, რომ მსგავს რაიმეს აღარ გაიმეორებენ.

❖❖❖ *კუბის ნაკრებმა* პირველი სერიოზული დანაკლისი განიცადა. ბეისბოლისტთა ნაკრების ლიდერი — როლანდო აროიო ვარჯიშის დროს მინდორზე შემოვლებულ მესერს კვიცივით გადაევლო და მის შემდეგ თვალით არავის უნახავს. ასეთი შემთხვევა კუბელებისათვის პირველი როდია. ახლა კუბის სპორტის მესვეურებს ეშინიათ, აროიოს მაგალითს სხვა წამყვანმა სპორტსმენებმაც არ მიბაძონ.

❖❖❖ *იუგოსლავიის კალათბურთელთა* ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვლადო დივაცმა განაცხადა, რომ ყველა გუნდის წინააღმდეგ სიამოვნებით ითამაშებს ხორვატიის ნაკრების გარდა. საქმე ისაა, რომ დივაცს, რომელიც „ლოს-ანჯელეს ლეიქერსში" გამოდის, თურმე, გულში კიდევ აქვს ორი წლის წინანდელი წყენა. მაშინ ევროპის ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალზე ხორვატებმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი, როცა იუგოსლავიელებს აჯილდოვებდნენ.

შმაგი ვნება კრემატორიუმშიც კი გიკრავს თავს

ამ კაცს, ალბათ, სექსუალურ მანიაკს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ნორმაში სულ ბოლომდე რომ ვერ ჯდება და გადახრებიც აქვს, არც თვითონ მალავს.

49 წლის კირილ ადმირალოვმა სად არ სცადა ბედი — პლიაჟის ფოტოგრაფიც იყო, ბარმენიც და შვეიცარიც; ამჟამად რიტუალური მომსახურების ფირმის თანამფლობელია და შეთავსებით — მექალთანე.

კირილის ამჟამინდელი მიჯნური გაენდო რედაქციას: თურმე, საყვარელმა თავბრუდამხვევი ექსპერიმენტი შესთავაზა... (აქ პაუზას გავაკეთებდით და გეტყოდით, ბატონო მკითხველო, — დაძაბეთ ინტუიცია, იქნებ გამოიცნოთ ჩანაფიქრი, მაგრამ არ ღირს, არც გვეგულება დედამიწის ზურგზე ამის ამომხსნელი...) საქმე ეხება კირილსა და ინგას, მათ სქესობრივ კავშირს, პარაშუტს, ფრენას და საბოლოო ჯამში: პარაშუტით ხანგრძლივი ვარდნის დროს დაუვიწყარ, შეუდარებელ ნეტარებას, ერთსულდახორცად ქცევას, ტრიალ-ტრიალით, ექსტაზით, ლამის უწონადობაში აღსრულებულ ორგაზმს.

კირილს ყველაფერი გათვლილი ჰქონია. თურმე, მთელი სიამოვნება 5 წუთში ჩაეტევა.

— მე გავიკითხე და გავარკვიე, რომ საპარაშუტო სპორტის ისტორიას არაფერი მსგავსი არ მოსწრებია(!) — ბრძანებს ადმირალოვი. რა ვქნა, საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ, აქ მთავარი ფაქტია. ვიდრე ჩანაფიქრს არ შევასრულებ, ვერ დავმშვიდდები, თუნდაც პარტნიორის შეცვლა დამჭირდეს.

— მძაფრ განცდებს ეძებთ?

— იმდენი მიხლაფორთია, აღარაფრის მეშინია. სექსის გარდა, აღარც არაფერი მაღელვებს, 45 წლამდე ქალს ყოველკვირა ვიცვლიდი; ახლა, ასაკთან ერთად ინტიმური ურთიერთობაც გამიხანგრძლივდა. შეგიძლიათ, გარყვნილ სექს-მანიაკად ჩამთვალოთ, მაგრამ, პრაქტიკულად, თითქმის არასოდეს მივცემივარ სექსს საწოლში.

— აღგზნებისთვის ექსტრემალური სიტუაცია გჭირდებათ?

— იმპოტენტი არ გეგონოთ. მაგრამ თუ აქტი ჩვეულ გარემოში ხდება, არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს. მას „შრომადღისთვის“ დაწერილ ქულად მივიჩნევ და ერთი სული მაქვს, თავი დავიძვრინო.

— ნიძლავს ვდებ, უმანკოებას საკუთარ დივანზე არ გამოთხოვებიხართ...

— თოთხმეტი წლისას ერთი თანაკლასელი გოგონა მომწონდა. ვკოცნიდი ხოლმე და მეტსაც ვთხოვდი, მაგრამ განმიცხადა, — დაგნებდები, მხოლოდ ყვავილებისა და ბალახების სარეცელზეო. ჩემი უფროსი ძმა ტურიზმით იყო გატაცებული, სუზდალზე და იქაურ ტაძრებზე მიამბო, ამეკვიატა იქაურობა და ჩემი გოგონა ისტორიული ადგილების მოსანახულებლად გავიტაცე.

ყველაზე გამორჩეულ, პოკროვის ტაძარში, თვითონ მოფენილ იატაკზე გავხდი მამაკაცი. იმ დღიდან თითქოს ეშმაკი ჩამისახლდა, სულ ორიგინალური და ეგზოტიკური ხერხების ძიებაში ვარ.

ჩვენი „დიდი სიწმინდის“, მავზოლეუმის კიბეებზე, მე და ჩემმა მაშინდელმა პარტნიორმა სვეტლანამ 1966 წელს პირდაპირ ყარაულის თვალწინ შევასრულეთ სწრაფი, მაგრამ ორივესთვის დაუვიწყარი შერწყმა.

შემდეგი ბასტიონი უკვე მეტროს გვირაბი იყო. მე და ლენოჩკა ღამის პირველ საათზე შევძვერით, გვეგონა, მატარებლები აღარ ივლიდნენ, მაგრამ უეცრად ბორბლების ხმა მოიტანა რელსებმა, წამში მოვეგე გონს, ეს ექსტაზი შეუდარებელი იყო — თავზე გრუხუნით გადამავალი მატარებელი და საკუთარი ორგაზმი აუხსნელი ნეტარება იყო.

— იმდენი ორიგინალური ობიექტი აგითვისებიათ, ალბათ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— რამდენიმეს მაინც ვიტყვი: მთელი სისწრაფით მიმქროლი საბარგო მატარებლის სახურავი, ტელეანძა „ოსტანკინოს“ წვერი, კრემატორიუმის ღუმელი (გამორთულ მდგომარეობაში), რესტორნის სამაცივრო საკანი, მორგი, შადრევნის ფიალა, მიხაილ კალინინის ყოფილი სამუშაო კაბინეტი, 1991 წელს მთავრობის სახლის დამცველი ტანკის კაბინა, მოკლედ, მართალი ხართ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მეგაპოლის-ექსპრესი № 26

„ემიგრანტი“ აქლემები

ეს მაშინდელი ამბავია, როდესაც ცკ-ს მდივანმა, სოფლებზე ზრუნვით დაღლილმა ნიკიტა ხრუშჩოვმა მიაგნო იმ წინაღობას, რაც ხელს უშლიდა მათ კულტურულ ცხოვრებაში, ტელევიზორთან ჯდომაში და ბრძანა, — ჩამოართვით საქონელი და საკარმიდამო მიწებიო.

რუსმა გლეხმა შეიძლება გაძლოს, მაგრამ თურქმენი უაქლემოდ, ნამდვილად დაღუპულია. უდაბნოში მიმავალი აქლემის ფეხის ხმა ესმის მორიელს და იქაურობას ეცლება. აქაური წყალი ტუტეა, კუმისის გარეშე ორგანიზმი საჭმელს ვერ ინელებს, ფლავს ვერ მოხარშავ, მოკლედ, რა ქნას თურქმენმა უაქლემოდ? არადა, ბრძანება გაცემულია — აქლემები უნდა ჩამოართვან. დგანან თურქმენები ირანის საზღვრის სიახლოვეს და გლოვობენ — ვაი, დაღუპულო ოჯახოო, თან მთელი ჯოგი მოურეკიათ ჩასაბარებლად.

ამ დროს იქ გაჩნდა ერთ-ერთი რუსი „უფროსი ძმა“ და როგორც უმრავლეს შემთხვევაში, ახლაც დაარიგა ჭკუა, — გადარეკეთ ირანის საზღვარზე, მესაზღვრეები ხომ თქვენი მეგობრები არიან და კომისიის წასვლის შემდეგ, ისევ გადმორეკეთო...

... სამი დღე იდგა ამ ადგილებში კომისია და სამი დღე ილანძღებოდა, — შეხედეთ, რა კარგად მოვლილი აქლემები ჰყავთ ირანელებს, თქვენ რა გჭირთ, რომ ვერცერთი ვერ შეინარჩუნეთო? — ესენი ველური აქლემები არიან, — უპასუხეს გლეხებმა. ჩამოდით აშხაბადში და შეგვახსენეთ, რომ გამოვიწეროთ ირანიდან ეგ ველური აქლემები და მოვაშენოთ, — დაიბარეს ბრძნული სიტყვა კომისიის წევრებმა.

გაფრინდა კომისია... მობრუნდნენ საზღვარგარეთიდან აქლემები.

არგუმენტი ი ფაქტი № 27

პრეზიდენტთა უმრავლესობა ხანდაზმულია

მონარქიული სახელმწიფოების გარდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა პრეზიდენტს უჭირავს. ეს დაიწყო 200 წლის წინათ, აშშ-ის პირველი პრეზიდენტიდან — ჯორჯ ვაშინგტონიდან.

სიტყვა „პრეზიდენტი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სათავეში მყოფს“. პრეზიდენტების უფლებამოსილება ერთმანეთისგან განსხვავდება მათი არჩევის მეთოდების მიხედვით. საპარლამენტო სახელმწიფოში თვით პარლამენტი ირჩევს პრეზიდენტს. ასე ხდება გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ინდოეთსა და ისრაელში. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში (რუსეთსა და აშშ-ში) სახელმწიფოს მეთაურს ამომრჩეველთა ხმის უმრავლესობით ირჩევენ. აშშ სხვა ქვეყნებისგან იმითაც განსხვავდება, რომ იქ არ არის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა: აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია. მსოფლიო საპრეზიდენტო კორპუსი ძალზე ავტორიტეტული პიროვნებებისაგან შედგება, როგორც თავის ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო სარბიელზე. პრეზიდენტთა უმრავლესობა ხანდაზმულია. მაგალითად, იტალიის პრეზიდენტს — ოსკარ ლუიჯი სკალფაროს სექტემბერში 78 წელი უსრულდება. ამდენივე წლისაა ინდოეთის პრეზიდენტი შანკერ დაიალა შარმა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი — ნელსონ მანდელა. შეგახსენებთ, რომ 69 წლის რონალდ რეიგანმა საპრეზიდენტო პოსტზე 2 ოთხწლიანი ვადა დაჰყო. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, თეთრ სახლს შედარებით ახალგაზრდები დაეპატრონენ. ჯონ კენედი 43 წლის შეუდგა ქვეყნის ხელმძღვანელობას. 1993 წელს არჩეულ ბილ ქლინთონს, 16 აგვისტოს 50 წელი უსრულდება. მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი პოლონელი ალექსანდრ კვასნევსკი (დაბადებული 1954 წელს) და მექსიკელი ერნესტო რედილიო პონრეა (დაბადებული 1951 წელს). საშუალოდ, პრეზიდენტის პოსტი 60 წელს გადაცილებულებს უჭირავთ: ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი 1936 წელსაა დაბადებული, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი 1932 წელს, ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი —1928 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფავმჯდომარე ცზიან ცეემონი — 1924 წელს. ყველაზე „ხანდაზმული“ პრეზიდენტები „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ლიდერები არიან, მაგალითად, ჰაფეზ ასადი სირიას 1971 წლიდან მართავს, ჰოსნი მუბარაქი კი 15 წელიწადი უდგას ეგვიპტეს სათავეში.

ტრუდი №121

თმა მარტო თმა კი არ ყოფილა!

თურმე — თმა და ფსიქიკის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

თურმე — თმა კოსმიურ ინფორმაციულ სივრცესთან დამაკავშირებელი პირდაპირი არხია, პირველ რიგში, სწორედ მასში გროვდება ინფორმაცია და წესრიგდება ადამიანის ენერგეტიკა.

თურმე — შემთხვევითი არ ყოფილა ძველი წეს-ჩვეულება: საყვარელი ადამიანის მოჭრილი კულულის მკერდზე მედალიონით ტარება. თმა ერთგვარი შეუცნობელი კავშირია სასურველთან, როდესაც მისი გახსენება გინდათ, საკმარისია დახედოთ მის თმას და თქვენში შემოდის ემოციური ტალღა, მყარდება ერთგვარი ენერგეტიკული კონტაქტი.

თურმე — ამიტომ ითვლებოდა ავისმომასწავებლად სავარცხლიდან მოგროვილი თმის ბღუჯის, სადაც მოგიხვდებათ გადაგდება. გახსოვდეთ, შავი მაგიის ერთ-ერთი ვარიანტია, მსხვერპლზე თმის საშუალებით ზემოქმედება.

თურმე — თმას „სიყვარულის მოგვრაც“ შესძლებია, ამას „სიყვარულის“ მაგიის დროს მიმართავენ.

თურმე — ტაძარში ქალი რომ თავდაბურული შედის, ესეც თმასთან ყოფილა დაკავშირებული. ტაძარი — ეს ის ადგილია, სადაც თავს იყრის კოსმიური ენერგია, ამას ემატება ნათელი აზროვნების ადამიანების ენერგეტიკაც. გარდა იმისა, რომ ქალები ზედმეტად ემოციურნი არიან, ისინი თავისი ბიოპოტენციალით ძალზე მგრძნობიარენი არიან და თავდაუბურავად დგომისას, თმა იღებს მძლავრ პოტენციალს და შესაძლოა, „ენერგეტიკული“ დარტყმის მიღება.

თურმე — მამაკაცის ბიოველს, პირიქით, საკვების მიმატება სჭირდება. ემოციური პოტენციალის აღდგენა, ერთგვარ ზედმეტ მუხტს ითხოვს. როდესაც ბერებს და ახალწვეულებს თმას პარსავენ, ეს მხოლოდ ჰიგიენისთვის არ ხდება, ამ ტრადიციაში დევს ძველი რიტუალის კვალი, რომლის მიხედვითაც, თმას, თითქოსდა, მიჰყვება ადრინდელი ცხოვრების ინფორმაცია და კაცს უადვილდება ახალი პირობების შეგუება.

თურმე — ადამიანის განწყობასა და ბუნებაზე დიდ გავლენას ახდენს ვარცხნილობა. თუ თმა მარცხნივ გაქვთ გადავარცხნილი — გააქტიურებულია ლოგიკური აზროვნება. თუ ერთკონად გაქვთ შეკრული, ძლიერდება გარესამყაროსთან ენერგეტიკული ურთიერთობა.

თურმე — ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ატარებენ ბუდისტი ბერები თხემზე თმის ერთგვარ კვანძებს.

თურმე — ძალზე სასარგებლოა თმის ხშირი შეჭრა. ხდება თმაში აქამდე დაგროვილი ზედმეტი ინფორმაციის და უარყოფითი ენერგიის გამოთავისუფლება. ეს ფსიქიკური დაძაბულობის, სტრესების მოხსნის ერთ-ერთი საშუალებაა.

ორაკული № 6

ბუნებაში მოშარდვის დღე

შვედეთის ქალაქ სტექთონთში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა და ეწოდა: „ბუნებაში მოშარდვის დღე“. ადგილობრივი ეკლესიის პასტორმა ამბიონიდან მისცა კურთხევა და ტაძრიდან გამოსული მრევლი მწყობრად გაემართა საკომპოსტე ორმოებისაკენ. ქალი თუ კაცი, ყრმა თუ მოხუცი, თავად პასტორი სვენ ბურბორგიც, თავიანთ ბიოლოგიურ პატარა გასაჭირს ერთად იშორებდა.

ბუნებისა და ადამიანის ასეთი შერწყმის იდეა იმან გამოიწვია, რომ აქაურმა, ადრე კამკამა ტბამ თავზე ჭაობივით ხავსი მოიგდო და ბამბუკებიც ამოიზარდა, თევზი სულს ღაფავს, ეს ჟანგბადის ნაკლებობის ბრალია, წყალში ჭარბადაა აზოტი. საიდან? საიდან და, ეს ქალაქის 2 ათასი მცხოვრების გამოყოფილი და უნიტაზებში ჩაშვებული შარდის ნაყოფია, რომელიც კანალიზაციიდან წყალს ერთვის. ამიტომ, აზოტის საკომპოსტე ორმოში „ჩაღვრა“ ბუნების გადარჩენის რეალური გზაა, ოღონდ ეგ არის, საამისოდ გარკვეული დრო და საათი გამოიყოფა, თუ ყველა თავისთვის გაითხრის ეზოში ორმოს?

სექსუალური მანიაკის 300 მსხვერპლი

ამერიკელმა ბიოლოგებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს. კალიფორნიის სანაპიროებთან დამკვიდრებულმა უზარმაზარმა ზღვის ლომმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 300 დედალი ლომი იმსხვერპლა, მათთან სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობისას, „ქალები“, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, იჭყლიტებოდნენ.



მეცნიერები ყოველ გაზაფხულზე, კუნძულ სან-მიგელის ზღვის უბეში პოულობდნენ დაღუპულ ზღვის ლომებს. თავდაპირველად, სულო ცოდვილო და, მეთევზეებზე ეჭიანობდნენ, მაგრამ ამასწინათ, შემთხვევის ადგილზე და ცხელ კვალზე დააფიქსირეს ნამდვილი დამნაშავე, — ბუმბერაზი ზღვის ლომი. პოლიციის ინსპექტორებმა მას მარადიორი შეარქვეს.

— მე დავინახე უზარმაზარი ცხოველი, რომელიც ცდილობდა „შეერთებოდა“ მდედრს, ეს ყმაწვილი ბევრად დიდი იყო საბრალო „ქალზე“ და, ელემენტარულად, ნაპირს დააჭყლიტა, — ჰყვება ინსპექტორი ბილ ფოლკნერი.

ეს გოლიათი, ზღვის ლომის სტელერისა და კალიფორნიაში გავრცელებული უფრო მომცრო ჯიშის ჰიბრიდია. ადგილობრივი ეროვნული პარკის მეთვალყურეთა აზრით, ყველაზე კარგი გამოსავალი, მარადიორის მოკვლაა, რადგან მისი სექსუალური პოტენციის დაოკება არ ხერხდება.

როგორც ზღვის ბიოლოგიის ინსტიტუტიდან გვაცნობეს, სტელერის ზღვის ლომმა შეიძლება 850 კგ-ს მიაღწიოს. მისი საბრალო კალიფორნიელი ტურფები კი (თანაც ყველაზე ზორბანი), 100 კგ-ს ძლივს იწონიან.

ექსპრეს-გაზეტა №17

ციდან სისხლის წვიმა წვიმდა...

ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყება, რომ არიზონას შტატის ქალაქ ახოში ნამოვიდა წითელი წვიმა. ეკლესიიდან დაბრუნებულებმა ტანისამოსზე სისხლიანი ლაქები აღმოაჩინეს.

სასწრაფო ექსპრეს-ანალიზმა აჩვენა, რომ სითხის შემადგენლობაში არის წვიმის წყლით გაზავებული სისხლი. სისხლის ჯგუფის დადგენა შეუძლებელი გახდა, რადგანაც სითხეში სხვადასხვა ორგანული თუ არაორგანული წარმოშობის ქიმიური შენაერთებია, რომელიც აუცილებელი ანალიზების ჩატარებას უშლიდა ხელს. სპეციალისტებმა დადგინეს, რომ წითელი სითხე სისხლის წითელ სხეულაკებს, ერითროციტებსა და ადამიანის სისხლის სხვა კომპონენტებს შეიცავს. აი, ესეც ახალი გამოცანა მკვლევარებისთვისო, — ამთავრებს ამერიკული პრესა.

ტრუდი № 121

ამო მილიციის ნაცვლად

ნინა დმიტრიევნა აივნიდან ადევნებდა თვალს ქუჩაში ჩხუბს — აინტერესებდა, — მილიცია ჩაერევა, თუ ერთმანეთს დახოცავენო, ამ დროს სახეზე უცნაური სხივი დაეცა. მთის წვერზე გამოჩნდა თეთრი სფერო, რომელიც მთვარეზე სამჯერ დიდი იყო. იგი მოჩხუბართა თავზე დაეკიდა და იქაურობა ნეონის შუქით გაანათა. ნინა დმიტრიევნას ჟრუანტელმა დაუარა, შეშინდა და ქმარს უხმო. მოჩხუბრები მიმოიფანტნენ. სფერო კი ნელა დაიძრა დასავლეთისაკენ. თანდათან გაყვითლდა და გაქრა.

ტრუდი № 119

როგორ გავხდეთ პოპულარული, ანუ (ზოგი თვითონ იქმნის ამა თუ იმ „იმიჯს“)

რეკლამა — ვაჭრობის ძრავაა, იგი მართვის დამხმარე ბერკეტია და მასებზე ზემოქმედების ცხარესაკმაზიანი საკვები. თუ ოდნავ შენელდა შენი პიროვნებისადმი ინტერესი, თუ შენმა ბიზნესმა სადღაც ნარღვევი გაიჩინა, „რეკლამთშემოქმედს“ მიმართე და გამოსავალი ნაპოვნია... ის, რომ ნატაშა კოროლიოვა და იგორ ნიკოლაევი დანყვილდნენ, საზოგადოებამ მშვიდად მიილო, მაგრამ როგორც კი განშორება გადაწყვიტეს და რატომღაც ეს პირადული საჯაროდ აქციეს, პუბლიკა დაიძაბა და აღელდა, ამას ნატაშას და იგორის უდიდესი შოუ, — „გამოსათხოვარი“ გასტროლები მოჰყვა, როდესაც მთელი ქვეყანა კარგა გვარიანად „გაპარსეს“, ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.

„რეკლამის“ გენერალისიმუსს, ბარი ალიბასოვს რომ იტყვიან, ამ საქმეში ქიპი აქვს მოჭრილი, თანაც ეშმაკია და გამომგონებელი (საქმეში, ხშირად, მსახიობები უკანონო შვილებსაც რთავს ხოლმე). მანაც ვერ შესძლო გვერდი აევლო კლასიკური „სასიძოს“ ლაიტმოტივისთვის. საინტერესოა, შეთანხმებულია თუ არა „სარეკლამო მომენტები“ ლიდია ფედოსეევა-შუკშინასთან.

როგორ იქმნიან იმიჯს საზღვარგარეთელები?

ცნობილ ჰოლივუდელ ჩარლი შინს ძალიან უყვარს მეძავები. ამის არც. რცხვენია და, პირიქით, ყოველ შესაფერის მომენტში ამის აფიშირებას ცდილობს — ეს მის სუპერ-მამაკაცობაზე ალაპარაკებს საზოგადოებას. „ოსკარის“ მინიჭებისას ვუპი გოლდბერგმა, რომ იტყვიან, კარგადაც უკბინა ამის თაობაზე, მაგრამ ჩარლისაც ეს უნდოდა, ამან კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისი სექსუალურობა.

რეიტინგის ამაღლებისათვის ჯგუფებიც ზრუნავენ. „აეროსმიტის“ სოლისტი სტივენ ტაილერი ჟურნალ „როლინგ სთოუნის“ გარეკანზე შესანიშნავ შავგვრემან ქალიშვილთან ერთად იმის საბაბი გახდა, რომ მთელი ქვეყანა ალაპარაკდა სტივენსზე, ვნებიან ქალიშვილზე და მუსიკალური სამყარო დაიპყრო ტაილერმა — ქალიშვილი გარეკანიდან კი მისი საკუთარი ქალიშვილი აღმოჩნდა!

მსგავს სერპანტინებზე გავლა ყოველთვის აწეული თავით არ ხდება... როდესაც ჰიუ გრანტი ლოსანჯელესში უხერხულ პარტნიორთან უხერხულ პოზაში დაიჭირეს, მსახიობი შეგეცოდებოდა, ადამიანს არ ჰგავდა. მაგრამ სხვაგვარად ითამაშა ამ მომენტმაც — საქვეყნოდ გაითქვა სახელი გრანტის პარტნიორმა მეძავმა და მსახიობის რეიტინგიც სულ ზესვლით აიწია.

მაიქლ ჯექსონიც ხომ ატრიალეს წრეში, მისი ბიჭუნებისადმი ლტოლვა აბრუნეს წაღმა-უკუღმა, რა გამოვიდა? მაიქლი ისევ თავის ტახტზე ზის, ისევ „პოპ-მეფეა“ და მხოლოდ სკანდალური შტრიხები მიიმატა ბიოგრაფიაში.

ეს ყველაფერი ახლოსაც ვერ მივა ო.ჯ. სიმფსონის ტრიუკებთან. ცნობილმა მსახიობმა, სპორტსმენმა და ტელეწამყვანმა, რომელმაც თითზე დაიხვია მთელი სასამართლო და წყლიდან მშრალი ამოვიდა, ციხიდან გამოსულმა დაწერა წიგნ-აღსარება, როგორ ჩაიდინა მკვლელობა, რომელიც თვალის დახამხამებაში ბესტსელერად იქცა.

შეიძლება მართლაც იყო ნიჭიერი, გენიალურიც, მაგრამ თუ ამ ქვეყნიდან გახვედი, მაშინ ღმერთკაცობამდე აღარაფერი გიკლია, ნახევრადღმერთი მაინც ხარ.

ჯგუფი „კინო“ კი მთელ ქვეყანას ახმაურებდა, მაგრამ ცოცხალი ვიქტორ ცოი დღეს, ალბათ, აღარ იქნებოდა ახალგაზრდობის კერპი, არც ფრედი მერკური ხატი, არც მერლინ მონრო ათას ცოცხალზე უფრო ცოცხალი. ადამიანებს უყვართ მიცვალებულთა გაკერპება, მით უფრო, თუ აღსასრული ტრაგიკულია. ადრე წასულებს ლამის შარავანდედით მოსავენ და წმინდანებად აღიარებენ, ცოცხალი ლეგენდებითა და მიცვალებული კერპებით ილამაზებენ ცხოვრებას.

არგუმენტი ი ფაქტი №27

ჟანრი, რომელსაც საცეკვაო ექსცენტრიკა ჰქვია

ბოლო წლების ყველაზე საინტერესო ცეკვა, რა თქმა უნდა, ტატიანა ბარანოვას მიერ შესრულებული „კარმენი“ გახლავთ. აქ მსახიობი ერთდროულად ორ — მამაკაცის და ქალის როლს თამაშობს. მარცხენა მხარე ხოზე ბრძანდება, მარჯვენა — კარმენი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, სცენაზე წყვილი ცეკვავს.

— *რომელ ჟანრს განეკუთვნება თქვენი ცეკვა?*

— საცეკვაო ექსცენტრიკა რთული ჟანრია, სამაგიეროდ, მეტოქეობას არავინ გიწევს.

— *ძნელია ორი ხასიათის შეთავსება?*

— რა საჭიროა შეთავსება? ცალ-ცალკე უფრო საინტერესოა. თითოეულს თავისი ბიოგრაფია აქვს. მაგალითად, ვდგავარ ერთხელ კულისებში, ჩემს გასვლას ველოდები. უცებ ვილაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი. დგას ვილაც გოგონა, ხარბად მომჩერებია, პირდაპირ თვალებით მჭამს, საცაა ტელეფონის ნომერს მომთხოვს. რასაკვირველია, ხოზეს ეპრანჭებოდა.

— *იუმორის გრძნობა თუ გლალატობთ?*

— ხანდახან. ინდოეთში გასტროლების დროს პატარა, ორსართულიან სასტუმროში დაგვაბინავეს. ნამგზავრმა მაშინვე აბაზანას მივაშურე. ცოტა ხნის შემდეგ, გამოვდივარ დედიშობილა და რას ვხედავ... ოთახის შუაგულში უზარმაზარი პავიანი ზის. არც აცია, არც აცხელა და სახეში ჩემი საზღვარგარეთული პასპორტი მთხლიშა. ასე შიშველ-ტიტველი, პასპორტით ხელში გავვარდი გარეთ, უკან სხვა მსახიობებიც მომყვნენ. რა თქმა უნდა, ჩემსავით, ყველა ადამის კოსტიუმში იყო. პავიანი სასტუმროს სახურავზე აძვრა და იქიდან გვემანჭებოდა.

— *ამბობენ, კომპაქტ-დისკს ამზადებთ, თურმე, სადაც სიმღერების ტექსტი თქვენი დაწერილია?*

— დიახ.

5 წლის წინათ ცეკვებს კიდევ ერთი პროფესია დაემატა. წელს ესტრადის თეატრში ჯერ ცეკვა შევასრულე, მერე კი, ვიმღერე — ჯერ მამაკაცის, მერე ქალის ხმით. რა თქმა უნდა, კოსტიუმებიც შესაფერისი მეცვა. მაყურებელს იმდენად მოეწონა ჩემი ნომერი, დიდხანს არ მიშვებდნენ სცენიდან. მაგრამ ნომრის გამეორების თავი აღარ მქონდა, სულს ძლივს ვითქვამდი.

— *ცხოვრებისეულ სიტუაციაში ხელოვნება თუ გეხმარებათ?*

— რასაკვირველია. ამასწინათ, მივაქროლებ მანქანას დიდი სიჩქარით, უცებ ნაცნობი სტვენა შემომესმა, გავჩერდი, სერჟანტი მომიახლოვდა: „მართვის მოწმობა!“ — გამოსცრა კბილებში. სანამ საბუთს მოვნახავდი, იდგა და მამუნათებდა: „ცნობილი მსახიობი ხართ და მანქანას კი როკერივით დააქროლებთ. მეორედ თუ დაგიჭირეთ, ათი ავტოგრაფით დაგაჯარიმებთ“. რომ გითხრათ, არ მესიამოვნა-მეთქი სერჟანტის სიტყვები, ტყუილი იქნება. ის კი თავისას ერეკება: „თუ მანქანა არ გეცოდებათ, თავი მაინც შეიბრალეთ. ახლა კი, გზა მშვიდობისა, ამხანაგო პლისეცკაია!“

ექსპრეს-გაზეთა №17

რემბო – 50, მეორე სიცოცხლე: ნაწილი პირველი

ლეგენდარულ „სლაის“ სილვესტერ სტალონეს 50 წელი შეუსრულდა. იგი მუდამ ოცნებობდა თავისი ფიზიკური ძალა შეეხამებინა ინტელექტთან და მსოფლიო სუპერმენის დათნის გვირგვინი — სერიოზული კინოშემოქმედის რეპუტაციასთან.

ცოტა ვინმე თუ გაიხსენებს, რომ სტალონემ მოღვაწეობა დაიწყო როგორც სცენარისტმა, მონაწილეობდა იაფფასიან პორნოფილმებში, დანარჩენ დროს ძნელადაღსაზრდელი ყმაწვილი, უნივერსიტეტის სტუდენტი, სამთო-სათხილამურო სპორტის ინსპექტორი მაგიდასთან ატარებდა და სცენარებს წერდა.

მისი ზეობა მისივე სცენარით გადაღებული ფილმით დაიწყო, რომელშიც მან როკის როლი ითამაშა. ფილმის გმირის ბედი ეწია თვით ავტორსაც, — იგი ცხოვრებას წვითა და დაგვით ართმევდა თავს. პრემიერის მეორე დღეს სტალონე ცნობილი მსახიობი გახდა და მალე სიცოცხლეში ძეგლი დაიდგა. განასახიერებს დიდ ამერიკულ ოცნებას, რომელიც დაფუძნებულია იმაზე, რომ უპირატესობა მუდამ ენიჭება შრომისმოყვარეობას და ნებისყოფას.

სტალონეს დიდება, მეორედ, რემბოს სახემ მოუტანა.

„რემბო-3“-მა გამოამჟღავნა სტალონეს დიდების ჭეშმარიტი ფასი, რომელშიც შეუპოვარი მედესანტე მიემგზავრება ავღანეთში საბჭოთა ჯარების იქიდან გამოყვანის მომენტში.

სტალონემ კინემატოგრაფში შემდეგი ნამუშევრებით ვერა და ვერ შესძლო გადაელახა ზღვარი პოპ-კულტურასა და დიდ ხელოვნებას შორის.

სილვესტერ სტალონე დაიბადა 1946 წ. 6 ივლისს, ნიუ-იორკში. სიყმაწვილე გაატარა მერილენდსა და ფილადელფიაში. სკოლიდან ხულიგნობისთვის 14-ჯერ გარიცხეს. სპორტის ათლეტურ სახეობაში მონაწილეობისათვის მიიღო ამერიკული კოლეჯის სტიპენდია შვეიცარიაში, მაიამის უნივერსიტეტში დადიოდა დრამატულ კურსებზე, მუშაობდა შვეიცარად, სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორად. 70-იან წლების დასაწყისში მონაწილეობდა ეროტიკულ სპექტაკლებში, კინოეპიზოდებში, წერდა სცენარებს. ნამდვილი ამერიკული დიდება მოუტანა სტალონეს ფილმმა „როკი“, რომლის სცენარიც თვითონ დაწერა. გადაიღო ფილმი „სამოთხის ხეივანი“ (1978), მიუზიქლი „დარჩი ცოცხალი“ (1983) და სამი ფილმი „როკის“ სერიალიდან. 80-იანი წლების დასაწყისში მაყურებლის წინაშე წარსდგა ვიეტნამელი ვეტერანის ჯონ რემბოს მრავალწლიანი ამპლუით („პირველი სისხლი“, 1982, „რემბო“; „პირველი სისხლი“ — მე-2 ნაწილი, 1985; „რემბო-3“, 1988); როგორც მსახიობი მონაწილეობდა ფილმებში „ფ.ი.ს.ტ.“ (1978) და სხვ.

კომერსანტ დეილი №113

მოულოდნელი კონცერტი პეტერბურგში

ექს-ბითლზი რინგო სტარი და ქანთრის ლეგენდად აღიარებული მუსიკოსი ვილი ნელსონი, ყველასთვის მოულოდნელად, პეტერბურგის ერთ-ერთ სკვერში გამოჩდნენ, უჩუმრად ააწყეს აპარატურა და კონცერტი დაიწყეს. პეტერბურგი, ნევისპირეთის სანქტ-პეტერბურგში არ აგერიოთ, ეს ონტარიოს შტატის პატარა ქალაქია, რომლის არსებობა ბევრმა ამერიკელმაც კი არ იცის. გაოგნებული პეტერბურგელები ზღვასავით მიაწყდნენ პარკს. მათ თავი სიზმარში ეგონათ. აქ ხომ ყოველგვარი ბილეთებისა და აფიშირების გარეშე ორი ვარსკვლავი გამოდიოდა. რინგო სტარი, ძირითადად, სტუდენტურ ოცნებებზე მღეროდა, ამით თინეიჯერთა გულები მოიგო, ხოლო ვილი ნელსონის ძველი, ქანთრის სიმღერები უფრო ასაკოვანთ თავიანთ ახალგაზრდობას ახსენებდა. მიუხედავად იმისა, რომ კონცერტი უფასოდ მიმდინარეობდა, დასასრულს მისი მთავარი მიზანი გაცხადდა, მუსიკოსები ავტოგრაფთა საფასურად სიმბოლურ თანხას ითხოვდნენ, ეს თანხები მთლიანად შიზოფრენიით დაავადებულთა ფონდში გადაიგზავნა. ამით რინგო სტარი და ვილი ნელსონი, თავიანთი მეგობრის, — კანადელი როკ-შემსრულებლის რონი ჰაკკინსის თხოვნას გამოეხმაურნენ,— რომლის 33 წლის ვაჟიშვილი შიზოფრენიითაა დაავადებული.

ინთერნეიშნლ ჰერალ თრიბუნი

დედაქალაქის რამოდენიმე საუკეთესო რესტორანს შეემატა ერთ დროს განთქმული

რესტორანი «ჟურნალისტი»

რესტორანი მუშაობს სადღეღამისო დატვირთვით, მუდმივი ელექტროენერგიით. სტუმრებს საშუალება ეძლევათ ისიამოვნონ უჩვეულო კერძებით. მოუსმინონ ვიოლინოს და საესტრადო მუსიკის შემსრულებლებს. „ჟურნალისტი“ იღებს შეკვეთებს, აგრეთვე, საბანკეტო მომსახურებისათვის. რესტორანს აქვს ავტომომსახურების საშუალება.

მისამართი: ერეკლეს მოედანი №3
☎ 98-74-90

15-დან – 21 ივლისამდე
კინოთეატრი
„ივერია“
(რუსთაველის მოედანი, მინისტრთა კომპლექსი, ყოფილი „რუსთაველი“)
გიწვევთ პრემიერაზე
ეროტიკული დეტექტივი
„სისხლიანი გაქცევა“

(აშშ. 1996 წ.)
მთავარ როლებში: ანა ტომპსონი და დევიდ ბრედლი
სეანსების დასაწყისი: 12, 14, 16, 18 სთ.
ბილეთის ფასი 1 ლარი.



მაღაზია

ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები, ჰოლანდიური ავტოსალებავების კომპიუტერული შერჩევა



გამსახურდიას გამზირი №19/21

T.:38.39.89

... ფუტკართან ყველა ტყუილი

... ერთი კვლ ი თაფლის მესაკრეფელად ამ ფრთამფრენელს ფუსფუსა მწერმა ათი მეფილიონეთი ყვავილი ეწყალ ბოფერინის და ამინეკტერინა. და ეს მხანილი ფეფამინის ეკვატორის გარშემო თეთრმეტეკერ მემოფრენა ეფორის!

... როფესაც მეენერეფმა ტუტანამონის ალალამა გაბსნეს, მიაკვლიეს ჭეოწვეფოს, რომელმეც მესანიმაკად მეანუხეფილო სამი ათასი წლის ნინამეფილი თაფლი.



დასაფლეთის ნაშფოფი ხენსაფა გამოიწვია ამერიკელი ფსიქიფფოგის მიფლიონ ხთეფნის ნიკენს "დიდი ეკანანელი – დიდი ჭკვა". ხუთი წლის ანმანელმე მეენერმა მეიფნაკვა მეფილი ათასი ადამიანი და მიეფდა დასაკვანაფდა: დიდფეეფნელეფანეფი ბეეფრად ეუფრო ჭკვანანები ყოფილანა... ინკვანი მოეკი ანრან: რა გამოფდა, ყოველი მიხსოფს ნიმანან, რომ მეოფე ეკლიერები მიიფლნ, ჭინი არ მოეკიდონ. ახლა რა გამოვიეს, რომ ადეკერაკეფდნენ და მათი ტეფნი მართალ ფეფნდეფელენ ეკიდათ?

ოეუსეფნიფვიეს ეს არ არის ახალი ამბავი. ისინი დიდი ხანია თვითან, რომ ზოეეანი მაროლა ერთი ადგილით აპოოოფენენენ.

კინოს იმპერატორის აღსასრული

1996 წლის ივნისში "ბონდიანას" ბავი დდე გაეფოფნდა. 87 წლის ასაკში ბეეფრნი-ჰიფზნენ, გარდაიფვალა კაეი, რომელმე მნოოვლოის ბაყეფნეფეს ანეკა ბინდი – ეს იყო 30 წლის ანმანდნენ კინოსტარიალის ეუკვდეფი პროდიუსერი ალბერტ ბროკოლი. სნერფეი მან აიღეფა ფფლეფინეკი მიკოფლეი ეფნერ "ჯეეეს-007"-ზე და მინ კინოფნანაკ ანმ მაკენო.

გამოსაკრანმეფელია, რომ ფეფლმი ჩადეფნეფ ითითო ფლენეეს პროკეფილ ეკმეს ფლენ მოკეკეს იეფპდა. იკი იყო ერთ-ერთი კინოპროდიუსერი, რომელის პატეკსაფეფდად ჰოლიეკვფილ დიდფეის ხეიკანმი სანეკლოპითი ვარსკვლავი ფდიდა.

GSFCR გეპატიჟებათ როკ-ფესტივალზე

ანტალიაში

მონაწილეობენ ჯგუფები:

„ENIMALS" (ინგლისი), „THE BACK ROOM BOYS" (აშშ)
„BLUESMOBIL BAND" (საქართველო), „KARGO" (თურქეთი)

29 იკვლისიდან — 12 ოკტომბერი

მგზავრობა: „მერსედეს 504" ავტობუსით (კონდენციონერი, ვიდეო); სასტუმრო: 10 დღე (ორადგილიანი ნომრები, შხაპი, აუზი, ბარები, ორკესტრადი კეკება); ეიზეფი.
ფესტივალის ყველა კონცერტის მოსანახავი
ფასი 510 დოლარის ეკვივალენტი ლარებში

მისამართი: თბილისის ქ. №23 (აშშ-ს საელჩოს გვერდით)
ტელეფონი: 99-58-54

კროსვორდი



რეკლამა „კვირის პალიტრაში“ ☎36-39-54

თარაშულად: 3. შტაბი ბრაზილიაში (ფეფფისები პირობითად მოცილებულია); 8. მდინარე ფფრეკანი; 9. წინასწარი გფფრნიეიანა, რომ შეიძლება მოხდეს ირასასურველი რამ; 10. ცეცხლის გასაანალიზებელი სამუალება; 11. ფეხის ნანილი; 12. ქალაქი ესტონეთში; 14. მდინარე ალმოსავლეთ საქართველოში; 19. შმენელობასა და სადურალო საქმეში გამოყენებული ხელსაწყო; 21. სარეგში გახსნილი ფისი; 22. სახელმწიფო ეკონომიკაში; 23. ელექტრული ნინააღმის. საზომი ერთეული; 25. საშაირო ფსანრელი პირველნიფეზი, საწყისი ოდიალტერ ფილოსოფიაში; 28. გაზი ანუ... 29. ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად, საორვინტოდ; 30. ცალკე ადამიანი, პიროვნება; 31. ძველებური, იშვიათი ნივთები. მოვაკრე; 33. მუქი ლურჯი საღებავი (ოლუნენ ქიმიური წესით); 35. ძველ საქართველოში გავრცელებული მოკალ, უკადო ხმალი; 37. მინისაქვეშა ნაგებობა; 39. უმაკეოლო კაკვშირგაბმულობა; 40. ისტორიული ოლქი ყოფილ იუგოსლავიაში; 42. სოფელი კახეთში; 46. უცხოური ფუღლის ერთეული; 47. სახელმწიფო საბრუნავ-ადმოსავლეთ აზიაში.

შვეულად: 1. სპორტის სახეობა; 2. ფიდი ბრიტანეთი ანუ ... 4. ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 5. სიდიდით მესამე ქალაქი შვეიცარიაში; 6. ხურნელოვანი დეკორატიული მცენარე; 7. ის, ვისაც ვვალება ეკლესიაში ანთება, ზარების რეკვა და სხვა; 9. რაც ცარეტელის ინლეკვა, რაც გამოსადეგია; 11. მზაკებელი ცხოველი კეკრნისებრთა ოჯახისა; 13. ქალაქი პოლონეთში; 15. სისხლისმნოველი მნერი, ადამიანის ზოგი დაავადების გადამტანი; 16. ადგილი სიერეეში, სადაც ხდება მიმოსვლა, გადადგილება; 17. სახელმწიფო ფესტინდოეთში (ჩრდილოეთით კარიგან ატლანტის ოკეანე) 18. ვ. ნინაშვილის მოთხრობის პერსონაჟი; 20. მეეანაკე, რომლის ლერის ოყენებენ მსაზუფ ნაგებობათა, აეეკინს, ჭურჭლის დასამაგებლად; 21. ნაოსნობის სახელმძღვანელო; 24. სფეროს ნერტილის ცენტრთან შემაერთებელი ხაზი; 26. პერსონაჟი ფოლტერ სკოტის რომანისა „აიეენჰო“; 27. ამერიკელი პოლიტოლოგი; 32. მთემეატიკის ნანნილი; 34. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ადამიანის ხმით; 36. ბრაზნილიელი ფეხბურთელი (50-60-იანი ნლები); 37. ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი; 38. მდინარე დასავლეთ ეკროპაში; 41. სახელმწიფო დასავლეთ ფფრიკაში; 43. შეჯიბრეფის დანნეფის მოგენტი; 44. ებრაელთა და ქრისტიანთა საღვთო ნიგნეფის კრებეფი; 45. მგალოფელი ეკრონელი

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში (№27) გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაშულად: 1. საბზაღისი; 4. სადგური; 6. ვერასალი; 7. ლიახვი; 8. შანშიაშვილი; 12. ლალისყური; 16. ოუოტა; 17. გირი; 18. სურა; 19. სოსო; 20. ლაბაზი; 22. ვასარ; 24. ძირითადი; 26. ხაფანგი; 29. გაგება; 30. ნილოსი; 33. ლაგბეერია; 34. ლაბე; 35. იაბეიანი.

შვეულად: 1. საგზალი; 2. მაგონნა; 3. სადარო; 4. სხვისი; 5. რალი; 8. შველი; 9. შინაარსი; 10. „ბაკვალო“; 11. ლარსკეი; 14. ოუდული; 15. ეჩანი; 18. სამეგრელი; 21. ზამბახი; 23. რეიგანი; 24. ძახვეი; 25. თანაბრა; 27. ფშატი; 28. იკარუნი; 31. ლეღვი; 32. სიმი

გვეწვიეთ ახალგახსნილ ფაცხებში

აქვე, თბილისთან ახლოს, წყნეთის გზაზე შემოგეგებებათ სიგრილე, თბილისის ხედი, გემრნელი ეროძები.
ჩვენთან არც მზე იკბინება და არც ფსკები.

მეფეპარეფი ნაბისეფერი კითხვები

„კვირის პალიტრა“ შეეცდება თქვენთვის საინტერესო კითხვებზე მოგანოდოთ კომპეტენტური პირების აზრი.

36-39-54; 36-10-03

პასუხები იხილეთ გაზეთის მე-10 გვერდზე.

დაინტერესებული რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფოტოების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სრულყოფაზე, ამბილაციათა სტილი დაცულია. რეგ მემთხვევაში, მასალა მემოკლებებით იბეჭდება.

სარედაქციო კოლეგია
მისამართი: აკურის ქ. №8 ტელ. 36-39-54
გაზეთი A&H-ის დამატება
სარეგისტრაციო № 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ოთხშაბათობით
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „ეკოლორში“